საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№016
(12 393)

22 იანვარი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



## ოლიმპი გუნდს დაემსგავსა

ინტერვიუ გიორგი კახელიშვილთან

2



## ირლანდია შესაძლოა ბერი ვენეიბლზმა განვრთნას

3

რაგბი. 2 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია

# პორტუგალიასთან ბევრი დაგვაკლდება

2 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისში ერთა თასის გადადებულ შეხვედრას გამართავს პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან. ჩვენი ნაკრების ახალი მწვრთნელი ტიმ ლეინი საქართველოში 28 იანვარს ჩამოვა და კონტრაქს ხელს სწორედ პორტუგალიელებთან მატჩის წინ მოაწერს.

ამავე დღეს ჩამოვლენ თბილისში ფრანგი ლეგიონერებიც. ნაკრები ბინას სასტუმრო „ვარაზში" დაიდებს. სამწუხაროდ ბორჯღალოსანთა შემადგენლობას საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე დააკლდება. ნაწილი ტრავმების, ნაწილიც კი კლუბების ახირების გამო. პორტუგალიის წინააღმდეგ არ ითამაშებენ დავით ზირაქიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, დავით ხინჩაგიშვილი, მამუკა გორგოძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გიორგაძე და მალხაზ ურჯუკაშვილი. თუმცა, მათი უმეტესობა 9 თებერვალს, რუმინეთთან მატჩისთვის თბილისში იქნება.

პრეს რელიზში, რომელიც რაგბის კავშირმა გუშინ გამოაქვეყნა და რომელშიც ჩვენი ნაკრების სავარაუდო შემადგენლობაა 2 თებერვლისთვის, 11 მორკინალი და 14 უკანახაზელია (?!).

### საქართველო 2 თებერვალს

პირველი ხაზი: დავით დადუნაშვილი (მასი), გოდერძი შველიძე (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (მონპელიე), ანტონ ფეიქრიშვილი (აჟენი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული)

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (მონლუსონი), გიორგი ნემსაძე (დომონი), შალვა სუთიაშვილი (ბობინი).

მესამე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (მასი), რატი ურუშაძე (ლონსი), დიმიტრი ბასილია (კლერმონი).

9: ირაკლი აბუსარიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

10. მერაბ კვირიკაშვილი (პო), ლაშა ხმალაძე (ლელო).

12-13: დავით კაჭარავა (ყოჩები), რეზო გიგაური (მონლუსონი), ირაკლი ჩხიკვაძე (უგუნდო).

11-14: ბესიკ ხამაშურიძე (კანი), გიორგი შკინინი (უგუნდო), სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები), ირაკლი გეგენავა (ყოჩები), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია).

15: ოთარ ბარკალაია (ანდორა), ლაშა მალაღურაძე (ყოჩები)

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ორ უცხოელთან, ტიმ ლეინთან და ნიკოლა ფულკიესთან ერთად ორი ქართველი ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე იმუშავებს. „ლეონსიო" შერკინებას განვრთნის, ვიქტორი კი საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერების კურატორი იქნება.

ბესიკ ჯანგავაძე



დავით ზირაქაშვილი პორტუგალიასთან თამაშს გამოტოვებს და რუმინეთთან ითამაშებს



# 800 000 ფრაიბურგმა ხიზანეიშვილი ასე დააფასა

3

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



კახელიშვილი დორდოი-დინამოსთან მატჩში

# გიორგი კახელიშვილი: ძალიან მიხარია, გუნდს დავემსგავსეთ!

**თანამეგობრობის თასზე საქართველოს ჩემპიონის მშვენიერი სტარტი ყველასათვის მოულოდნელობა აღმოჩნდა. პირველი წრის შემდეგ განახევრებული გუნდით, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ რუსთავის „ოლიმპი" დროულად შეთამაშდებოდა და რაც მთავარია, ამის ფეხბურთელებსაც ნაკლებად სჯეროდათ.**

**გუშინ გიორგი კახელიშვილს ვესაუბრეთ და მისი საუბრიდან გამოჩნდა, რომ რუსთაველები ახალი ენერგიით დაიმუხტნენ.**

**- გიორგი, დამეთანხმები, მოულოდნელი იყო თქვენი წარმატება.**

- ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. თქვენ უნდა ნახოთ, გუნდი როგორ ათამაშდა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. აშკარაა, რომ უკრაინაში ძალიან კარგი შეკრება გამოგვივიდა, თამაშებიც წაგვადგა. მიხარია ის, რომ საქმიანი განწყობაა, ყველა თავის საქმეს აკეთებს. ძალიან მახარებს ის ფაქტიც, რომ საქართველო არ შევარცხვინეთ. რაც უნდა თქვან, თანამეგობრობის თასს ყველა განსაკუთრებულად ადევნებს თვალს. აფასებენ, ვინ როგორ მდგომარეობაშია. ჩვენ მეოთხედფინალში ისე გავედით, არანაირი სირთულე არ გვქონია.

**- კი მაგრამ, ყირგიზებთან თამაში კინაღამ ფრედ დაასრულეთ და მეტი რაღა სირთულე გინდა?**

- არ დაიჯეროთ, ანგარიშიდან ასე გამოჩნდა, მაგრამ რეალურად ჩვენ ვფლობდით სრულ უპირატესობას და ალალად მოვიგეთ. მსაჯს რომ არ შეეშალა ხელი, უფრო დიდი ანგარიშითაც დავამთავრებდით. ორი პენალტი მოგვიგონა, მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ. ყველა ჯგუფის ლიდერად გვთვლის.

**- „ვენტსპილსზე" უკეთეს გუნდად გთვლიან?!**

- თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა. ქართველებს მაინც სხვა ფეხბურთის თამაში შეგვიძლია, უფრო ლამაზის, უფრო შემტევის და ხალხსაც ეს მოსწონს.

თუმცა, მე არ ვიცი, „ვენტსპილსთან" როგორ ვითამაშებთ. ბევრი ჩვენიანი მეოთხედფინალისთვის დაისვენებს და მეორე გუნდი გვეყოლება. მე ორი ყვითელი მივიღე... სხვათაშორის, სპეციალურად მივიღე, მეოთხედფინალი რომ არ გამომეტოვებინა... გენაძეც ვერ ითამაშებს. სერბებთან ტრავმას ბეწვზე გადავურჩი. მწვრთნელმა ამის გამო შემცვალა.

**- ოფიციალური მონაცემებიდან ვიცი, 85-ე წუთზე ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი მიიღეთ. მერე სურათიც ვნახეთ, სადაც კვარაცხელიას ყირგიზი ფეხბურთელი ექაჩება. თქვენი მატჩის ოქმი ყველა სხვაზე დაგვიანებით განოაქვეყნეს. რა ხდებოდა, ჩხუბი იყო?**

- არა, რა კონფლიქტი, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, დამთხვევა იყო, მიყოლებით რომ გაგვაფრთხილეს. დასამალი რაა.

**- ლეგიონერებზე რას გვეტყვი?**

- პისკოვეცმა მართლა საჭირო ფეხბურთელები მოიყვანა. ყველა მაგარია, თავდამსხმელებმა დუბლები შეასრულეს, საგოლე პასებითაც გამოიჩინეს თავი.

**- განსაკუთრებით რომელიმე მოგეწონა?**

- ომელიანოვი ენერგიული, სწრაფი და აგრესიული თავდამსხმელია, კაცი გაჩერებული არ მინახავს, ძალიან მომწონს. კოვალევსკის აშკარად ეტყობა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. ცუდია, პოპოვიჩი რომ გამოგვაკლდა. ძლიერ გუნდებში უთამაშია და მასზე არანაკლები ფეხბურთელი იყო.

საერთოდ, ძალიან გახარებული ვარ, ასეთი კარგი გუნდი რომ ყალიბდება. ამბიციური ფეხბურთელი ვარ და პირველი წრის შემდეგ ცოტა პესიმისტურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა ისეთ ხასიათზე დავდექით, მეტი რომ არ შეიძლება. მოგებებმა მარტო მე კი არა, ხასიათი ყველას გამოუკეთა. წინასწარ საუბარი რა საჭიროა, მაგრამ ასე მგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატში გაცილებით ძლიერი „ოლიმპი" ჩაერთვება. იმედია, საქართველოს ტურნირზეც ვასახელებთ. ეს გუნდის და ქვეყნის პრესტიჟიც იქნება.

**- ურთიერთობა გაგიჭირდათ თუ უკვე შინაურები არიან?**

- კარგი ბიჭები არიან, უბრალოები. საერთოდაც, გუნდში კარგი ვითარებაა.

**- რუსი გულშემატკივრების დამოკიდებულება როგორია?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ ჩვენს შეხვედრას ყირგიზებთან იმდენი ქართველი დაესწრო და ისე გვიქომაგეს, გავგიჟდით. მაგარი სასიამოვნოა, როდესაც უცხოეთშიც თავს კარგად შენიანებში გრძნობ.

ხალხზე კი კარგის მეტის თქმა სირცხვილია. იცით, რა თბილად და კარგად მიგვიღეს? სასტუმროდან დაწყებული, ნებისმიერი ადგილით დასრულებული, ყველგან კეთილგანწყობას ვგრძნობთ. რუსები სულით და გულით მიყვარს.

მერაბ მამულაშვილი

ბორჯომი

# თუ ფული არ იქნება, ფარმი იქნება

„ბორჯომი", რომელმაც პირველი წრე მეოთხე ადგილით ჩაამთავრა, საშუასეზონო პერიოდში უსახსროდ დარჩა. კლუბი 20 იანვრისთვის ელოდა დაფინანსებას, მაგრამ ფული ჯერ ვერ მიიღო.

ბორჯომელებს იმედი აქვთ, რომ 25 იანვრამდე გამოუჩნდებათ ფინანსები და, თუ ვერც ამ ვადაში მოხერხდა კლუბის დაფინანსება, „ბორჯომი" მაინც არ დაიშლება - მეორე წრეში ფარმ-კლუბი ითამაშებს.

„ბრჯომის" ფარმ-კლუბი თავისი განრიგით,უპრობლემოდ ვარჯიშობს ბორჯომის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. ცხადია, ფარმკლუბელები ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელები არიან, მაგრამ თუ „ბორჯომს" სახსარი არ გამოუჩნდა, ასეთი მოთამაშეებით მოუწევს გარჯა სეზონის მეორე ეტაპზე.

დავით თავართქილაძე

# გენაძე ტრავმირებულია, პოპოვიჩმა ოლიმპი დატოვა

პეტერბურგში მიმდინარე „თანამეგობრობის თასის" გათამაშება ახალი დაწყებულია, თუმცა საქართველოს ჩემპიონმა უკვე დანაკლისი განიცადა. პირველივე შეხვედრაში სერბეთის „ოფკ"-სთან მოლდოველი ლეგიონერი **ალექსანდრუ პოპოვიჩი** დაშავდა. როგორც შევიტყვეთ, ის შეხვედრის შემდეგვე დაემშვიდობა გუნდს და სამშობლოში გაფრინდა. საქმე ისაა, რომ მას კუნთი გაუწყდა, სამკურნალოდ, მინიმუმ, თვენახევარი დასჭირდებოდა. ასეთ მდგომარეობაში კი მას კონტრაქტს არც ერთი გუნდი არ გაუფორმებდა, რადგან თვენახევარში საქართველოში მეორე წრის ლამის ნახევარი ჩატარებული იქნებოდა.

დაშავებულია ნახევარმცველი **რეზო გენაძეც**. მან სერბებთან შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ შეხვედრის შემდეგ გვარიანად ატკივდა ფეხი და ვერც ყირგიზებთან ითამაშა და დღესაც, ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსთან" გუნდს ვერ დაეხმარება. სხვა საქმეა, შეძლებს თუ არა მეოთხედფინალში მოედანზე გასვლას. შესაძლოა, მანამდე მოჯობინდეს და „ოლიმპს" დაეხმაროს.

საერთოდ, კი დღეს, შესაძლოა, რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა მეორე შემადგენლობა ათამაშოს, რადგან **ანატოლი პისკოვეცს** მეოთხედფინალამდე გარისკვა და რომელიმე წამყვანი ფეხბურთელის ყვითელი ბარათების გამო გამოკლება არ სურს.

მერაბ მამულაშვილი



რევაზ გენაძე

# პროტასოვს კობახიძე მოეწონა

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ პროტასოვმა** გუნდის ოფიციალურ ვებ-გვერდს ინტერვიუ მისცა და ჩვენთვის საინტერესო თემასაც შეეხო. უკრაინელთა მწვრთნელმა გასასინჯად ჩასულ მოთამაშეები შეაფასა და მათ შორის, თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე**.

*„რა შემიძლია გითხრათ გასასინჯ ფეხბურთელებზე? ყველა მათგანს ეტყობა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. მაგალითად, კობახიძემ აჩვენა, რომ ძალიან კარგი და ძლიერი მარცხენა ფეხი და სისწრაფე გააჩნია. თუმცა გავაფორმებთ თუ არა მასთან კონტრაქტს, უახლოესი დრო გვაჩვენებს. პირველი შეკრება ჩვენ იმიტომ დაგვჭირდა, რომ საკადრო საკითხებში გავერკვეთ."*

უნდა ვივარაუდოთ, „ზესტაფონის" თავდამსხმელი **გოგი ფიფიაც** იგულისხმა იმ ჯუფში, ფეხბურთის თამაში რომ შეუძლიათ. თუმცა კონკრეტულად მხოლოდ დინამოელი ახსენა.

მერაბ მამულაშვილი



სანდრო კობახიძე

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა




# 800 000

# ფრაიბურგმა ხიზანეიშვილი ასე დააფასა

„ფრაიბურგმა" მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე მეოათხე ადგილით ჩაამთავრა, თუმცა ფრაიბურგელთა ახალი თავკაცი რობინ დუტი ბუნდესლიგაში გადასვლას ოთარ ხიზანეიშვილის გარეშე ცდილობდა და ჩვენებურმაც სხვა გუნდში გადანყვიტა გადასვლა.

ხიზანეიშვილს „ფრაიბურგთან' კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, მაგრამ ახლავე სურს იქიდან წასვლა.

ოთარს გუშინ შევეხმიანეთ ფრაიბურგში.

**- ბოლო საკონტროლო მატჩი „ფარიბურგმა" „კაიზერსლაუტერნთან" ითამაშა და შენ არ გამოჩენილხარ. რაშია საქმე, ტრავმა ხომ არ მიიღე?**

- არა, ჯანმრთელად ვარ, ალარაფერი მაწუხებს, „კაიზერსლაუტერნთან" ალბათ, იმიტომ არ მათამაშეს, რომ დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს ნავალ, თუ დავრჩები „ფრაიბურგში".

**- ჯერ იყო და ტრავმებმა შეგიშალეს ხელი, მერე გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა და მთელი პირველი წრე ფაქტობრივად ისე ჩამთავრდა, თავის გამოჩენის შანსი არ მოგეცა. ახალ გუნდში გადასვლას ალბათ კარგ ფორმაში ყოფნაც სჭირდება...**

-"კაიზერსლაუტერნამდე" სამი ამხანაგური მატჩი გვქონდა „შალკესთან","ვერდერთან" და „ოფენბახთან" - სამივე მატჩი ვითამაშე და ჩემი გარჯით მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩა. შალკესთან" და „ვერდერთან" მატჩების ტრანსლაცია dsf-ზეც გადაიცა. ამ მატჩებმა დამარწმუნა,რომ უკვე კარგ ფორმაში ვარ.

**- გაქვს კონკრეტული შემოთავაზებები?**

- ერთი ბუნდესლიგის, ერთი მეორე ბუნდესლიგის და ერთიც უკრაინული გუნდი მეპატიჟება.

**- „ფრაიბურგი" დიდ ფულს ითხოვს შენში?**

- მასეა, არადა სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ვიქნები და ჩემი უფულოდ გაშვება მოუწევთ. დუტმა მითხრა, არ მინდა, რომ წახვიდე, დარჩი და შანსს აუცილებლოდ მოგცემო. მაგრამ მე ალარ მინდა „ფარიბურგში" დარჩენა, დავიტანჯე ამდენი უთამაშებლობით.

**- მაინც რამდენს ითხოვს „ფრაიბურგი" ხიზანეიშვილში?**

- 800 000 ევროს. ამხელა თანხა ალბათ იმიტომ დამადეს, რომ არ უნდათ ჩემი გაშვება. ვნახოთ, ყველაფერი ერთ-ორ დღეში გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქის ბანაკში

# უილიამ ირლანდიას უარი უთხრა

ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების განვრთნა სახელგანთქმულ ფრანგ **ჟერარ ულიეს** შესთავაზა, მაგრამ ამ უკანასკნელმა აღნიშნულ წინადადებაზე უარი თქვა. ულიე მოღვაწეობას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში განაგრძობს და ამ ეტაპზე მწვრთნელად მუშაობას არ აპირებს;

მისი უარის შემდეგ, ირლანიელთა დამრიგებლის პოსტის დაკავების რეალური შანსი ინგლისელ **ტერი ვენეიბლზს** აქვს, რომელიც ბოლოს თავისი ქვეყნის ნაკრებში მუშაობდა **სტივ მაკლარენის** ასისტენტად. მის გარდა, ირლანდიური ფეხბურთის შეფები **ლორი სანჩესისა** და **ბილი დევისის** კანდიდატურებზეც ფიქრობენ. ეს სპეციალისტები სეზონის მსვლელობისას შესაბამისად, „ფულემიდან" და „დერბიდან" დაითხოვეს.

შეგახსენებთ, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს ეროვნული ნაკრები სწორედ ირლანდიელებთან საშინაო დაპირისპირებით იწყებს. „სამყურებმა" წინა შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს ჩეხეთისა და გერმანიის ნაკრებების შემდეგ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ტერი ვენეიბლზი



ლადო დვალიშვილი

სავარაუდო ტრანსფერი

# დვალიშვილი სკონტოში გოლით გამოჩნდა

რიგის "სკონტო" ლატვიის ახალი სეზონისთვის სამზადისს განაგრძობს. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებმა მორიგი ამხანაგური მატჩები ჩაატარეს. "სკონტო" ლიტვურ "ეკრანასს" ორი შემადგენლობით დაუპირისპირდა. ლატვიელთა მთავარმა კონტინგენტმა ლიტველები 4:2 დაამარცხა. შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ **დავით გამეზარდაშვილი**. წინა შეხვედრებისგან განსხვავებით **ზაალ ელიავას** ამჯერად არ უთამაშია. თუმცა გამეზარდაშვილის დარად რიგელთა ძირითადში ახალი ქართველი გამოჩნდა, რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელი **ლადო დვალიშვილი** და გოლითაც გამოირჩა. 72-ე წუთზე მან ანგარიში 4:1 გახადა.

"სკონტოს" მეორე შემადგენლობა "ეკრანასთან" 1:2 დამარცხდა. ამ მატჩში ქართველთაგან არავის უთამაშია.

## პროფლიგის ინტერნეტპროექტები

საქართველოს პროფესიული ლიგის ოფიციალური ვებ გვერდს გულშემატკივარი სულ მალე განახლებული სახით იხილავს. საიტის სტუმრებს შეეძლებათ იხილონ 2006 და 2007 წლების თასის გათამაშების ფინალური მატჩების ჩანაწერები, ასევე წინა სამი წლის დაჯილდოვება „დია", ინტერნეტ-პროექტი „ჩემი" ფეხბურთი, მედიაკომპანია „კოლხიდასთან" გაფორმებული ხელშეკრულება და პფლ-ის ყოველწლიური ჟურნალები.

აქვე გეტყვით, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარს უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს. შეგახსენებთ, სეზონი 17 თებერვალს განახლდება თასის მეოთხედფინალური შეხვედრებით.


GEO FM - 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ცხინვალის სპორტულ-პოლიტიკური ტვირთი

**ზაურ კალოევი**, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი, ბახვა თედეევი... ისინი (და არა მარტო) სხვადასხვა პერიოდში თბილისის „დინამოსა" და შესაბამისად, ქართული ფეხბურთის ღირსებას იცავდნენ. მათი გარკვეული ნაწილი უშუალოდ ცხინვალის საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი გახლდათ. ამ ქალაქის ფეხბურთს პოლიტიკასთან საერთო ადრე არაფერი ჰქონდა. ამჟამად აქვს და ყველასათვის ცნობილია საიდანაც დაედო სათავე აღნიშნულ ტენდენციას.

დევნილობაში თხუთმეტი წლის წინათ შექმნილ ცხინვალის „ცხინვალს" და შარშან დაარსებულ ცხინვალის „სპარტაკს" ქართული ფეხბურთისთვის, რასაკვირველია ცუდი არაფერი მოუტანია, თუმცა ჩვენი ფეხბურთის წინაშე ჯერჯერობით ვერც მათ განსაკუთრებულ მიღწევებსა და დამსახურებებზე შეგვიძლია საუბარი. ამ გუნდების არსებობის უპირველესი პრინციპი სპორტულზე მეტად მუდამ პოლიტიკური გახლდათ. პოლიტიკური მოსაზრებების გამო ხდებოდა მათი სახელმწიფო ხაზინიდან დაფინანსება და იგივე მოტივით ყველასაგან მიტოვება („ცხინვალი"). უმთავრესად პოლიტიკური მოსაზრებების გამო ცდილობდნენ აღნიშნულ გუნდებში ოსი ეროვნების მობურთალთა შემადგენლობაში ჩარიცხვას და სინამდვილეში (მათი არცთუ დიდი შესაძლებლობებიდან გამომდინარე) სათადარიგოთა სკამზე გამწესებას.

პოლიტიკური მოტივისავე გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ცხინვალის გუნდს ხან უმაღლეს ლიგაში ატყორცნის და ხან ისევ ქვედა ლიგაში აბრუნებს.

ზოგადად, პოლიტიკისა და ფეხბურთის გზები უამრავჯერ გადაკვეთილა და არა მხოლოდ საქართველოში. ცხინვალი ქართულ ფეხბურთს 90-იანი წლების დასაწყისში რეგიონში გაჩაღებულმა საბრძოლო მოქმედებებმა მოწყვიტა, თუმცა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელზეც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს, ცხინვალიდან გორში გადმოსულმა დევნილებმა და მანამდე ფეხბურთში დასაქმებულმა ადამიანებმა არაპირდაპირი გზით ორიოდ წელიწადში, 1993 წელს ისევ დაუკავშირეს ქართულ ფეხბურთს. დამაკავშირებელი ხიდის როლს ცხინვალის „ცხინვალი" თამაშობდა, რომელიც იმ წელიწადს მეორე ლიგიდან ჩაება საქართველოს ჩემპიონატში.

დევნილთა გუნდის არსებობას ქვეყნის ხელისუფლება სიტყვით ყოველთვის დიდ პატრიოტულ-მამულიშვილურ იდეებთან აიგივებდა, თუმცა დაფინანსებიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ ეს გუნდი ზედმეტ ბარგად უფრო ეჩვენებოდათ „ზემოთ", ვიდრე განსაკუთრებული ყურადღების ღირსად. დედაქალაქი, როგორც წესი შიდა ქართლის გუბერნატორებს ავალებდა კლუბის შენახვას და პრეზიდენტებადაც სწორედ ისინი გვევლინებოდნენ, რითაც ალბად კიდევ ერთხელ ესმებოდა ხაზი ზოგადად გუნდის არსებობის პოლიტიკურ მოტივს. ხარჯებად გათვალისწინებული იყო საფეხბურთო კლუბისთვის საჭირო საზომებით მინიმალური თანხა. მართალია რეგიონს ხშირად იმავდროულად გორის „დილისთვისაც" უწევდა გარკვეული ხარჯების გამოყოფა და შიდა ქართლის მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით დევნილთათვის ფუფუნებას ვერავინ მოითხოვდა, მაგრამ ფაქტია „ცხინვალი" პოლიტიკური პიარის შესაბამისად მაინც არასოდეს ყოფილა დაფასებული. მეტიც, მათი ერთადერთი ფინანსური საზრდო, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილი წელიწადში 80 ათასი ლარი (საბიუჯეტო გადასახადების გამოკლებით დაახლოებით 55 ათასი ლარი) მაშინ შეუწყვიტეს (2006 წ), როდესაც ცხინვალმა უმაღლეს ლიგას უწია და სფფ-მაც ისინი დაუყონებლივ იქ დააბრუნა (ყველაზე დაბალ ლიგაში), საიდანაც 13 წლის წინათ ასპარეზობას იწყებდნენ.

ჰოდა, ქალაქ ცხინვალიდან საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის" ხელმძღვანელობას ოსებმა „მეგობრულად" შემოუთვალეს მათთან გადასულიყვნენ სამოღვაწეოდ, რადგან ედუარდ კოკოითი დაინტერესებული ყოფილა თავის კონტროლირებად ტერიტორიაზე ფეხბურთის განვითარებით და ფინანსური დახმარებაც გაუზრდია ცხინვალის საფეხბურთო სკოლებისთვის. სიმართლე ითქვას მათ შემონათვალს მწვრთნელთა გადაბირების რეალურ სურვილთან თითქმის არანაირი კავშირი არ ჰქონია. ეს უფრო ირონიით ნაჟღენთი დანაბარები იყო, თორემ კოკოითის შეშველებული თანხით გათამამებულმა მწვრთნელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ დევნილობაში მყოფი ცხინვალელი ფეხბურთის სპეციალისტები სეპარატისტთა კონტროლირებად ტერიტორიაზე სამუშაოდ არ წავიდოდნენ.

„ცხინვალის" ხელმძღვანელთა მიერ ხელისუფალთა გარკვეული ნაწილის გასაგონად და მათ ერთგვარად „დასანამუსებლად" ატეხილი ხმაური მაინც და მაინც შედეგის მომტანი ვერ აღმოჩნდა. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც დევნილობაში მყოფთა საფეხბურთო კლუბის შექმნის ინიციატორები და წლების მანძილზე მისი ხელმძღვანელები იყვნენ.

ჯერ ერთი ამ ადამიანებს შესაბამისი და ამომწურავი პასუხი, მიუხედავად უამრავი თხოვნისა არ აღირსეს. სავარაუდოდ იმიტომ, რომ იმხანად დაგეგმილი, მაგრამ ჯერაც გასახმაურებელი იყო დიმიტრი სანაკოევის გამოსვლა ასპარეზზე. მისი დროებითი ადმინისტრაციის მეთაურად დანიშვნის შემდეგ კი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზედმეტ ბარგად მიჩნეული გუნდის დაფინანსება სწორედ ბატონ სანაკოევს უნდა ეთავა. იგი წინასაარჩევნო კამპანიისას გორში მართლაც ეწვია „ქართლის" სტადიონზე ბაზირებული „ცხინვალის" წარმომადგენლებს, უხვად გადასცა მათ ბურთები და უკეთესი მომავლის დანაპირები და საქართველოსგან დროებით მოწყვეტილ ტერიტორიაზე მოსული დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაპირებულის შესრულების შესაბამისი იმედიც გაჩნდა.

როგორც ჩანს ცხინვალის რეგიონში ახალმოსულ ადმინისტრაციის ხელისუფალთ პირველი რამდენიმე თვის მანძილზე გაუჭირდათ ფეხბურთისთვის დანაპირები ყურადღების დათმობა, თუმცა პერიოდულად დიმიტრი სანაკოევი მაშინაც აფიქსირებდა მზადყოფნას საფეხბურთო თვალსაზრისით დაპირებულის შესრულებისა. გასული სეზონის მიწურულს კი უკვე ცნობილი გახდა, რომ ცხინვალს ძლიერი გუნდი ეყოლებოდა და რეგიონის ხელისუფლება პირველივე სეზონში მაქსიმალურად იბრძოლებდა ამ გუნდის პირდაპირ უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად. ახლადშექმნილი კლუბის მფლობელებმა თავდაპირველად გუნდის მომზადება ცხინვალის „ცხინვალის" სამწვრთნელო შტაბს დაავალეს. თუმცა მთავარ მწვრთნელად მაშინ მოიაზრებოდა არაცხინვალელი **სერგო გაბელაია**. საბოლოოდ, ანუ სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე უკვე „ცხინვალელების" გარეშე გადაწყდა „სპარტაკის" შეკრება. გუნდის მთავარ მწვრთნელად **კობა ჟორჟიკაშვილი** დაინიშნა, თავდაპირველად ამ პოსტისთვის მოაზრებული სერგო გაბელაია კი მის თანაშემწედ. კლუბის პრეზიდენტი ცხადია დიმიტრი სანაკოევი დარჩა და თანამდებობებზე დარჩნენ იმ თავდაპირველი მონახაზითაც ვიცე-პრეზიდენტებად დანიშნული **მამუკა მამაცაშვილი** და **იგორ ხუბეჟოვი**, რომლებიც იმავდროულად ცხინვალის რეგიონის დროებით ადმინისტრაციაშიც გარკვეული თანამდებობებზე მუშაობენ.

„სპარტაკის" ჩამოყალიბების პირველ პერიოდში ქართულ საფეხბურთო სამყაროში გავრცელდა აზრი, რომ იგი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე დიდი ფინანსური შესაძლებლობების გუნდი იქნებოდა, რაც ბუნებრივია უმეტესობას აფიქრებინებდა ამ კლუბის გეგმებში შემავალ საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის პერსპექტივას.

სინამდვილეში სანაკოევს არც გრანდიოზული ფინანსური შესაძლებლობების გუნდი შეუქმნია და პირველივე სეზონში „სპარტაკის" მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის არც ევროტურნირებზე ასპარეზობა დაუსახავს მიზნად.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ახალი შეკრებილი გახლდათ და რამდენიმე ფეხბურთელი საერთოდაც ჩემპიონატის სტარტამდე ორი დღით ადრე შეუერთდა კოლექტივს, „სპარტაკმა" პირველი ტურებიდანვე შეძლო უმაღლესი ლიგის სტაჟიან კლუბებთან ტოლ-სწორად ასპარეზობა. კლუბის ძირითადი ბირთვი ახალგაზრდა ფეხბურთელებისაგან შედგება. მათგან დიდ ნაწილს ჩემპიონატის სტარტზე ან საერთოდ არ ჰქონდა უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება, ან მათი სტაჟი მხოლოდ რამდენიმე მატჩით თუ შემოიფარგლებოდა. გუნდის მიერ უმაღლეს ლიგისა და საქართველოს თასის გათამაშებაზე ჩატარებულმა ოცზე მეტმა შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ცხინვალელებმა გუნდების რაოდენობის შემცირებისაკენ მიდრეკილ ჩვენი ქვეყნის ელიტურ საფეხბურთო ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვფიქრობთ, უფრო უნდა მოახერხონ, ვიდრე მისი დატოვება მოუწიოთ

მეორე წრის წინ „სპარტაკმა" ცოტა გაძლიერებაც თუ მოახერხა, უდაოდ კარგად დაამახსოვრებს თავს ფეხბურთის ქართველ ქომაგს.

თუმცა ჩვენის მხრივ კიდევ ერთხელ გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ არასპორტულ, ტექნიკურ პრობლემაზე. ცხინვალის „სპარტაკის" ჰყავს გულშემატკივართა მეტისმეტად მცირე რაოდენობა. სამწუხაროდ ვერაფრით მოხერხდა, თუ ჯერაც ვერავის მოაფიქრდა, რომ ლიახვის ხეობიდან თუნდაც ერთი ავტობუსით ჩაიყვანონ გორში ფეხბურთის იქაური გულშემატკივრები, რათა „სპარტაკს" რომელიმე საშინაო შეხვედრაში მეტოქის გულშემატკივარზე ერთით მეტი ქომაგი მაინც ჰყავდეს!

რაც შეეხება უწინდელივით მწირ დაფინანსებას მიჩვეულ ცხინვალის „ცხინვალს", ახლაც მხოლოდ საარსებოდ საკმარისი ფული აქვს და ვინაიდან ეს უფულობაზე უკეთესი გახლავთ, ბუნებრივია კმაყოფილია. გუნდი კვლავინდებურად რეგიონალლიგაში ასპარეზობს და ძირითადად 16-17 წლის ჭაბუკებით, ან სხვა გუნდებში დაწუნებული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ამ ფონზე კი სასტარტო ტურებში ნაჩვენები შედეგი (შვიდიდან შვიდი მოგება) დაგვეთანხმებით შესანიშნავი იყო, თუმცა მერე იყო სკანდალი და უახლოეს მდევართან შეხვედრაში მათი აზრით უსამართლოდ დანიშნული პენალტის გამო არბიტრის ფიზიკური შეურაცხყოფა. დაისაჯნენ კლუბის ხელმძღვანელები, გუნდიც ნელ-ნელა პირველი საფეხურიდან ქვემოთ დაეშვა.

დევნილთა ფეხბურთი მუდამ ზედმეტად პოლიტიზირებული გახლდათ და უმეტესწილად ორ უკიდურესობაში ექცეოდა. ჩინოვნიკები მას ხან დროშის ფუნქციას ანიჭებდნენ და თავმომწონედ აფრიალებდნენ, ხან კი ჩვრადაც არ ულირდათ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

# დიასამიძემ ბენფიკა დატოვა

16 წლის **გიორგი დიასამიძეს**, ვინც ლისაბონის „ბენფიკაში" იყო გასინჯვაზე, სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს. **ხოსე ანტონიო კამაჩოს** გაწვრთნილ გუნდში მან დამკვიდრება ვერ შეძლო.

დიასამიძე „ბენფიკაში" ძმები არველაძეების მიერ დარსებული „საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდის" ხელშეწყობით მივიდა გამოსაცდელი ვადით. დიასამიძე მშობლებთან ერთად ცხოვრობს პორტუგალიაში და მის გამოჩენას სხვა რომელიმე პორტუგალიურ გუნდში უნდა ველოდოთ.

**დავით თავართქილაძე**



## ლომაია გამოირიცხა

**გიორგი ლომაიას** „კარლ ცაისში" დაბრუნება საბოლოოდ გამოირიცხა. იენელთა შემადგენლობაში თურქულ შეკრებაზე ბელარუსის ეროვნული ნაკრების 29 წლის მეკარე **ვასილი ხომუტოვსკი** ისინჯებოდა, რომელმაც გუნდის სამწვრთნელო შტაბზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გერმანელებმა წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. როგორც უკვე გაცნობეთ, „კარლ ცაისის" მთავარი მწვრთნელი **ჰენინგ ბიურგერი** არც ლომაიას მიწვევას გამორიცხავდა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ქართველი კიპერი „კარლ ცაისიდან" არასასურველი ფინანსური პირობების გამო წამოვიდა, რის შემდეგაც ცოტა ხანი ლვოვის „კარპატის" წევრი იყო, ბოლო რამდენიმე თვე კი უგუნდოდაა.

ლევან ჯანეზაშვილი

## აშვეთიამ და ჯიქიამ გაიტანეს

რუსეთის პირველი დივიზიონის "ანჟიში" ამჟამად ორი ქართველი, **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი აბრამიძე** ირიცხება. თუმცა **ომარ თეთრაძის** გუნდს შესაძლოა მალე კიდევ ერთი ჩვენებური დაემატოს. რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი ფორვარდი და საერთოდ, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში გამორჩეული **რევაზ ჯიქია** უკვე რამდენიმე დღეა მახაჩყალელთა გუნდში ვარჯიშობს და ამხანაგურ მატჩებშიც ჩინებულად გამოიყურება.

თეთრაძის გუნდი ამჟამად ანთალიაში გადის მოსამზადებელ შეკრებას. მახაჩყალელებმა მორიგი ამხანაგური შეხვედრა რუსეთის პირველ დივიზიონში ახლადალზევებულ "ვიტიაზთან' გამართეს. მატჩი 2:2 დასრულდაგოლები კი ქართველებმა, აშვეთიამ და ჯიქიამ გაიტანეს.

დავით ცაბაძე



რევაზ ჯიქია

## ცხადაძემ ნეფთჩის გადაუარა

**კახა ცხადაძემ** ბაქოს „სტანდარტი" ჩაიბარა და საქმეც წარმატებით დაიწყო. საკონტროლო შეხვედრა „სტანდარტმა" თანაქალაქელ „ნეფთჩის" დუბლებთან გამართა და 4:0 გაანადგურა.

ცხადაძის ჩასვლის შემდეგ, გუნდში საკმაოდ ბევრი ლეგიონერი გამოჩნდა ბალკანეთიდან და სამხრეთ ამერიკიდან. „ნეფთჩისთან" თავი სწორედ მათ გამოიჩინეს.

მერაბ მამულაშვილი

## ნესტას იდეალური მეწყვილე

სწორედ ასე შეაფასა **კახა კალაძე** „გაძეტა დელო სპორტმა" „უდინეზე"-"მილანის" მატჩის შემდეგ. *„დროთა განმავლობაში კალაძისა და ნესტას წყვილი უფრო და უფრო საიმედო ხდება. „მილანს" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა აქვს, რაც ამ ორი ფეხბურთელის უდიდესი დამსახურებაა"*, - წერს პოპულარული იტალიური გამოცემა.

კალაძის თამაში 6,5 ქულით შეფასდა, ანალოგიური ბალი მიიღო **ალესანდრო ნესტამაც**. შეგახსენებთ, სეზონის ბოლოს ლეგენდარული **პაოლო მალდინი** კარიერას ასრულებს და კალაძე-ნესტას წყვილი უალტერნატივო გახდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მილანელთაგან საუკეთესო შეფასება - 7, მეკარე **ჟელკო კალაჩსა** და გამარჯვების გოლის ავტორ **ალბერტო ჯილარდინოს** ხვდათ წილად.

ლევან ჯანეზაშვილი

## მუჯირს ახალი დამრიგებელი ეყოლება

ირანის ჩემპიონატი დღეს განახლდება და **ჯაბა მუჯირის** „სეპაჰანი" **აქვსენტი გილაურის** „ფეგას" უმასპინძლებს. „სეპაჰანი" ახლა მეორე ადგილზეა,"ფეგა" კი ბოლო, მეთვრამეტე ადგილზე.

„სეპაჰანმა" შარშან დიდ წარმატებებს მიაღწია - აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მეოთხედფინალამდე მიაღწია.

მაგრამ ისე მოხდა, რომ გუნდი ხორვატმა მთავარმა მწვრთნელმა დატოვა - **ლუკა ბონაჩიჩმა** უკეთესი გასამრჯელოს გამო არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს მიაშურა და „ალ-ნასრი" ჩაიბარა.

„სეპაჰანის" განვრთნის ყველაზე რეალურ კანდიდატად ასევე ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩი** მიიჩნევა. ის ირანში საკმაოდ პოპულარულია - სპარსთა ეროვნული გუნდი 2006 წლის მუნდიალზე გაიყვანა, ფინალურ ეტაპზე კი ირანის ნაკრებმა ველარ იყოჩალა - ორი მატჩი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა.

დავით თავართქილაძე

## ალადაშვილი თურქეთშია, მარცვალაძე ექიმებთან

უკრაინული "ხარკოვი" თურქეთში მეორე მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრა. გუნდის თავკაცმა **ვლადიმირ ბესონოვმა** ანთალიაში 23 ფეხბურთელი იახლა. მათ შორის მხოლოდ ერთი ქართველია – **კახა ალადაშვილი**. ყველანი ველოდით, რომ ბესონოვის სიაში კიდევ ერთი ჩვენებური **ოთარ მარცვალაძეც** იქნებოდა, თუმცა როგორც გაირკვა მარცვალაძე ჯერჯერობით ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა. მისი მდგომარეობა საგანგაშო არაა, რადგან უკრაინული კლუბის ოფიციალური ვებ გვერდი იმასაც არ გამორიცხავს, რომ ფორვარდი კიდევ 2-3 ფეხბურთელთან ერთად მალე შეუერთდეს გუნდს თურქეთში.

რაც შეეხება "ხარკოვს", ბესონოვის გუნდი დღეს 22 იანვარს რუმინულ "ოცელულს" გაეჯიბრება.

## დემეტრაძის გოლი და საგოლე პასი

ანთალიაში გადის მოსამზადებელ შეკრებას **გიორგი დემეტრაძის** "არსენალიც". თბილისის "დინამოსთან" 2:2 ფრის შემდეგ უკრაინელმა "მეთოფეებმა" ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ორივე მოიგეს. ამ გამარჯვებებში ქართველმა ფორვარდმა თავისი წვლილი შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მან ორივე შეხვედრაში მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა, გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

კიევის "არსენალმა" ჯერ რუსული "სიბირი" 4:1 გაანადგურა. უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ "სიბირის" განადგურებას 46-ე წუთზე სწორედ დემეტრაძემ დაუდო სათავე.

მომდევნო შეხვედრაში უკრაინულებმა იენის კარლ ცაისს" 2:1 სძლიეს. ეს მატჩი ერთგვარი ქართული დერბი გახლდათ, მაგრამ მხოლოდ მეორე ტაიმიდან, რადგან შესვენების შემდეგ თამაშში ქართველები ჩაებნენ. "კარლ ცაისმაც" ის ერთადერთი გოლი სწორედ ქართველების თამაშში ჩართვის შემდეგ გაიტანა. მანამდე კი კიეველთა მოგებას კვლავ დემეტრაძემ დაუდო სათავე. თუმცა ამჯერად გიორგი გოლის თანაავტორად მოგვევლინა.

დავით ცაბაძე



გიორგი დემეტრაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# ვის სჭირდება გაუმაძღარი იოზილი?

## გელზენკირხენულმა კლუბმა 19 ტალანტი მოკვეთა...

„შალკეს" ახალგაზრდა ვარსკვლავმა **მესუთ იოზილმა** გუნდის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებში ბევრი ფინტები აკეთა, მაგრამ საბოლოო ჯამში მხოლოდ საკუთარი თავის მოტყუება შეძლო. იოზილისა და „შალკეს" შეფების მოლაპარაკებები საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ წარმოშობით თურქის, ისე კი გერმანიის მოქალაქისა და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ლევან კობიაშვილის** გუნდიდან მოკვეთილია. მას შეუძლია, „შალკეში" ივარჯიშოს, თამაშით კი ვერ ითამაშებს!

შაბათს გელზენკირხენელებმა „მაგდებურგთან" ტესტ-მატჩი გამართეს (1:1) და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** იოზილი განაცხადს მიღმა დატოვა. მესუთი განაცხადში არც პარასკევს, „ბაზელთან" ამხანაგურ მატჩში ყოფილა. ამ ყველაფერს თან ისიც დაერთო, რომ „შალკეს" ორივე მატჩის დროს ტრანსფარანტები ჰქონდათ გამოფენილი, სადაც ისინი იოზილის გუნდიდან მოკვეთას მოითხოვდნენ.

*„ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც „შალკე" არ უყვარს. მე უკვე ვუთხარი მის მრჩეველს, რომ მზად ვართ, ახლავე გავყიდოთ და შეგვიძლია, ნებისმიერ კლუბთან დავიწყოთ მოლაპარაკებები!"* – ეს სიტყვები „ხუმარების" გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერს** ეკუთვნის.

რა მოხდა? იოზილი ხომ „შალკეს" და საერთოდ გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა? მესუთი გელზენკირხენული კლუბის შემადგენლობაში შარშან გამოჩნდა. როცა კობიაშვილმა ტრავმა მიიღო, სლომკამ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგი სწორედ ახალგაზრდა მესუთს ანდო და ამ უკანასკნელმაც იმედები მეტ-ნაკლებად გაამართლა. ამასთან, იოზილი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი და შეუცვლელი ფიგურა გახდა. შემოდგომაზე „შალკეს" ხელმძღვანელებმა მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მოისურვეს (აქტუალურ ხელშეკრულებას ვადა 2009 წელს გასდის). მესუთის ხელფასი წელიწადში 400 000 ევროა და „შალკეს" ბოსებმა მას ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ, რომელსაც ვადა 2011 წლამდე ექნებოდა, წელიწადში მილიონნახევარი ევრო შესთავაზეს, რაზეც ფეხბურთელმა ყველასათვის მოულოდნელად უარი განაცხადა.



მესუთ იოზილს შალკეში აღარ დაედგომება

ახლა კი ცხადია, რომ იოზილი „შალკედან" უნდა წავიდეს – საუკეთესო შემთხვევაში ახლავე. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გელზენკირხენელები მას არ გააჩუქებენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ „შალკემ" ფლანგის მცველი **სებასტიან ბოენიში** „ვერდერში" 3 მილიონად გაყიდა. იოზილი კი, ბოენიშზე გაცილებით ძვირადღირებული ფეხბურთელია.

*„ჩვენ იოზილს ძალიან კარგი კონტრაქტი შევთავაზეთ და მიკვირს, უარი რომ გვითხრა. ძალიან მაინტერესებს, რომელი კლუბი შესთავაზებს სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით ამაზე უკეთეს პირობებს,"* – აცხადებს „შალკეს" პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი**. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იოზილით ლონდონის „არსენალია" დაინტერესებული.

მესუთ იოზილმა მიმდინარე სეზონში 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, აქედან 6 თამაშში ძირითად შემადგენლობაში იყო. მის ანგარიშზე 4 საგოლე პასია (არცერთი გოლი). ჩემპიონთა ლიგაში, სადაც გელზენკირხენელები მერვედფინალში „პორტუს" შეხვდებიან, მესუთმა 4 მატჩი ჩაატარა. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე ერთადერთი გოლია, რომელიც იოზილმა გერმანიის თასის პირველ რაუნდში, ობერლიგის წარმომადგენელ ტრირის „აინტრახტს" გაუტანა – შალკელებმა ის თამაში 9:0 მოიგეს.

**გოტფრიდ ლენცი**



ვან ბასტენს ჰამბურგი მოსწონს

ჰამბურგი

# სტევენსი თავის შემცვლელს ეძებს

## ვან ბასტენი დაინტერესებულია...

ვინ შეცვლის „ჰამბურგში" **ჰუუბ სტევენსს**, როცა ეს უკანასკნელი სეზონის დასრულებისთანავე მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს და „ეინდჰოვენში" წავა? ვინ გააგრძელებს მის მიერ დაწყებულ კარგ საქმეს? HSV-ს ხელმძღვანელები კანდიდატებზე ფიქრობენ და მათთან კონტაქტებს ეძებენ. აღსანიშნავია, რომ ამაში გუნდის შეფებს თვითონ სტევენსი ეხმარება, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ „ჰამბურგში" კარგი სპეციალისტი დატოვოს. ასე განსაჯეთ, გასულ უქმეებზე სტევენსი ჩრდილოგერმანული კლუბის ბოს **დიტმარ ბაიერსდორფერს** ჰოლანდიაში გაჰყვდა, სადაც რამდენიმე კანდიდატს შეახვედრებს. დიახ: „ჰამბურგი" ჰოლანდიელი მწვრთნელის შემცვლელს ჰოლანდიაში ეძებს.

ნიდერლანდებში კარგი სპეციალისტების ნაკლებობას ნამდვილად არტ უჩივიან – **რიიკაარდი, ჰიდინკი, ვან გაალი, ვან ბასტენი, ადრიაანსე, კუმანი**. სტევენსი არ მალავს, რომ თავის შემცვლელს თვითონ ეძებს. *„სხვა ჰუუბ სტევენსი არ არსებობს. „ჰამბურგი" ზუსტად ჩემნაირ მწვრთნელს ვერ იპოვის. ვინც მოვა, საკუთარი ფილოსოფია ექნება და ძალიან მინდა, რომ ჩემი ადგილი ამ გუნდში ღირსეულმა მწვრთნელმა დაიკავოს,"* – აცხადებს სტევენსი.

სხვათა შორის, ასეთ ფაქტს „ჰამბურგში" ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი. 1992 წელს ყოფილმა დამრიგებელმა **გერდ-ფოლკერ შოკმა** HSV-ს ბოსებს **ეგონ კოორდესი** ურჩია, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმედები ვერ გაამართლა – კოორდესმა „ჰამბურგში" მუშაობა და დრამატულად, უმძიმესი კრიზისით დაასრულა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ჰამბურგის" სავარაუდო მწვრთნელებმად **ბერტ ვან მარვიიკი** (ფეიენოორდი) და **ფრედ რუტენი** (ტვენტე) მოიაზრებიან. ვან მარვიიკს ბუნდესლიგაში მუშაობის გამოცდილება აქვს – ის 2004-დან 2006 წლამდე დორტმუნდის „ბორუსიას" წვრთნიდა, ახლა კი „ფეიენოორდის" თავკაცია. ამბობენ, ვან მარვიიკი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატიაო. როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ **მარკო ვან ბასტენი** ჰოლანდიის ნაკრებს დატოვებს. და აი, ლეგენდარული თავდამსხმელი, რომელსაც კლუბი ჯერ არასდროს გაუწვრთნია, „ჰამბურგს" ძალიან აქებს.

*„ეს არის გუნდი, რომელსაც უდიდესი პერსპექტივა აქვს. ეს არის გუნდი, სადაც მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ მომავალზე ვერ ვილაპარაკებ. არავინ იცის, რა მოხდება ზაფხულში. გამორიცხული არაფერია,"* – აცხადებს ვან ბასტენი, რითაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თუ „ჰამბურგის" ხელმძღვანელები დაუკავშირდებიან, მოლაპარაკებების დაწყებაზე უარს ნამდვილად არ იტყვის.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ფულჰემს კიუელი მოუნდა

## ჰოჯსონმა ყოფილი შეგირდი გაიხსენა...

"ფულჰემმა" "ლივერპულთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. ლონდონელებს **ჰარი კიუელის** გადაბირება სურთ. ავსტრალიელ გარემარბს კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში უმთავრდება. თუ მას ახალ ხელშეკრულებას არ შესთავაზებენ, სეზონის ბოლოს სხვა სამსახურის მოძებნა მოუწევს. "დეილი მეილის" ცნობით, "ფულჰემს" ფეხბურთელის უფასოდ ხელში ჩაგდება სურს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ მას "ლივერპული" ნებაყოფლობით გაუწყვეტს კონტრაქტს. ბრიტანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს ასე მოხდება. კიუელს ქრონიკული ტრავმები აწუხებს. **რაფა ბენიტესი** მასთან თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივას ვერ ხედავს.

"ფულჰემს", რომელსაც პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება, სხვა გეგმებიც აქვს. მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** შეეცდება, ნორვეგიელი თავდამსხმელი **ერიკ ნევლანდი** შეიძინოს. 30 წლის ნევლანდი ჰოლანდიურ "გრონინგენში" თამაშობს. ის ამ კლუბში გასულ ზაფხულს "ვიკინგიდან" გადავიდა და 3.5-წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ჰოჯსონი მას სწორედ "ვიკინგიდან" იცნობს. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

### საუნესი, შოტლანდიის ახალი თავკაცი?

"ლივერპულისა" და "ნიუკასლის" ყოფილი თავკაცი **გრემ საუნესი** მზადაა, შოტლანდიის ნაკრები ჩაიბაროს. ის უკვე შეხვდა ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსნებს. მწვრთნელის აზრით, გასაუბრებამ საინტერესოდ ჩაიარა. საუნესს 2006 წლის თებერვლის შემდეგ არ უმუშავია. 11 თვის წინ ის "ნიუკასლიდან" დაითხოვეს. შოტლანდიის ეროვნული გუნდის გაძღოლაზე კიდევ რამდენიმე კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. ისინი ახალგაზრდა სპეციალისტები არიან. კანდიდატთა შორის, ყველაზე სოლიდური ბექგრაუნდი საუნესს გააჩნია. ასოციაცის ფავორიტს ერთი თვის განმავლობაში დაასახელებს.

### რუსეთის ჩემპიონატი ლონდონში

რუსეთის ჩემპიონატის ახალი სეზონი მარტის მიწურულს დაიწყება. საფეხბურთო კლუბები - "მოსკვა" და "ზენიტი" უჩვეულო აქციის ჩატარებას აპირებენ. პირველ ტურში ისინი ერთმანეთის მეტოქეები იქნებიან. მათ გადაწყვიტეს, კალენდარული მატჩი ლონდონში ჩაატარონ. "მოსკვას" პრეზიდენტმა **იური ბელოუსმა** განაცხადა, რომ პეტერბურგელები თანახმანი არიან. მთავარია, გეგმა რუსეთის საფეხბურთო კავშირმა და პრემიერლიგამ მოიწონონ. მატჩის გამართვის ადგილი შერჩეულია: "ჩელსის" მშობლიური არენა "სტემფორდ ბრიჯი". "არისტოკრატების" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** მზადაა, თანამემამულეებს საკუთარ სამფლობელოში უმასპინძლოს.

### რეია ნაპოლიში რჩება

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ნაპოლიმ" "ლაციოს" უმასპინძლა. დაძაბული მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. ნეაპოლელებს გაუმართლათ: მათ ანგარიში ბოლო წუთზე გაათანაბრეს. რამდენიმე დღით ადრე ეს გუნდები იტალიის თასის მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. რომაელებმა გაიმარჯვეს და მომდევნო რაწუდის საგზურს დაეუფლნენ. საკვირაო მატჩის შემდეგ სერიოზული ინციდენტი მოხდა: "ნაპოლის" მთავარი მწვრთნელი **ედი რეია** და პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საკმაოდ ცხარე კამათი გაიმართა. მიმომხილველებმა იფიქრეს, რომ რეიას კარისკენ მიუთითებდნენ, მაგრამ როცა ემოციები ჩაცხრა, პრეზიდენტი დე ლაურენტისმა ასეთი განცხადება გააკეთა: *"გაცხარებისას ადამიანმა, შეიძლება, ყველაფერი თქვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ისე იქნება. მე და რეიამ უკვე ვილაპარაკეთ. მან დამარწმუნა, რომ კლუბში დარჩება და მუშაობას გააგრძელებს."*

### რიისეს ახალი კონტრაქტი უნდა

**ჯონ არნე რიისეს** "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს. ნორვეგიელი მცველი არ ადასტურებს ინფორმაციას მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე. ბრიტანული გაზეთების ცნობით, რიისე "ლივერპულს" იანვრის ბოლომდე გამოეთხოვება. მისი მომავალი კლუბის ვინაობას არ ამხელენ. როგორც ირკვევა, ფეხბურთელს სხვა გეგმები აქვს. რიისე აღიარებს, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა, მაგრამ ყველაფერს ილონებს, რათა მეორე წრეში მდგომარეობა კარდინალურად შეცვალოს. ჯონ არნეს კონტრაქტი გაისად ზაფხულში იწურება. მერსისაიდელებს მასთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ჯერ არ გამოუთქვამთ.

### იუვენტუსი: მელბერგით და ბუმსონგის გარეშე

"იუვენტუსის" ფრანგი მცველი **ჟან ალენ ბუმსონგი** "ლიონის" პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლას შეხვდა. მას ახლანდელ კლუბში თითქმის არ ათამაშებენ. ამიტომ ტურინიდან აჰარგება სურს. "ლიონის" ხელმძღვანელებმა ფეხბურთელის შეძენის სურვილი გამოთქვეს. "იუვე" "ასტონ ვილასთან" მოლაპარაკებებსაც აგრძელებს. მას შვედეთის ნაკრების მცველის, **ოლოფ მელბერგის** შეძენა სურს. მელბერგის ბირმინგემული კონტრაქტი ივნისში იწურება. "ქალბატონმა" ინგლისელებს 500 ათასი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. "იუვემ" შეთავაზება 200 ათასით გაზარდა. "ვილა" ფიქრობს. თუ მელბერგი გუნდში კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დარჩება, ბირმინგემელები ერთ ცენტსაც ველარ მიიღებენ.

### პორტსმუთი: კრაუჩიც, ბაროშიც

"პორტსმუთის" თავკაცი **ჰარი რედნაპი პიტერ კრაუჩის** შეძენას ცდილობს. 2005 წელს, როცა თავდამსხმელი "საუთჰემპტონიდან" "ლივერპულში" გადავიდა, რედნაპი წმინდანების მწვრთნელი იყო. ტრანსფერიც მისი ხელდასმით განხორციელდა. ახლა კი მწვრთნელს ყოფილი შეგირდის დაბრუნება უნდა და მზადაა, მერსისაიდელებს 9 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. "პორტსმუთმა" "ლივერპულის" ყოფილი თავდამსხმელი **მილან ბაროშიც** მოიკითხა. ჩეხეთის ნაკრების ვარსკვლავი "ლიონში" ასპარეზობს. ძლიერი კონკურენციის გამო მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა მხოლოდ 12 უმატჩი ჩაატარა და 3 გოლი შეაგდო.

### სუპერბოული ყველაფერს სჯობს

ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ გამოქვეყნა მონაცემები, რომელიც 2007 წლის პირდაპირი სატელევიზიო სპორტული ტრანსლაციების აუდიტორიის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ შედგა. მაყურებელთა ყველაზე დიდმა რაოდენობამ ამერიკული ფეხბურთის ფინალის (ე.წ. სუპერბოული) ტრანსლაციას ადევნა თვალი, მეორე ადგილზე გავიდა "ფორმულა 1-ის" უკანასკნელი რბოლის, ბრაზილიის ეტაპის გადამწყვეტი პირდაპირი რეპორტაჟი, ხოლო მესამეზე ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ტრანსლაცია "მილანსა" და "ლივერპულს" შორის.

### პაულეტა დაშავდა

"პარი სენ ჟერმენის" პორტუგალიელი ფორვარდი **პედრო პაულეტა** ტრავმის გამო მინდორს 10-15 დღით ჩამოშორდა. დაზიანება მან 21-ე ტურის მატჩში მიიღო "ლორიანის" (0:1) წინააღმდეგ. ის მინდორზე პირველი ნახევრის შემდეგ შევიდა, მაგრამ ბარძაყის კუნთი ისე დაეჭიმა, რომ იძულებული გახდა 62-ე წუთზე შეცვლა ეთხოვა. მსგავსი ტრავმების მკურნალობას დაახლოებით ორი კვირა სჭირდებაო, გვამცნობს "ეკიპი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის სასჯელი ემუქრება

## ორი დღე არაბეთში და მოახლოებული სათასო მატჩი ტოტენჰემთან



სერ ალექს ფერგიუსონს შეიძლება დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ...

**სერ ალექს ფერგიუსონი** მისი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის შეუფერებელ საქციელშია მხილებული. საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომისიაში აცხადებენ, რომ მან "რედინგის" ფანებს შეურაცხმყოფელი ჟესტი უჩვენა. დავაზუსტებთ, ეს ჟესტი არა ფანების, არამედ "რედინგის" მეორე მწვრთნელის, **ველი დაუნსისკენ** იყო მიმართული.

შაბათს, "რედინგთან" მატჩის 90-ე წუთზე **კრისტიანო რონალდომ** მეორე გოლი შეაგდო. მან გუნდს სამი ქულა დაუბევა. ფერგის სიხარული იმდენად უსაზღვრო აღმოჩნდა, რომ ხელების ქნევას მოჰყვა. სწორედ ამ დროს გააკეთა ხელის ისეთი მოძრაობა, როგორითაც ბაიერნელმა **მარკ ვან ბომელმა** მადრიდში, "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშისას დაგვამახსოვრა თავი. ცხადია, ეს ჟესტი საფეხბურთო ასოციაციას უყურადღებოდ არ დარჩენია. თავად ფერგი მომხდარს შემთხვევითობას უწოდებს და საკუთარ თავი უდანაშაულოდ მიაჩნია. *"რედინგთან" სეზონის ურთულესი მატჩი ჩავატარეთ. ჩემი რეაქცია ამ თამაშის მოგებით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავდა და მეტს არაფერს,"* - განუცხადა სერ ალექსმა "დეილი მეილს". მაგრამ ასოციაციას მწვრთნელის გულწრფელობაში ეჭვი ეპარება. მან ხსენებული ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერია შესწავლა დაიწყო. ცოტა ხნის წინათ, "ბოლტონთან" ნამატჩევს, ფერგიუსონმა არბიტრთან საუბრისას ენა წაიბილწა. ამიტომ 5 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. მორიგი უდისციპლინობა მას, შეიძლება, დისკვალიფიკაციად დაუჯდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ "რედინგის" ხელმძღვანელობას "იუნაიტედის" მწვრთნელის მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამს. თამაშის დასრულებისთანავე ფერგიმ ხელი ჩამოართვა მეტოქის დამრიგებელ **სტივ კოპელს** და იმ ველი დაუნსსაც, რომელიც თითქოსდა შეურაცხყო. ნახევარი საათის შემდეგ სერ ალექსი, კოპელი და დაუნსი ერთ მაგიდასთან ისხდნენ და თითო ჭიქა წითელ ღვინოს შეექცეოდნენ. "რედინგის" თავკაცმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მას (ფერგიუსონს) დიდი ხანია, ვიცნობ. სერ ალექსი ოდნავადაც არ იცვლება. ის ისეთივე ემოციურია, როგორიც უწინ და ძველებურად ხალხზე ზემოქმედებას ცდილობს. ველი დაუნსთან დაკავშირებულ ეპიზოდს დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი. ფერგი მსაჯით იყო უკმაყოფილო. მას მიიჩნია, რომ არბიტრმა თამაშს მეტისმეტად დიდი დრო დაამატა."*

თამაშის დასრულებისთანავე "მანჩესტერ იუნაიტედი" საუდის არაბეთში გაფრინდა. გუშინ მან ელ რიადში ამხანაგური მატჩი გამართა. შეხვედრა საუდელთა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელს, **სემი ალ ჯაბერის** მიეძღვნა. ის პროფესიული სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს. "მანჩესტერზე" უკეთეს სტუმარს კი, აბა, ვინ ინატრებდა? ორდღიანი ვიზიტისათვის "ეშმაკებს" მილიონნახევარი დოლარი გადაუხადეს. გუნდს აეროპორტში უთვალავი ფანი დახვდა. ისინი სასტუმროში საპატიო ესკორტით მიაცილეს. შეხვედრას მეფე ფაჰდის სახელობის სტადიონმა" უმასპინძლა. 70 ათასი ბილეთი თამაშამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. მიომხილველთა ერთმა ნაწილმა ამ მგზავრობას დროის უაზროდ ხარჯვა უწოდა. მომავალ უქმეებზე "მანჩესტერს" ტოტენჰემთან ასოციაციის თასის მატჩი ელის. ფერგი დარწმუნებულია, რომ არაბული ვოიაჟი თამაშისათვის მზადებას ხელს ვერ შეუშლის და რომ მის შეგირდებს დასასვენებლად და სრულფასოვანი ვარჯიშებისათვის საკმარისი დრო ექნებათ.



მანჩესტერ სიტი

# ერიქსონი თანამემამულეებს აკრიტიკებს

## პეტროვი ლიგაზე ოცნებობს

"მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **სვენ-გორან ერიქსონმა** "ვესტ ჰემთან" მატჩის (1:1) შემდეგ თანამემამულე ჟურნალისტები გააკრიტიკა. სვენს მიაჩნია, რომ შვედეთში მის შესახებ ძალიან ბევრს და უსაგნოდ ჭორაობენ. აი, რა განუცხადა მან "სპორტინგ ლაიფს": *"ძალიან ადვილია, იჯდე შვედეთში და წერდე იმაზე, რაც მანჩესტერში, ჩვენს ბაზაზე ხდება, მაგრამ ეს მე უსამართლობად მიმაჩნია. ერთ გაზეთში ისიც კი ეწერა, რომ მე ანდრეას ისაქსონთან ვიჩხუბე. ეს სისულელეა. ცხოვრებაში ერთმანეთისთვის ცუდი სიტყვაც კი არ გვიკადრებია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საკუთარ თავს პროფესიონალად ვთვლი და ფეხბურთელთან ჩხუბს არასოდეს ვიკადრებ."*

ლონდონელებთან ნამატჩევს სვენმა საკუთარი გუნდის 20 წლის მეკარე ჯო ჰარტზე ალმაცებულ ტონში ისაუბრა. *"მას დიდი მომავალი აქვს. ჯომ ეს არაერთხელ დაამტკიცა. მისი ასაკისთვის, ძალიან სტაბილურად თამაშობს. მეჩვენება, რომ მასში ყველაფერი იდეალურადაა შემწყმული. ფეხბურთელის ფიზიკური მონაცემები (191 სმ) ზედგამოჭრილია მაღალი კლასის მეკარისთვის. ამასთან, ის საოცრად გამბედავია. ერთადერთი, რაც არ ჰყოფნის, გამოცდილებაა, თუმცა ის წლებთან ერთად მოდის. ისღა დარჩენია, კარში იდგეს და გამოცდილება თამაშიდან თამაშამდე დააგროვოს..."*

აქვე გეტყვით, რომ "სიტის" ფეხბურთელებმა თავიანთ მწვრთნელს **"ალან პარტრიჯი"** შეარქვეს. ქართველ გულშემატკივარს ეს მეტსახელი ბევრს არაფერს ეუბნება. პარტრიჯი ბი-ბი-სის პოპულარული კომედიური სერიალის გმირია. სვენს კი ასეთი პატივი იმიტომ ერგო, რომ ამ გმირივით სულ სახლშია და გარეთ ცხვირს არ ჰყოფს. დიახ, ბრიტანელი მიმომხილველები ირწმუნებიან, რომ "სიტის" თავკაცი თითქმის მთელ თავისუფალი დროს მანჩესტერის სასტუმრო "რედისონ ედვარდიანში" ატარებს. ის სახლს ეძებს, მაგრამ სასურველ ბინას ჯერ ვერ მიაგნო და უკვე მეექვსე თვეა, სასტუმროში იმყოფება. ეტყობა, იქაურობა ძალიან მოსწონს. ისე ძალია, რომ ვარჯიშების დასრულებისთანავე სასტუმროში ბრუნდება და ნომერში იკეტება. "რედისონ ედვარდიანი" ქერინგტონის საწვრთნელ კომპლექსთან ახლოს მდებარეობს (მანჩესტერ იუნაიტედის ბაზაც იმავე კვარტალშია). სვენი სამსახურში ელექტრომობილით დაიარება, აი, ისეთით, გოლფის თამაშისას რომ იყენებენ ხოლმე. ერიქსონის ელექტრომობილს სპეციალური სანომრე ნიშანი აქვს - SGE1 (სვენ გორან ერიქსონი 1).

"მანჩესტერ სიტიზე" საუბარს ერთი კომენტარით დავასრულებთ. გუნდის ბულგარელი ლეგიონერი **მარტინ პეტროვი** დარწმუნებულია, რომ "სიტის" "ლივერპულისათვის" მეოთხე ადგილის წართმევა შეუძლია და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაბევებაც: *"თუ მერსისაიდელები ასე გააგრძელებენ თამაშს, მაშინ აუცილებლად მოგვეცემა მათი გადასწრების შანსი. ასეთი შანსი არა მხოლოდ ჩვენ, არამედ "ევერტონსა" და "ასტონ ვილასაც" გაუჩნდებათ. ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ვოცნებობ. ვფიქრობ, ეს რეალურია. ჩვენ კარგ ფორმაში ვართ და თუ ოდნავ მოვუმატებთ, მეოთხე ადგილი სავსებით ხელმისაწვდომი იქნება?"* პეტროვმა "ევერტონი" ახსენა. ბოლო ტურის შემდეგ ევერტონელებმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს, თუმცა "ლივერპული" "ასტონ ვილასთან" კალენდარულ მატჩს ნუხელ მართავდა და გამარჯვების შემთხვევაში, თანაქალაქელის გადასწრება შეეძლო.

მოსალოდნელი გარიგება

# იყიდება თუ არა ლივერპული?

## ჰიკსი სპეკულაციებს ისევ კატეგორიულად უარყოფს...

"ლივერპულის" თანამფლობელმა **ტომ ჰიკსმა** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს მის ხელთ არსებული აქციების გაყიდვას აპირებდეს. გახულ უქმეებზე ბრიტანულ გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, რომელთა თანახმად, "ლივერპულის" შეძენას კომპანია "დუბაი ინთერნეშენალ კაპიტალი" აპირებდა. ტაბლოიდების მტკიცებით, ამერიკელებთან შეთანხმება მიღწეული იყო. არაბები 350 მილიონ გირვანქას იხდიდნენ. სხვა წყაროების ცნობით, კომპენსაცია ნახევარ მილიარდს აღწევდა.

მაგრამ ჰიკსმა ყველას ცივი წყალი გადაავლო. მან გავრცელებულ ინფორმაციას წმიდა წყლის სპეკულაცია უწოდა და განაცხადა: *"დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალთან" არ მისაუბრია. კლუბის გაყიდვის თხოვნით ჩემთვის არავის მოუმართავს. შემიძლია, დაგარწმუნოთ, ასეთი შეთავაზების შემთხვევაში, პასუხი უარყოფილი იქნება. "ლივერპულის" გაყიდვას არ ვაპირებ."*

შეგახსენებთ, არაბული კომპანია "ლივერპულის" შეძენას ერთი წლის წინაც ცდილობდა, მაგრამ კლუბის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უპირატესობა **ჯორჯ ჯილეტისა** და ტომ ჰიკსის დუეტს მიანიჭა. მერსისაიდელთა მაღალჩინოსნები აღიარებენ, რომ ლივერპულელთა მაშინდელმა თავმჯდომარემ **დევიდ მურსმა** შეცდომა დაუშვა. ამერიკელები ინგლისური გრანდის გასაძლოლად მზად არ აღმოჩნდნენ. არაოფიციალური ინფორმაციით, მათ ფინანსური პრობლემები შეექმნათ. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც კლუბი შეიძლება გაიყიდოს. "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" კომენტარებისაგან ჯიუტად იკავებს თავს.



ტომ ჰიკსი არაბებთან მოლაპარაკებების ფაქტს არ ადასტურებს

მილანი. ტრანსფერები

# ძამბროტა სეზონის ბოლოს მაინც

## გალიანი ჯილარდინოს გაყიდვას კატეგორიულად გამორიცხავს...

"მილანმა" "ბარსელონას" ოფიციალურად შესთავაზა **ჯანლუკა ძამბროტას** გაყიდვა. ეს ინფორმაცია "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** გაავრცელა და იქვე დასძინა: კატალონიელების პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** განგვიცხადა, რომ იანვრის ტრანსფერებისას ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს, ჩვენი კი იმედს არ ვკარგავთ, რომ მოლაპარაკებებს შედეგიანად დავასრულებთ და თვის ბოლომდე თუ არა, სეზონის დასრულებისთანავე ძამბროტა "მილანში" ჩაირიცხებაო. გალიანი სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც შეეხო. მაგალითად, **ალბერტო ჯილარდინოს** შესაძლო ტრანსფერს. იტალიური სააგენტოები მთელი შემოდგომის განმავლობაში ამტკიცებდნენ, ჯილარდინოს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევსო. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "მილანი" "უდინეზეს" შეხვდა. "როსონერიმ" მინიმალური ანგარიშით მოიგო. ერთადერთი გოლი, მატჩის ბოლო წუთზე, ჯილარდინომ გაიტანა. ის თამაშში ექვსი წუთით ადრე ჩაერთო. გალიანის თქმით, ალბერტო მილანისათვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ამიტომ მისი გაყიდვა არცკი განიხილება. *"უახლოეს დღეებში ჯილარდინოს აგენტს შევხვდებით და ახალ კონტრაქტს შევთავაზებთ. ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით მტკიცედ ჩამოყალიბებული აზრი გამაჩნია. მას 15 მილიონ ევროდაც კი არ გავყიდდი,"* - დასძინა გალიანიმ.

### ლაციოდან ბრიტანეთში?

რომის "ლაციოს" ფეხბურთელი **გილერმო სტენდარდო** შეიძლება ბრიტანეთში გადაბარგდეს. ახოვანი (190 სმ, 89 კგ) იტალიელი ცენტრალური მცველის სამსახურით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის "სელტიკი", "ფულჰემი" და "ბირმინგემი". არჩევანი ფეხბურთელზეა. წლევანდელ სეზონში მის ანგარიშზე 13 თამაშია.

### ადრიანო დაბრუნებას აპირებს

"ინტერის" თავდამსხმელი, ამ ბოლო ხანებში სკანდალებით სახელმოხვეჭილი **ადრიანო**, ვინც ახლა არენდის წესით "სან პაულუში" თამაშობს, იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ მილანში დაბრუნებას აპირებს. *"იმედს ვიტოვებ, რომ კარიერას სწორედ "ინტერში" გავაგრძელებ. დიახ, მე მქონდა პრობლემები როგორც მწვრთნელთან, ისე კლუბის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ მე მათ დავუმტკიცებ, რომ ძალიან შევიცვალე და ღირსი ვარ ამ დიადი კლუბის წევრი მერქვას,"* - მოჰყავს ბრაზილიელის ციტატა "გაძეტა დელო სპორტს".

### ოლიმპიადაზე ვარსკვლავებიც წავლენ

მოგეხსენებათ, ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე გუნდები 23-წლამდელი ფეხბურთელებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ამასთან , თითოეულ გუნდს ამ ასაკს გადაცილებული 3 ფეხბურთელის წაყვანის უფლება აქვს. არგენტინის ოლიმპიური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ბატისტამ** დაასახელა სწორედ ეს სამი მოთამაშე. მაშ ასე, მისი სურვილია, რომ თან იახლოს შემდეგი ფეხბურთელები: **ხუან რომან რიკელმე, ხავიერ მასკერანო** და **მარტინ დემიკელისი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინა. ახალი მწვრთნელი

# ლობანოვსკის მოსწავლე

## მიხაილიჩენკო ნულიდან არ დაიწყებს, თუმცა უკრაინას გადახალისება მაინც არ ასცდება

ორი კვირის წინ, უკრაინის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად კიევის "დინამოსა" და საბჭოთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ალექსეი მიხაილიჩენკო დაინიშნა. ოლეგ ბლოხინის მემკვიდრისგან ახლობელი ქვეყნის საფეხბურთო სამყარო ნაკრების შემადგენლობის განახლებასა და მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გასვლას ელოდება...

### დაგეგმილი ცვლა

ალექსეი მიხაილიჩენკო უკრაინის ნაკრებს იანვრის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში. ის 44 წლისაა. თავის დროზე, მიხაილიჩენკო და **ოლეგ ბლოხინი** ერთად თამაშობდნენ 80-ანი წლების კიევის "დინამოში". სხვათა შორის, კარიერის დასაწყისში "მიხა" ფორვარდი გახლდათ და სწორედ პენსიაში მიმავალი ბლოხინის შემცვლელად მოიაზრებოდა. მერე მიხაილიჩენკო შემტევი ნახევარმცველი გახდა. მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და აი, მან მართლაც შეცვალა ბლოხინი, ოღონდ, გაცილებით მაღალ რანგში: უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე...

### დაფარული რეზერვები

"ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა, იყოს მოთხოვნადი, - ამბობს მიხაილიჩენკო, - მაგრამ როცა ნაკრების თავკაცის სკამს განდობენ, ესაა სამწვრთნელო შემოქმედების უმაღლესი მწვერვალი. არ მეგულება მწვრთნელი, რომელიც ამაზე არ ოცნებობდეს. ახლა, ჩემთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ ეს უზარმაზარი ნდობა გავამართლო, ან უბრალოდ, დავუმტკიცო ჩემი კვალიფიკაცია იმ ხალხს, ვისაც ჩემი არ სჯერა. ნაციონალური გუნდი თითოეული პროფესიონალისთვის უმაღლესი დონეა. ჩვენ მაქსიმუმისთვის უნდა განვეწყოთ. არ უნდა დავივიწყოთ პატრიოტული მომენტიც და, მე თუ შკითხავთ, სწორედ ამ ასპექტში უნდა ვეძებოთ კიდეც ჩვენი დაფარული რეზერვები".

### მიხაილიჩენკოს კარიერა

როგორც ზემოთ ვთქვით, წლების წინ მიხაილიჩენკოს ბლოხინის მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ განსხვავებით ლეგენდარული ბლოხინისგან, მიხაილიჩენკო ბომბარდირად ვერ ჩამოყალიბდა, ვერ მოიგო "ოქროს ბურთი", როგორც ეს ერთ დროს (1975 წელს) ბლოხინმა შეძლო, ვერც მისი რეკორდები "გადაწერა"... მაგრამ "მიხასაც" აქვს თავისი ღირსებები. მაგალითად, სეულის ოლიმპიადის (1988) ოქრო, ევრო 88-ის ვერცხლი, დაუმატეთ ამას საბჭოური, იტალიური და შოტლანდიური საჩემპიონო ტიტულები... სხვათა შორის, მას წარმატებები უკვე სამწვრთნელო ასპარეზზეც აქვს: 2006 წელს, უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის რანგში, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიგო.

### ლობანოვსკის ფრთის ქვეშ

როგორც ბლოხინი, ვისი სათამაშო კარიერაც ლეგენდარული მწვრთნელის **ვალერი ლობანოვსკის** მოღვაწეობის წლებს დაემთხვა, მიხაილიჩენკოც ასევე ლობანოვსკისეულ "დინამოსა" და საბჭოთა ნაკრებში ჩამოყალიბდა, როგორც ფეხბურთელი და პიროვნება. მეტიც: სწორედ ლობანოვსკი იყო ის მწვრთნელი, რომელმაც კარიერის დასრულებისთანავე, მიხაილიჩენკო "დინამოში" ასისტენტად მიიწვია. 2002 წელს, როცა დიდი მეტრი ამ ქვეყნიდან წავიდა, უკვე ნასწავლმა შეგირდმა მისგან უკრაინული საკლუბო ფეხბურთის გრანდი ჩაიბარა და ორჯერ მიიყვანა ქვეყნის ჩემპიონობამდე, თან ზედ თასიცა და სუპერთასიც დაუმატა.

### მემკვიდრეობითობა

და კიდევ: თუკი ბლოხინი ეჭვის თვალით უყურებდა ყველა მცდელობას, რომ ის ლობანოვსკისეული სკოლის მიმდევრად ეღიარებინათ, მიხაილიჩენკო პირიქით - არათუ აღიარებს, არამედ ამაყობს კიდეც იმით, რომ ლობანოვსკის მოსწავლე და მისი საფეხბურთო მსოფლმხედველობის მატარებელია. მოკლედ, მემკვიდრეობითობის ცნება მისთვის აბსოლუტურად მისაღებია, განსხვავებით ბლოხინისგან. სხვათა შორის, მიხაილიჩენკო არც წინამორბედს უკარგავს დამსახურებას.

"აზრადაც არ მომსვლია, რომ ნაკრებში ყველაფერი ნულიდან დავიწყო, - აცხადებს უკრაინელთა ახალი დამრიგებელი, - სწორედაც რომ პირიქითაა: ჩვენ უნდა მადლობა ვუთხრათ ბლოხინს იმ უზარმაზარი და ნაყოფიერი სამუშაოსთვის, რაც ამ წლების განმავლობაში გასწია და რასაც მიაღწია. ამას გარდა, ოლეგთან ერთად ჩვენ ნაყოფიერად ვიმუშავეთ წინა ციკლებში. ჩვენ არა მარტო კოლეგები, არამედ მეგობრებიც ვართ. ასე რომ, ბლოხინს აუცილებლად შევხვდები და ბევრ რამეზე ვილაპარაკებთ".

### ასაკოვანი მოთამაშეები

რაზეც არ უნდა ესაუბროს ბლოხინი თავის მეგობარს, უკრაინელები შემადგენლობის განახლებას მაინც ვერ ასცდებიან. ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში, რომელიც მათ იტალიის, საფრანგეთისა და შოტლანდიის შემდეგ მეოთხე ადგილზე დაასრულეს, გუნდში არაერთი ასაკოვანი მოთამაშე იყო. და ეს ის მოთამაშეები იყვნენ, რომელთა კარიერის საუკეთესო წლები წარსულში დარჩა. საკმარისია გავიხსენოთ 33 წლის **ალექსანდრ შოვკოვსკი, ვლადისლავ ვაშჩუკი, სერგეი ფიოდოროვი, სერგეი რებროვი,** 31 წლის **ვლადიმირ იეზერსკი, ოლეგ შელაევი**... ესეც არ იყოს, მთავარი უკრაინელი ვარსკვლავი **ანდრეი შევჩენკო** სამხრეთაფრიკული მუნდიალისთვის უკვე 32 წლისა იქნება...

### პასუხის ძიებაში

"ჩემი აზრით, უფრო ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ რეზერვი და ჩვენ ეს რეზერვი ნამდვილად გაგვაჩნია, - აგრძელებს მიხაილიჩენკო, - ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც ბოლო წლებში გამოჩნდა, უდავოდ იმსახურებს შანსს, რომ საკუთარი თავი უფრო მაღალ დონეზე წარმოაჩინოს".

ახალმა მწვრთნელმა იცის, რაზეც ლაპარაკობს. 2005 წლიდან სწორედ მის ხელში გაიარეს საუკეთესო უკრაინელმა ახალგაზრდებმა. მაგრამ არიან კი ისინი მზად, შეცვალონ ვეტერანები? ამ კითხვას თავად მიხაილიჩენკომ უნდა უპასუხოს. მას ნათლად დაუსახეს ამოცანა: მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა.



ალექსეი მიხაილიჩენკო

### პერსპექტივაში...

მაგრამ უკრაინის ნაკრებისთვის, ახლო პერსპექტივასთან ერთად, უკვე აშკარად იკვეთება ცოტა შორეული პერსპექტივაც. მხედველობაში გვაქვს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი, რომლის თანამასპინძელიც, პოლონეთთან ერთად, უკრაინაც გახლავთ. ამ გზაზე, უკრაინის ნაკრები შესარჩევი ციკლისგან თავისუფალი იქნება. ამიტომ, იქ ესმით, რომ შემადგენლობის კარდინალური გადახალისება, თუკი ეს იგეგმება, ერთ-ორ წელზეა გათვლილი. მერე უკრაინას რჩება დრო, რომელიც უკვე თამაშის სტაბილიზაციაზე უნდა დახარჯოს. ეტყობა, იქაური ფეხბურთის მამებმა სწორედ ამ გათვლით არჩიეს მიხაილიჩენკო მთავარ მწვრთნელად, მიხაილიჩენკო თავის ახალგაზრდებიანად...




ნიუკასლის მეპატრონე მაიკ ეშლი და კევინ კიგანი

ინტერვიუ კევინ კიგანთან

# ნიუკასლს ყველაზე მეტად მე ვჭირდებოდი

## კიგანი შირერს თანაშემწედ იწვევს

**ამბობენ**, ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიანო. ინგლისელები ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებად აღიარებულ ამ თეზას არ სცნობენ. ამის ერთ-ერთი, ნათელი მაგალითია "ნიუკასლში" კევინ კიგანის დაბრუნება. 56 წლის სპეციალისტმა შეცვალა სემ ელერდაისი, რომელმაც სკამი "მანჩესტერ იუნაიტედთან" კატასტროფული მარცხის (0:6) შემდეგ გაათავისუფლა. ახლა ძნელია საუბარი და მარჩიელობა იმაზე, თუ როგორი იქნება 70-ანი წლების ცნობილი ვარსკვლავის ახალი ნიუკასლური ეპოპეა, თუმცა ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჯორდების" ქომაგთა ბოლო ათწლეულის საუკეთესო მოგონებები სწორედ კიგანის სახელს უკავშირდება. მან პოსტი პარასკევს ჩაიბარა, შაბათს კი მისმა "ნიუკასლმა" "ბოლტონთან" შინ ვერაფერი გააწყო (0:0). დანიშვნისთანავე, ის დაპირდა "სენტ ჯეიმს პარკის" პუბლიკას, რომ 90-ანი წლების "ნიუკასლს" დააბრუნებს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კიგანმა BBC-ს მისცა...

**- მისტერ კიგან, გესმით, რამხელა სიძნელეებთან მოგიწევთ შეჭიდება?**

- "ნიუკასლსა" და მის ფილოსოფიას კარგად ვიცნობ. აქ ვთამაშობდი, მერე მწვრთნელადაც ვმუშობდი... ვიცი ისიც, თუ რა უნდა კლუბის ფანებს. ასე რომ, დეტალების გარკვევაზე დროს არ დავკარგავ. "ნიუკასლი" განსაკუთრებული კლუბია. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ასე მგონია, რომ ამ კლუბს ყველაზე მეტად მე ვჭირდებოდი იმისთვის, რომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს. სიძნელეები ყველა მწვრთნელს აქვს და ეს ნამდვილად არ მაშინებს, პირიქით, ჩემთვის ეს ახალი გამოწვევა და სტიმულია.

**- ამბობენ, თითქოს კლუბში ალან შირერის მოწვევა გსურთ. მართალია?**

- მინდა, შირერს "ნიუკასლში" დაბრუნება შევთავაზო, ოღონდ, ჩემი თანაშემწის როლში. თუ ეს ის არის, რაც მას სურს, მაშინ მე მოხარული ვიქნებოდი, ალანი ამ თანამდებობაზე მალე მენახა. მაგრამ კლუბში ეს საკითხი ჯერ არ განხილულა.

**- როგორ შეაფასებდით იმ ბოლო 11 წელიწადს, რომელიც "ნიუკასლის" გარეშე გაატარეთ?**

- უკანასკნელ წლებში არაერთი წინადადება მივიღე სხვადასხვა კლუბისგან, მაგრამ ყოველგვარი პირფერობის გარეშე უნდა ვთქვა, რომ "ნიუკასლის" შეთავაზება მათგან ყველაზე სოლიდური იყო.

**- რა შეგიძლიათ თქვათ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც ახლა თქვენს განკარგულებაში არიან?**

- გუნდში ძალიან ბევრი მაღალი დონის მოთამაშეა. მაგალითად, როცა მაიკლ ოუენსა და მარკ ვიდუკას უყურებ, ასეთ ვარსკვლავებს მერე სხვა კლუბებში ეძებ, რათა გუნდში მიიწვიო, მაგრამ ბედნიერებაა, რომ ოუენი და ვიდუკა ჩვენ უკვე გვყავს და თავდასხმის რგოლზე ბევრი თავსატეხი არ გვაქვს. სხვებზეც შეიძლება ნდობა... თუნდაც ნიკი ბატი, ალან სმიტი... მათ "მანჩესტერ იუნაიტედში" ყველაფერი ნახეს, ან კიდევ დემიენ დაფი, რომელსაც დიდი სანაკრებო გამოცდილებაც აქვს...

**- მოგვიყევით, როგორ მიდიოდა მოლაპარაკებები თქვენსა და "ნიუკასლის" ხელმძღვანელობას შორის?**

- როცა კლუბის მფლობელმა მაიკ ეშლიმ დამირეკა და დაბრუნება შემომთავაზა, ბევრი არ მიფიქრია. ჩვენ შევხვდით და... სადღაც ხუთ საათში ყველაფერზე შევთანხმდით. მე ვკითხე მას - რის მიღწევას ითხოვთ კლუბისგან-მეთქი? მინდა, რაღაც მოვიგოთო - მიპასუხა. ძალიან მესიამოვნა... იცით, 11 წლის განმავლობაში გულდამშვიდებული ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორც ცდილობდნენ მაჭანწი სახელის მოხვეჭას იმ ბაზისზე, რაც "ნიუკასლიდან" წასვლის შემდეგ დავტოვე. გნებავთ, ამას გამოწვევა დაარქვით და, მჯერა, რომ მოვიგებთ თასს და ოთხეულშიც დავბრუნდებით. თუკი ეს ერთხელ გავაკეთეთ, ესეიგი მეორედაც გამოგვივა. მინდა, დიდი "ნიუკასლი" ვნახო...

**- რა ცვლილებებს გეგმავთ უახლოეს მომავალში?**

- აუცილებელია გუნდის გაძლიერება და ეს პირველი რიგის ამოცანად მესახება. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია სერიოზული მოთამაშეების ყიდვა. შემადგენლობის კონკურენტუნარიანობა უნდა გაიზარდოს. ბევრი დრო არ გვაქვს იმისთვის, რომ ხმაურიანი ტრანსფერი განვახორციელოთ, მაგრამ ამას ყოველ მიზეზგარეშე ვეცდებით. საქმე ისაა, რომ ზამთრის პერიოდში ფეხბურთელები გუნდიდან გუნდში გადასვლას მაქსიმალურად ერიდებიან ხოლმე... ვნახოთ... ორი-სამი მოთამაშის ყიდვას ვაპირებთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დავრწმუნდებით, რომ მათ რეალურად შეუძლიათ გუნდის გაძლიერება.

**- "ნიუკასლში" თამაშობს ჯოი ბარტონი, რომელსაც თავის დროზე არცთუ სასიამოვნოდ დაშორდით. რა ემოციებს იწვევს თქვენში ეს მომენტი?**

- ემოცია ის არის, რომ 9-წლიანი განშორების შემდეგ ჯოისთან ერთად მუშაობის საშუალება კიდევ მომეცემა. ვეცდები, დავეხმარო ყოველმხრივ, რითიც შემეძლება. მან გულახდილად თქვა, რომ დახმარებას საჭიროებს. ჯოი ბრწყინვალე მოთამაშეა. დიახ, მას აქვს პრობლემები და მე შევპირდი, რომ ამას ერთად მოვაგვარებთ. თავის დროზე, ჩვენი ურთიერთობები ვერ აეწყო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთადერთი მიზანი, რაც მას ამოძრავებს, "ნიუკასლის" კეთილდღეობისთვის ზრუნვაა. ამაში თითოეულმა ფეხბურთელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, მათ შორის, ბარტონმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ხალისობა მიუნხენურად

## რიბერიმ და ჰამითმა თვითმფრინავში ტონი დაბომბეს. მხოლოდ პოდოლსკის არ ეცინება...



ლუკა ტონის თანაგუნდელები თავს დაესხნენ. შედეგად, ყველამ გულიანად იცინა...

მიუნხენის „ბაიერნი" მარბელიური შეკრებიდან იდეალურად მომზადებული და შესანიშნავ ხასიათზე მყოფი დაბრუნდა. ამის დასტური ისაა, რაც თვითმფრინავში მოხდა. სანამ რეკორდმაისტერის ლაინერი მიუნხენში დაშვებას დაიწყებდა, **ფრანკ რიბერისა** და **ჰამით ალთინთოფის** დაშოშმინება შეუძლებელი გახდა. ფრანგმა და თურქმა მიზანში მიუნხენური კლუბის იტალიელი ლეგიონერი **ლუკა ტონი** ამოილეს – ჯერ ლუფთ-ჰანზას ბალიშები დაუშინეს, მერე კი ზემოდან დაახტნენ და გუდავდნენ. ეს ყველაფერი კი, რალა თქმა უნდა, სიცილ-ხარხარის ფონზე ხდებოდა. ყვირილი, ტაში, ხარხარი – ბავარიელები შესანიშნავ ხასიათზე არიან და ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ პირველი წრის მინურულს წარმოქმნილი ქაოსი უკვე წარსულს ჩაბარდა. ერთი შეხედვითო, იმიტომ ვამბობთ, რომ ნამდვილად ასეა თუ არა, ეს მეორე წრის დაწყების შემდეგ გამოჩნდება.

**ბრენოს** ტრანსფერი შედგა, **ჰიტცფელდის** მომავალი გაირკვა, **კლინსმანი** „ბაიერნის" გაწვრთნას დათანხმდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრში და სრულ მზადყოფნაშია – ბავარიელები მარბელიიდან კარგად მოზადებულები დაბრუნდნენ და სეზონის მეორე ნახევრის სტარტს პრობლემების გარეშე ხვდებიან.

ყველაზე ხალისიანად რიბერი გამოიყურება. სამსაათიანი ფრენისას ყველაზე მეტს სწორედ ფრანგი ნახევარმცველი ონავრობდა: თანაგუნდელებს ეხუმრებოდა, ჩაძინებულ **ვან ბუიტენს** ცხვირზე უჭერდა, რითაც „ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი** გულიანად ახარხარა. ენაჭარტალა ული კი ამაყად უყურებდა თავის გუნდს – ისიც კარგ ხასიათზეა.

*„მარბელიაში იდეალურად მოვემზადეთ. არავინ გაბრაზებულა და არავინ დაშავებულა, ვიმუშავეთ და შედეგიც სახეზეა – ყველანაირად კარგ ფორმაში ვართ. გაიხსენეთ, ზაფხულიდან მოყოლებული 10 ფეხბურთელი დავიმატეთ და ახლა ყოველუი მათგანი იდეალურად გრძნობს თავს,"* – ეს **ოტმარ ჰიტცფელდის** სიტყვები გახლავთ, რომელიც ასევე სიცილის ხასიათზეა.

ერთადერთი, ვისაც „ბაიერნში" ნამდვილად არ ეცინება და საქმე აშკარად ცუდად აქვს, **ლუკას პოდოლსკია**. ორი დღის წინათ ჰიტცფელდმა მას ახალი დარტყმა მიაყენა, თუმცა ეს არ გახლდათ დაუმსახურებელი დარტყმა. მოხდა ის, რომ მწვრთნეკლის თქმით, პოდოლსკი დღესდღეობით „ბაიერნის" მე-4, ანუ, უკანასკნელი თავდამსხმელია. *„ალბათ ბევრ ლაპარაკს არ საჭიროებს ის, რომ ტონის და კლოზეს ძირითად შემადგენლობაში თამაში განაღდებული აქვთ. ლუკასი ახლა ცუდ ფორმაშია და ასეთ ფორმაში მყოფს განაცხადშიც კი ვერ შევიყვან. შეკრება ვერ გამოიყენა და ძვირფასი დრო დაკარგა. მეტსაც გეტყვით, დღესდღეობით მასზე უკეთესად იან შლაუდრაფი გამოიყურება. ეს უკანასკნელი პოლდის ფიზიკური მომზადებითაც სჯობნის და უკეთეს ფორმაშიცაა,"* – განაცხადა ჰიტცფელდმა.

როცა ბავარიელები მარბელიაში გაფრინდნენ, პოლდი ავად იყო და ამიტომაც, მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობდა. ახლა კი ცხადია, რომ მისი წვალება მეორე წრეშიც გაგრძელდება. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში მას გოლი არ გაუტანია და ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ იყო გამწესებული. რა იქნება სეზონის ბოლოს? დღევანდელი გადასახედიდან ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ზაფხულში პოდოლსკი „ბაიერნიდან" აიბარგება.

*„ცხადია, ამ თვეში სადმე გადასვლა გამორიცხულია. ფაქტი ის გახლავთ, რომ მე თამაში მინდა და რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუკი ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დავიმკვიდრებ, ზაფხულში ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებ, მეც რომ დამაკმაყოფილებს და „ბაიერნსაც". ზაფხულამდე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი ადგილი დავიმკვიდრო, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება, იძულებული გავხდები, აქედან წავიდე,"* - ეს პოლდის სიტყვებია. ადრეც გაცნობეთ, რომ მისი გადაბირება „მანჩესტერ სიტის" სურს. ცნობილია, რომ პოდოლსკისადმი დაინტერესებას „ვერდერი", „შტუტგარტი" და „ჰამბურგიც" იჩენენ.

ჰიონესმა პოდოლსკის განათხოვრების სურვილი გამოთქვა. *„ფაქტია, რომ ლუკასის შემთხვევაში რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ. მინდა, პოლდის დავეხმარო და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. თუკი მას გავანათხოვრებთ და ათამაშდება, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზებს. შესაბამისად, გამოვა, რომ სწორად მოვიქეცით. ასე რომ, მის განათხოვრებაზე სერიოზულად ვფიქრობ,"* – განაცხადა ულიმ.

მაგრამ მენეჯერმა ჰიტცფელდისგან სასტიკი უარი მიიღო. აი, რას ამბობს „გენერალი": *„ჩვენ სულ 4 თავდამსხმელი გვყავს და კაცმა არ იცის, რა და როგორ იქნება მეორე წრეში. ჩემი აზრით, ამ შემადგენლობას შეცვლა აღარ სჭირდება. პოდოლსკის განათხოვრებით დიდ რისკზე წავალთ. ჩვენ გვჭირდება ლუკასი,"* – ეს უკვე ჰიტცფელდის სიტყვებია. მაგრამ თუკი პოდოლსკის „ბაიერნში" სათამაშო პრაქტიკა არ ექნება, დიდი შანსია, რომ მასზე ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმაც** უარი თქვას ან მინიმუმ ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშოს. გერმანიის ნაკრებს თავდასხმაში ნამდვილად არ უჭირს. პოდოლსკის კონკურენტები კი იგივე **მაიკ ჰანკე** (ჰანოვერი), **მარიო გომესი** (შტუტგარტი) და **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი) არიან. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი თავის კლუბების სასტარტო შემადგენლობაში თამაშობს.

პოდოლსკის კი კლინსმანის იმედი აქვს. რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** უთქვამს, კლინსი ძალიანაა დაინტერესებული იმით, რომ ლუკასი „ბაიერნში" დარჩესო.

**გოტფრიდ ლენცი**

---

მეკარე

# ლემანი ბაიერნს ეარშიყება

## იენსი მიუნხენში სახლს იშენებს და შვილები მიუნხენურ სკოლაში ჩაწერაო...

ვინ იფიქრებდა ამას რამდენიმე თვის წინათ? **იენს ლემანმა** მიუნხენის „ბაიერნს" ფლირტი გაუბა! *„ზედმეტად დიდი ხანია, ფეხბურთელი ვარ იმისათვის, რომ რამე გამოვრიცხო. „ბაიერნმა" შესანიშნავი ნაბიჯი გადადგა, როცა იურგენ კლინსმანს კონტრაქტი გაუფორმა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუნხენურ კლუბში ახალი, თანამედროვე იდეები დაინერგება და ბევრი რამ შეიცვლება,"* – განუცხადა გერმანიის ნაკრების მეკარემ „ბილდ ამ ზონთაგს".

ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში კი, 38 წლის მეკარემ უფრო კონკრეტული განცხადება გააკეთა. *„თავის დროზე „შალკედან" „მილანში" გადავედი, ცოტა ხნის შემდეგ კი დორტმუნდის „ბორუსიაში". მაშინაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ „შალკეს" მეკარე ოდესმე „დორტმუნდში" აღმოვჩნდებოდი, მაგრამ ეს მოხდა. დიდი ხანია, პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და შემიძლია ვთქვა: ყველაფერი შეიძლება მოხდეს,"* – თქვა მან.

მას მერე, რაც „ბაიერნმა" მთავარი მწვრთნელის რანგში ახალი სეზონიდან **იურგენ კლინსმანი** დაიბევა, გერმანულ პრესაში არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, კლინსიმ ზაფხულიდან რეკორდმაისტერში ლემანიც წაიყვანოს. ჩვენი ალემანი კოლეგების ცნობით, „არსენალის" მეკარე, რომელიც ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მიუნხენში სახლს იშენებს და თავისი შვილები უკვე ჩაწერა მიუნხენის ერთ-ერთ საერთაშორისო სკოლაში.

ამ სპეკულაციების ერთ-ერთ დასტურად მოიაზრება ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ ლემანმა „დორტმუნდში" გადასვლაზე უარი თქვა. თუმცა თვითონ იენსმა ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ „ბორუსიაში" მხოლოდ ნახევარწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ. ჩემს შვილებს მხოლოდ 5 თვით სხვაგან არ წავიყვანო, აღნიშნა ვეტერანმა გოლკიპერმა.

მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო პრაქტიკა არა აქვს და ამ მხრივ ჯერჯერობით არც პერსპექტივა გააჩნია, ლემანი მაინც ფიქრობს, რომ ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად ითამაშებს. *„ბუნდესგუნდის მწვრთნელებმა მითხრეს, საკვალიფიკაციო ეტაპზე ძალიან კარგად იასპარეზეო. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. მე ერთი რამ ვიცი: ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად ვიასპარეზებ,"* – აცხადებს ლემანი.

და რა იქნება ევროპის ჩემპიონატის შემდეგ? *„ზაფხულში გადავწყვეტ, გავაგრძელო თუ არა კარიერა. იქნებ ისეთი წინადადება მივილო, რომ კარიერის დასრულებაზე ერთი წამითაც აღარ დავფიქრდე? წინასწარ ვერაფერს ვიტყვი,"* – ამბობს იენსი. სხვამხრივ, ლემანი ყველა შესაძლო ვარიანტს ღიად ტოვებს – მათ შორის „ბაიერნში" გადასვლის ვარიანტსაც. ის ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ მიუნხენური კლუბის ბოსები რენზინგს მიენდობიან, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, გამორიცხული არაფერიაო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბაიერნის" მენეჯერმა **ული ჰიონესმაც** აღნიშნა, ლემანის „ბაიერნში" გადმოსვლა ძალიან არარეალურიაო. თუმცა ული იმასაც ამბობს, რომ **მიხაელ რენზინგს** გვერდით ერთი გამოცდილი მეკარე სჭირდება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მას ღირსეულად შეცვლის. ჰიონესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდა რენზინგმა კონკურენცია იგრძნოს. დიდი შანსია, რომ ამ მხრივ ლემანი კლინსმანის გეგმაში მთავარი ფაქტორი იყოს, მაგრამ დათანხმდება კი იენსი რეზერვისტის როლს „ბაიერნში"? თუ კლინსმანი რევოლუციის დაწყებას კარიდან აპირებს და უნდა, რომ ლემანს გერმანიის ნაკრების შემდეგ „ბაიერნშიც" გაამარჯვებინოს?



ლემანის გზა ბაიერნისკენ მიდის?

**გოტფრიდ ლენცი**

---



ბორუსიის მთავარმა მწვრთნელმა თომას დოლმა და მენეჯერმა ჰანს-იოახიმ ვატკცემ საერთო ენა გამონახეს

დორტმუნდი

# დოლი: ახალი კონტრაქტი ოთხშაბათს

## მწვრთნელი კომპრომისზე წავიდა. ბოსებმა მას კელი უნდა შეუნარჩუნონ...

დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** ვესტფალიურ კლუბთან ახალი კონტრაქტი იანვრის დასაწყისში უნდა გაეფორმებინა (მის ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლოს გასდის), მაგრამ ეს საქმე სალეჭი რეზინივით გაიწელა. ადრეც გაცნობეთ, რომ ამის მიზეზი გუნდის ფსიქოლოგი **იურგენ ლორია**, რომელიც გუნდში დოლმა მიიყვანა. ხელმძღვანელებს ლორთან კონტრაქტის გაგრძელება არ სურდათ, დოლი კი ამბობდა, თუ მას გაუშვებთ, არც მე დავრჩებიო.

პრობლემა ამოწურულია: დოლი კომპრომისზე წავიდა და ცოტა რამ „ბორუსიის" შეფებმაც დათმეს. გადაწყდა, რომ ლორი „დორტმუნდში" დარჩება, მაგრამ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს და ხელფასს ჰონორარის სახით აიღებს – ანუ, ფსიქოლოგი უშტატოდ იქნება. „ბილდის" ცნობით, დოლი „დორტმუნდთან" ახალ კონტრაქტს ოთხშაბათს გააფორმებს და დიდი შანსია, რომ ახალ ხელშეკრულებას ვადა 2010 წლამდე ჰქონდეს.

ამას გარდა, მწვრთნელმა ხელმძღვანელებისგან მიიღო გარანტია, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან კელი** „ბორუსიაში" დარჩეს. ამ უკანასკნელს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კელის დატოვება ვერ მოხერხდა, დოლმა მიიღო გარანტია, რომ გამოიყოფა დიდი თანხა, რომელიც მაღალი დონის საყრდენი ნახევარმცველის შეძენას მოხმარდება. თომასს არაერთხელ უთქვამს, რომ კელი მისი გეგმების უმთავრესი ნაწილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტრო-ფეხბურთი

# შეიძლება ინგლისთან გამარჯვებას არც ვიმსახურებდით

## 1986 წლის მუნდიალი ხორხე ვალდანოს თვალით

დღეიდან ჩვენი გაზეთი შემოგთავაზებთ ახალ რუბრიკას, რომელსაც პირობითად "რეტრო-ფეხბურთი" დავარქვით. გავიხსენებთ, წარსულის ლეგენდარულ ვარსკვლავებს, ყველაზე მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენებს... შემოგთავაზებთ საინტერესო საუბრებს ძველ ფეხბურთელებთან...

ამ ნომერში 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატს გავიხსენებთ. არგენტინის ნაკრების ტრიუმფზე მისი მაშინდელი ბომბარდირი - ხორხე ვალდანო გვიყვება.

აქვე გეტყვით, რომ "რეტრო-ფეხბურთის" მომდევნო სტუმარი ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი, ჟუსტ ფონტენი იქნება.

**- სენიორ ვალდანო, რამდენი ხანი ოცნებობდით მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე და იქ გამარჯვებაზე?**

- ზუსტად იმდენს, რამდენი ხანიც საკუთარი თავი მახსოვს. არ ვიცი, რა უფრო უცნაურია: იოცნებო მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე სამი წლის ასაკში თუ იგივეზე იფიქრო, როცა უკვე 25 წელი შეგისრულდა. მჯერა, რომ ოცნებები მიზნის მიღწევაში გვეხმარებიან. მე წინააღმდეგობებით სავსე კარიერა მქონდა. იყო აღმასვლის პერიოდები და ჩავარდნები. მაგრამ ყოველთვის მჯეროდა, რომ ერთხელ მაინც მოვახერხებდი მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას. ნებისმიერი პროფესიონალი ფეხბურთელი ვალდებულია ამაზე იოცნებოს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი სწორედ ის მატჩია, რომელსაც შეუძლია ამ ოცნების ასრულებაში დაგეხმაროს. და თუ მოთამაშეს იმის ბედნიერებაც ექნება, რომ ამ შეხვედრაში გოლი გაიტანოს, ეს კიდევ უკეთესი.

**- რამდენი წლის იყავით, როცა თქვენი მომავალი ბედი გაარკვიეთ?**

- სამი თუ ოთხი წლის ვიყავი, როცა მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ფეხბურთელი გამოვიდოდი. ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ გამომივიდოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს გაცილებით უფრო რთული ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ სწორედ ჩემი ამბიციები დამეხმარა იმაში, რომ პროფესიულ კარიერაში თითქმის ყველა ჩანაფიქრი განვახორციელე.

**- საიდან წარმოიშვა თქვენი მეტსახელი - "ფილოსოფოსი"?**

- ასე იმიტომ მოხდა, რომ ყოველთვის დამაკავშირებელი რგოლი ვიყავი ფეხბურთისა და კულტურის სამყაროებს შორის. ისტორიას ბევრი ისეთი შემთხვევა ახსოვს, როცა ადამიანი, რომელიც ხელოვნებით იყო დაკავებული, მალე ფეხბურთელი ხდებოდა. ასეთ ადამიანებს შორის იყვნენ დიდი მწერლები - მარიო ბენედეტი, ვარგას ლიოსა, საბატო და ოსვალდო სორიანო... აი, ფეხბურთელებს შორის ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც აქტიურად მისდევდნენ ხელოვნებასა და კულტურას. იმის გამო, რომ მე ყოველთვის ჩაფიქრებული დავდიოდი, პრესის წარმომადგენლებმა სწორედ ეს მეტსახელი მომიგონეს.

**- მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატამდე, 1982 წლის მუნდიალზე ორი მატჩი ითამაშეთ. რა არ გამოგივიდათ მაშინ?**

- მაშინ მოხდა ორ რამ, რამაც აშკარად ნეგატიური კვალი დატოვა ჩემს გულში. მას შემდეგ, რაც გახსნის მატჩში ბელგიელებმა გოლი გაგვიტანეს, მე მოედანზე გავედი და კარგი თამაშის ჩვენებაც შევძელი. ამიტომაც, მწვრთნელმა მომდევნო მატჩში უნგრეთთან სასტარტოში მანდო ადგილი. სამწუხაროდ, იმ შეხვედრაში ტრავმა მივიღე და ამან შემდეგ თამაშის საშუალება არ მომეცა. მტკივნეული და უსიამოვნო დაზიანება იყო. ძალიან მეწყინა, რადგან იმ ჩემპიონატზე თავის გამოჩენა მქონდა განზრახული. თანაც იმ მომენტში რატომღაც ვგრძნობდი, რომ ასეთი შანსი აღარ მომეცემოდა.

**- მაშინ არც თქვენს გუნდს გაუმართლა. რა მოხდა იმ ჩემპიონატზე?**

- 1982 წელს, არგენტინას მოთამაშეების ყველაზე კარგი ნაზავი ჰყავდა: 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონები და ის ფეხბურთელები, რომლებსაც 1986 წლის ჩემპიონატში უნდა ეთამაშათ. მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობა არ იმყოფებოდა კარიერის პიკზე. კემპესი უკვე აღარ იყო ფიზიკურად ისეთი ძლიერი, მარადონა ჯერ კიდევ აგრძელებდა გზას საფეხბურთო ოლიმპისკენ... ჩემი აზრით, გუნდი მაშინ კი არ აღწევს წარმატებას, როცა მასში პოპულარული ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი, არამედ მაშინ, როცა ყველა მოთამაშე ერთ მთლიან კოლექტივშია შეკრებილი, თანაც იმ განსაზღვრულ დროს, როცა მათ შეუძლიათ გუნდისთვის მაქსიმუმის გაღება. რაც შეეხება 1986 წელს, ჩვენ არ ვთვლიდით, რომ მექსიკაში წარმატებას მივაღწევდით. გვქონდა პრობლემები შესარჩევი ტურნირის დროს. მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას სულ უფრო და უფრო ძლიერები ვხვდებოდით. ვიგრძენით, რომ ყველა მეტოქის დამარცხება შეგვეძლო, რადგან ძლიერი ხასიათი გამოგვიმუშავდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი სახეცვლილება, რაც კი ოდესმე მინახავს. არადა, პირველი თამაშის წინ, იმაშიც კი არ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ კორეის დამარცხებას შევძლებდით. ხოლო, როცა ფინალში გავედით, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ გერმანიას მოვუგებდით.

**- როგორ აგვარებდით პრობლემებს უშუალოდ საფეხბურთო მოედანზე?**

- გუნდში ბევრს ვსაუბრობდით საკუთარ თამაშზე. ნაკრებში საკმაოდ იყვნენ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც გვეხმარებოდნენ სწორი გადაწყვეტილების ძიებაში. გუნდურ შეკრებებზე ბევრ საკითხს ვაგვარებდით და ასე ვიპოვეთ საკუთარი თამაშის იდეალური კონცეფცია. რჩებოდა მხოლოდ მოედანზე გასვლა და ამ კონცეფციის რეალობაში გადატანა. მინდორზე პრაქტიკულად ყველაფერი გამოგვდიოდა. თანაც, კარგი შედეგები გუნდში ატმოსფეროს გაუმჯობესებასა და საკუთარი თავის რწმენის ამაღლებაში დაგვეხმარა.

**- პირადად თქვენ რაც შეგეხებათ, ისე ჩანდა, რომ ძალიან კონცენტრირებული იყავით თამაშზე. სწორედ თქვენ გაიტანეთ პირველი გოლი იმ ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში.**

- დიახ, ასე იყო. პირადად ჩემთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სწორედ პირველივე მატჩში გამეტანა ბურთი. ნაკრების გარშემო ბევრი უსიამოვნო მომენტი იყო, ვგრძნობდით ზეწოლას, ვინაიდან ჩვენგან მხოლოდ კარგ შედეგებს ელოდნენ. ამან მხოლოდ დადებითად იმოქმედა, ვინაიდან ჩვენ ერთიანი კოლექტივი გავხდით, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რას ითხოვდნენ მისგან. არგენტინის ნარამატებაში ორი მთავარი ფაქტორი იყო: პირველი - გუნდი და მისი მებრძოლი სული და მეორე - მარადონა. მას მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეეძლო.

**- მართალია, რომ მარადონა მთელ თავის თავისუფალ დროს ვარჯიშებზე ხარჯავდა და მწვრთნელებიც კი ვერ აიძულებდნენ მას დასასვენებლად წასვლას?**

- მარადონა მართლაც მუდმივად ვარჯიშებით იყო დაკავებული. მაშინაც კი, როცა გუნდი ტაქტიკურ მეცადინეობებზე მიდიოდა, ის შეიძლება ჩვენს შორის არ ყოფილიყო, რადგან დამატებით ვარჯიში ერჩივნა. დიეგო მუდმივად ცდილობდა ბურთთან ერთად ევარჯიშა. მაგრამ კარლოს ბილარდოს არ სურდა, რომ ძალები ვარჯიშებზე დაგვეხარჯა. ისეთი სიტუაციებიც იქმნებოდა, როცა სავარჯიშოდ გასვლა გვინდოდა, მაგრამ მწვრთნელები ამას გვიკრძალავდნენ.

**- ჯგუფური ეტაპის დროს მსოფლიოს ჩემპიონთან, იტალიის ნაკრებთან გინევდათ შეხვედრა. შეგიძლიათ გაიხსენოთ ის მატჩი, რომელიც 1:1 დასრულდა?**

- თავიდან ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა. მაგრამ შევძელით ძალების მობილიზება. თამაშის მსვლელობა შევცვალეთ და უპრობლემოდ მივიყვანეთ მატჩი ფრემდე. ეს იყო ერთადერთი შეხვედრა იმ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ვერ მოვიგეთ. დარწმუნებული ვარ, გამარჯვება რომ დაგვჭირვებოდა, კიდევ გავიტანდით და ორ ქულას ავიღებდით.

**- მომდევნო მატჩში მეტოქედ ბულგარეთი გყავდათ. იმ შეხვედრაში მესამე გოლი გაიტანეთ ჩემპიონატზე...**

- ის იყო ყველაზე მშვიდი მატჩი, რომელიც იმ ჩემპიონატზე ჩავატარეთ. რა თქმა უნდა, თამაშის წინ ცოტას ვნერვიულობდით, მაგრამ მალე გაირკვა, რომ შეგვიძლია მათი იოლად დამარცხება, რაც ძალების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე გავაკეთეთ. იმ მატჩში საკმაოდ მიმზიდველი ფეხბურთი ვაჩვენეთ და გაცილებით მეტი გოლის გატანა შეგვეძლო.

**- ყველა იხსენებს ინგლისთან მატჩს. მაგრამ ჯერ ურუგვაისთან მერვედფინალზე ვისაუბროთ. როგორ დაგამახსოვრდათ ის დერბი?**

- ჩვენთვის ეს უმძიმესი მატჩი იყო. ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა გადაწყვიტა, ამ თამაშზე არა ნიჭიერი და ტექნიკური, არამედ ყველაზე ამტანი და სწრაფი ფეხბურთელები გამოეყვანა. ერთ ეპიზოდში გაგვიმართლა და ერთადერთი გოლი გავიტანეთ. მატჩის ბოლო ნაწილი ძალიან დაძაბული გამოვიდა. თანაც, თამაში გავარდნაზე იყო და რისკის უფლება არ გვქონდა.

**- ინგლისთან მეოთხედფინალის წინ ძალიან დაძაბული ატმოსფერო იყო, რაც ქვეყნებს შორის სამხედრო კონფლიქტით იყო გამოწვეული. როგორ გაუმკლავდა თქვენი გუნდი ამ სიტუაციას?**

- ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ ხალხს მატჩის წინ მხოლოდ ფეხბურთზე ეფიქრა. არადა, ზოგიერთი გაზეთი ამ თამაშისთვის სხვა დატვირთვის მიცემას ცდილობდა. შეუძლებელი იყო არ გაგვეხსენებინა ომი ფოლკლენდის კუნძულებისთვის, რადგან ის ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვდა. მატჩი არგენტინა-ინგლისი დიდი ხანია კლასიკურ დაპირისპირებად იქცა. ასეთ შეხვედრებს დიდი განცდები მოაქვს ხოლმე. უდიდეს ზეწოლას ვგრძნობდით. იმ მატჩში, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყველაზე უარესი თამაში ვაჩვენეთ. დიეგომ გადაგვარჩინა. მისმა ორმა გოლმა შემდეგ ეტაპზე გაგვიყვანა. შესაძლოა, ჩვენ არც ვიმსახურებდით მეოთხედფინალში გამარჯვებას.

**- როდესაც მარადონას მეორე გოლი გაჰქონდა, თქვენ მის პარალელურად გარბოდით კარისკენ. ალბათ, ის ულამაზესი გოლი ყველაზე კარგი რაკურსით თქვენ გაქვთ ნანახი?**

- ეს მართლაც განსაკუთრებული სანახაობა იყო, დაახლოებით ისეთი კადრი, დღეს რომ მოძრავი კამერით უჩვენებენ ხოლმე. როგორც თავდამსხმელი, ვალდებული ვიყავი იქ ვყოფილიყავი, სადაც მაშინ ვიდექი. ყველაზე დიდი სიურპრიზი კი ის გახლდათ, რაც მარადონამ მატჩის შემდეგ გასახდელში თქვა. როგორც აღმოჩნდა, ის არამარტო მირბოდა და მეტოქეებს ატყუებდა, არამედ ცალი თვალით ჩემს პოზიციას ადევნებდა თვალს, რადგან პასის მოცემა უნდოდა. ის უბრალოდ ელოდა, როდის შევარჩევდი საუკეთესო პოზიციას შეტევის დასასრულებლად. ეს მართლაც დაუჯერებელია! მან იმისთვისაც გამონახა დრო, რომ თავის პარტნიორებს დაკვირვებოდა, რადგან პასის გაკეთებას აპირებდა. ასეთ სიტუაციებში თავს უბრალო მოკვდავად გრძნობ! ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მინდორზე გენიალურობის გამოვლენის მოწმენი გავხდით. რა თქმა უნდა, მას რომ პასი მოეცა, ჩემთვის გოლის გატანა უფრო ადვილი იქნებოდა, მაგრამ მაშინ, ეს გოლი არ იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე საუკეთესო.

**- ამის შემდეგ გელოდათ ნახევარფინალი ბელგიასთან. იმ მატჩზე ბევრი რამის მოყოლა შეგიძლიათ...**

- რა თქმა უნდა. როცა ვნახეთ, რომ ბელგიამ ესპანეთი დაამარცხა, ჩვენ მათზე არანაკლებ გაგვიხარდა ეს შედეგი. გვეშინოდა, რომ ესპანეთთან მოგვიწევდა შეხვედრა. გაგვიმართლა და ბელგიას შევხვდით. იმ მატჩში საკმაოდ კარგად გამოვიყურებოდით და უამრავი სახიფათო მომენტი შევქმენით. საბოლოოდ, ძალიან იოლად გავედით ფინალში. მაშინაც მარადონამ გაგვიწია უდიდესი დახმარება.

**- ფინალში მეორე გოლი თქვენ გაიტანეთ. შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ მოახერხეთ ეს?**

- მახსოვს, საკუთარ საჯარიმოში ვიდექი, რადგან ტანმაღალ ბრიგელს ვმეურვეობდი. პუმპიდომ ბურთი მიიღო და მოკლე პასი გამიკეთა. მოვატყუე ერთი მეტოქე, მაგრამ მეორეს ვერ გავცდი. საბედნიეროდ, ბურთი მარადონას მიუვიდა. ამ დროს, მთელი სისწრაფით მეტოქის ნახევარზე მივქროდი. დიეგო ბურთი ენრიკეს გადააწოდა, რომელმაც, თავის მხრივ, ღია სივრცეში ჩემსკენ გააკეთა პასი. ბურთი მივიღე და შორეულ კუთხეში დავარტყი. ეს იყო საუკეთესო შეგრძნება, რაც კი ოდესმე განმიცდია!

**- იმ მომენტში, ალბათ, გაიფიქრეთ, რომ საქმე გაკეთებული იყო?**

- დიახ. როცა ანგარიში 2:0 გახდა, ტრიბუნებზე გავიხედე და ჩემთვის ვთქვი: "ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ!" რა თქმა უნდა, არ უნდა მეჩქარა და უნდა გამეთვალისწინებინა, რომ ჩვენს წინააღმდეგ გერმანიის ნაკრები თამაშობდა, რომელიც არასოდეს ნებდება. მათ კუთხურიდან ორი ერთნაირი გოლი გაგვიტანეს. ასეთია გერმანიის ნაკრები. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე, ბურუჩაგამ მესამე გოლი გაიტანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მხოლოდ საფინალო სასტვენს უნდა დავლოდებოდით.

**- რა გაიფიქრეთ საფინალო სასტვენის შემდეგ?**

- ამ შეგრძნების სიტყვებით გადმოცემა ძნელია. ისეთ რამეს გრძნობ, რომ არ შეიძლება ეს შენს გარშემო ხდებოდეს, რომ უბრალოდ არ შეიძლება გრძნობებში ასე შორს შესვლა. მართლაც ძნელი იყო ამის დაჯერება.

**- სტადიონზე როგორი ატმოსფერო სუფევდა?**

- იქაც რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ყველა ჩვენ გვიკრავდა ტაშს. იმ დღეს გამარჯვებული ვიყავი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემთვის კარლჰაინც რუმენიგესთან ერთად მევახშმა. მან მითხრა, რომ მასაც მოეწონა ატმოსფერო. იმ მატჩის ხმაური ყველა ბრწყინვალე იყო. მეგონა, რომ რომელიღაც კონცერტზე ვიყავი, რადგან ტრიბუნებიდან ლამაზი ხმები ისმოდა.

**- შეგიძლიათ აგვიღწეროთ ის გრძნობა, როცა მსოფლიო თასს შეეხეთ?**

- ესეც დაუვიწყარი შეგრძნება იყო. ყველა უნდოდა თასის ხელში დაჭერა და ამიტომაც, ვერ ვახერხებდით დიდხანს მის ხელში ჩაგდებას. უკვე შინ დაბრუნებისას, თვითმფრინავში სრულად დავტკბი მისი თვალიერებით. შემდეგ კი, მასთან ერთად განმარტოვებაც მომინდა, რათა ყველაფერი კარგად გამეანალიზებინა.

**- როგორ შეგიძლიათ აღწეროთ ეს თასი?**

- თასზე რამდენიმე ფიგურაა აღბეჭდილი, მაგრამ მათ ვერავინ ამჩნევს. ამ ფიგურების ხელები ზემოთ, დედამიწისკენ არის აღმართული. სინამდვილეში, ეს არის ფიგურები, რომლებსაც მთელი მსოფლიო უპყრიათ ხელთ და წარმატებას ზეიმობენ. ძალიან ლამაზია.



ხორხე ვალდანო და ლეო მესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი




ლეგიონერები

# ვინ გავა მეორე ეტაპზე?

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი „ბობინი", „ორლეანი" და „პერიგო" მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. კიდევ სამი „რუანი", „მასი" და „დომონი" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ისევ ინარჩუნებს.**

ფედერალ 1-ის A ჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა **შალვა სუთიაშვილისა და დავით გასვიანის „ბობინმა"**, რომელმაც ამჯერად შინ დაამარცხა „პუატიე" 29:8. სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, გასვიანი განაცხადში არ იყო. ასევე საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა **სოსო ნიკოლაენკოს „რუანმა"** **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზთან" გამართულ შეხვედრაში. 29:19. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო. ხოჭოლავა თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო. **სანდრო ესაკიას „სენ ნაზერისა"** და **ირაკლი აბუსერიძის „ორლეანის"** დაპირისპირება უამინდობის გამო გადაიდო.

ფედერალ 1. A ჯგუფი: **1. ბობინი-46 ქულა, 2. ორლეანი-36, 3. ტური-32, 4. რუენი-29, 5. ვანი-28, 6. სენ ნაზერი-16, 7. სერჟ პონტუაზი-16, 8. პუატიე-11.**

B ჯგუფში საგრძნობლად გამოიკეთა მდგომარეობა **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის „მასიმ"**, რომელმაც მე-12 ტურში უშუალო კონკურენტი, რატი ურუშაძის „ლონსი" დაამარცხა საკუთარ მოედანზე 22:12. ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დიდებულიძე 55-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილი კი 47-ე წუთზე. ურუშაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად „დიჟონთან" დამარცხდა 19:41. **ზურაბ მჭედლიშვილის, გიორგი ნემსაძისა და ალექსანდრე მარგველაშვილის „დომონი"**. პერიზელთა გუნდში მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნემსაძე 61-ე წუთზე შეცვალეს, მარგველაშვილი შეხვედრაში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ დამარცხდა „შალონთან" **პალიკო ჯიმშელაძის „შამბერი"** 3:13. ჯიმშელაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ასევე შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან" **ელიზბარ ყუფარაძის „ვილერბანმა"** 14:38. ყუფარაძე თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო.

B ჯგუფი. **1. ბურგ ან ბრესი-40 ქულა, 2. შალონი-34, 3. დიჟონი-31, 4. მასი-29, 5. დომონი-26, 6. ლონსი-26, 7. ვილერბანი-20, 8. შამბერი-14.**

C ჯგუფში ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ მარცხი იგემა **დიმა პავლოვის „ნიცმა"**, სტუმრად „რომანსთან" 6:19. პავლოვს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. „ნიცი" 23 ქულით ბოლოსწინა მე-7 ადგილზეა.

D ჯგუფში კვლავ დამარცხდა **ირაკლი გუნდიშვილის „მიო"**, ამჯერად ჩვენებურის გუნდი ვერაფერს გახდა სტუმრად „ნიმთან" 12:30. გუნდიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

მე-12 ტურში განცდილი მარცხის მიუხედავად ისევ მე-2 ადგილს ინარჩუნებს **თედო ზიბზიბაძის „პერიგო"**. პერიგოელებმა „ნაფაროასთან" დათმეს შეხვედრა 20:22. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. „პერიგოს" ახლა 36 ქულა აქვს და ლიდერ „მარმანდს" უკვე 10 ქულით ჩამორჩება.

ფედერალ 2-ში კვლავ წარმატებით აგრძელებენ ასპარეზობას ქართველ მორაგბეთა გუნდები „ლილი", „მონლუსონი" და „კონიაკი".

A ჯგუფში გათამაშების ლიდერმა **დავით ბოლქაშვილის „ლილმა"** სტუმრად დაამარცხა „მონ ან ბარო" 19:0. და ახლა 33 ქულა დაუგროვდა.

C ჯგუფში 31 ქულა დააგროვა **ლევან დათუნაშვილისა და რეზო გიგაურის „მონლუსონმა"** და ლიდერ „მონმელიანს" ორი ქულით ჩამორჩება. „მონლუსონმა" ამჯერად შინ დაამარცხა „ჟივორი" 42:9.

სტუმრად გაიმარჯვა „სალესთან" H ჯგუფში მოასპარეზე **ბადრი ხელაშვილის „კონიაკმა"** 17:15. კონიაკელებს 27 ქულა დაუგროვდათ და მე-3 ადგილზე არიან. გათამაშების ლიდერი „ნუარი" მათ ოთხი ქულით უსწრებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სუმო

იანვრის ბაშო

# უიღბლო დღე

იანვარს ბაშოს მეცხრე დღე ქართველთათვის მეტად უიღბლო გამოდგა - სამივე ჩვენებურმა მარცხის სიმწარე იგემა. მაკუუჩის დივიზიონში **ლევან ცაგურია (კოკაი)** თუკი ვეტერან **ტოსანოუმის** მოუგებდა, იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში რეალურად ჩაებმებოდა. მაგრამ ქართველმა ვერ შეძლო იანვარში უხეიროდ მოასპარეზე ტოსანოუმის დამარცხება, ექს-სეკივაკემ პიკიოტოშით ბაშოზე მეორე გამარჯვება იზეიმა. კოკაის 6-3 ბალანსი აქვს. დარჩენილი ექვსი ორთაბრძოლიდან დადებითი ბალანსის მოსაპოვებლად მას ორი მოგებაც ჰყოფნის.

დივიზიონს დაუმარცხებლად ლიდერობს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**, რომელმაც უკვე ცხრა მოგება მიითვალა. რვა-რვა მოგება აქვთ დიდ ჩემპიონ **ასაშორიუს** და ყოფილ სეკივაკე **კიოკუტენჰოს**. როგორც ხედავთ, სამივე დაწინაურებული მონღოლია (თუმცა კიოკუტენჰომ ამას წინათ იაპონიის მოქალაქეობა მიიღო).

ძურიოს დივიზიონში დასანანი მარცხი იგემა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, რომელმაც მონღოლ **ტამავაშის**თან წააგო. ტოჩინოშინს 6-3 ბალანსი აქვს და დაწინაურებულ **კიტატაიკის** ორი მოგებით ჩამორჩება. ქართველის მეტოქე დღესაც მონღოლია, 23 წლის **მოკონამი**, რომელსაც ბაშოზე ხუთი მოგება აქვს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დამარცხდა **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, ვისაც იორიტაოშით **იოცუგურუმამ** მოუგო. გაგამარუს ერთი მოგება აშორებს დადებითი ბალანსის დაბევებას (3-2), წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება კვლავ მეოთხე დივიზიონში გავარდეს.

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**
**13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)**

**მაკუუჩი**

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-ტოსანოუმი 0:1 (პიკიოტოში), ჰაკუჰო-ვაკანოსატო 1:0, ასაშორიუ-ამა 1:0, კოტომიცუკი-ტოჩინონადა 1:0, კაიო-გოეიდო 1:0, კოტოოშუ-დეჯიმა 1:0, ტოკიტენკუ-ამინიშიკი 1:0, მიაბიამა-კოტოშოგიკუ 1:0 (უბრძოლველად), კისენოსატო-როჰო 1:0, ტოიონოშიმა-ტამაკასუგა 1:0, ასასეკირიუ-ჰომაშო 1:0, კაკურიუ-ბარუტო 1:0, ტაკეკაძე-კაკიძოე 1:0, კიოკუტენჰო-ტოიოჰიბიკი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 8-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 10). 7-2: ასასეკირიუ (მ 4), ტაკეკაძე (მ 7), კაკურიუ (მ 8), ფუტენო (მ 12). 6-3: კაიო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (კომუსუბი), კისენოსატო (მ 1), კოკაი (მ 9), ვაკანოჰო (მ 10), ივაკიამა (მ 13), ტოჩიოძანი (მ 15).

X დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ფუტენო, ასაშორიუ-ვაკანოსატო, ჰაკუჰო-ამა, კაიო-ამინიშიკი, კოტოოშუ-ასასეკირიუ, კოტომიცუკი-როჰო, დეჯიმა-ტოკიტენკუ, კისენოსატო-ტოიონოშიმა, მიაბიამა-გოეიდო, ბარუტო-ტოჩინონადა, ტაკეკაძე-კაკურიუ, კიოკუტენჰო-ტოჩიოძანი.

**ძურიო**

IX დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **ტოჩინოშინი-ტამავაში 0:1 (ოშიდაში), კასუგანიშიკი-ჰოჩიამა 1:0, კორიუ-საკაიძავა 1:0, ჰოშიჰიკარი-ჩიოჰაკუჰო 1:0, მოკონამი-ჰაკუბა 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 8-1: კიტატაიკი (ძურიო 11). 7-2: ჰოშიჰიკარი (ძ 5), კიტაძაკურა (ძ 8), ტამავაში (ძ 13). 6-3: საკაიძავა (ძ 3), ჰაკუბა (ძ 8), ტოჩინოშინი (ძ 12).

X დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-მოკონამი, კორიუ-ტოიოძაკურა, საკაიძავა-რიუო, კიტატაიკი-ჰოშიჰიკარი, კიტაძაკურა-ტამავაში.



ტოჩინოშინი

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# უმაღლესისთვის ვაჟებმაც დაიწყეს

გასულ კვირას დასრულდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება, გუშინ კი ესტაფეტა ვაჟებმა გადაიბარეს. ქალთა ტურნირისგან განსხვავებით ვაჟებში უმაღლესი ლიგის საგზურს 6 მონაწილე მიიღებს.

განსხვავებულია ფინალური ტურნირის გამართვის წესიც: ვაჟები ნოკაუტ სისტემით გაარკვევენ უძლიერესის ვინაობას: სტარტზე 32 მოჭადრაკე გამოვა, 16 დაფაზე დაწყვილდება და გამარჯვებული ორი პარტიის ჯამში გამოვლინდება. ყაიმის შემთხვევაში დამატებითი პარტიები გათამაშდება, მაგრამ ასეთ საკითხებზე სხვა დროს ვისაუბროთ. აღსანიშნავია უმთავრესი მომენტი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობამ რეიტინგით პირველი 26 მოჭადრაკე უმაღლესი ლიგის საგზურით აღჭურვა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ბოლო წლებში დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რამდენიმე დიდოსტატი და შესაძლოა, ნაკლები წოდების მქონეც უარს იტყვის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობაზე.

ეჭვგარეშეა, რომ ამერიკიდან ვერ ჩამოვა **ზვიად იზორია**, არც ავსტრიაში მცხოვრები **დავით შენგელიას** ჩამოსვლაა რეალური. **ქეთევან არახამია-გრანტი** ქალთა ჩემპიონატისთვის არ ჩამოდის და ცხადია, რომ კაცებთან საასპარეზოდ სულაც არ შეიწუხებს თავს. ამათ რიგში უნდა ჩავაყენოთ **მაია ჩიბურდანიძეც**. და კიდევ სხვანი... „დანაკლისი" შესაძლოა ორნიშნა რიცხვამდე ავიდეს, რაც უმაღლესში თამაშის შანსს რეიტინგის 30-ეულს მიღმა მყოფებსაც აძლევს. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებას მოჭადრაკეებიც ითვალისწინებენ, მაგრამ ზოგიერთი თავს იზღვევს და პირველ ლიგაში თამაშს ამჯობინებს. გათვლა მარტივია - სხვის იმედზე ყოფნას, საკუთარზე ყოფნა ჯობია და, სიმართლე ითქვას, უმაღლესი თამაშის მსურველს პირველ ლიგაში ასპარეზობა არ უნდა აფრთხობდეს. სხვაც რომ არა, მშვენიერი სპარინგიც გამოვა და საკუთარ ძალებში დარწმუნების კიდევ ერთი საშუალებაა.

დებულების თანახმად, პირველ ლიგაში 2000-დან 2450-მდე რეიტინგის მქონენი ასპარეზობენ; უფრო დაბალრეიტინგიანებმა ასპარეზობის უფლება პირველი ლიგის შესარჩევიდან მიიღეს, ზოგიერთებს კი რეგიონული პრინციპით ერგოთ რამდენიმე ადგილი. სულ 48 მონაწილე შეიკრიბა. სისტემა შვეიცარულია და 9 ტურად გაიმართება. სათამაშო დრო საათნახევარია, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. თანაბარ ქულათა დაგროვების შემთხვევაში კოეფიციენტი სპეციალური სქემით დაითვლება.

ტურნირში, ტრადიციულად ქალბატონებიც თამაშობენ. ყველაზე მაღალი რეიტინგიანი **ნინო ბაციაშვილია**, რომლის განთესვის ნომერი მეთერთმეტეა. ოცდამეორეა **ალექსანდრე ვახანია**, ხოლო **მერი არაბიძე** 29-ეა. ბაციაშვილი და ვახანია ქალთა პირველ ლიგაშიც ასპარეზობდნენ და ბაციაშვილმა მერვე ადგილზე გასვლა შეძლო, რაც ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს აძლევს.

რეიტინგ ფავორიტი **ლევან ბრეგაძეა** - 2427; მეორეა **გაიოზ ნიგალიძე** - 2420; მესამე - **გიგა ყუფარაძე** - 2407. 2400-იანი კიდევ მხოლოდ ერთია: **დავით ლომსაძე** - 2400. მიუხედავად ამისა, შემადგენლობა მაინც სოლიდურია და ბევრ საინტერესო ბრძოლას გვპირდება.

გუშინ გამართულმა პირველმა ტურმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენში ჭადრაკის დონე ჯერაც მაღალია. თვალსაჩინოებისთვის პირველ სამ დაფაზე დაფიქსირებულ შედეგებს მოვიტანთ: ლევან ბრეგაძემ მართალია შავებით, მაგრამ ვერ შეძლო 23-ე ნომერ **ზურაბ ჯავახაძის** დამარცხება; მესამე ნომერი გიგა ყუფარაძე კი სულაც დამარცხდა 24-ე ნომერ ალექსანდრე მინაშვილთან. ფავორიტის სტატუსი შეინარჩუნა გაიოზ ნიგალიძემ, რომელმაც 24-ე ნომერი **ირაკლი ჯანიაშვილი** დაამარცხა.

ყურადღებას იმსახურებს მერვე დაფაზე დაფიქსირებული შედეგიც, სადაც **პარმენ გალაზონიამ** თეთრებით 30-ე ნომერ **დიმიტრი კვარაცხელიას** ვერ აჯობა და ყაიმი დაფიქსირდა. მეთერთმეტე დაფაზე კი ფავორიტი ნინო ბაციაშვილი შავებით დამარცხდა ვეტერან, 59 წლის **გიორგი ციხელაშვილთან**.

ტურნირზე ყველაზე ასაკოვანი **ვლადიმერ დუგლაძეა** - იგი 66 წლის არის. ბატონი ვლადიმერი პირველ ტურში თეთრებით დამარცხდა ასევე უფროსი თაობის წარმომადგენელ, მაგრამ 12 წლით უმცროს **მიხეილ ჭიპაშვილთან**.

პირველი ტური. ზურაბ ჯავახაძე - ლევან ბრეგაძე-0.5:0.5; გაიოზ ნიგალიძე-ირაკლი ჯანიაშვილი-1:0; ალეკო მინაშვილი-გიგა ყუფარაძე-1:0; დავით ლომსაძე-დავით ურუშაძე-1:0; ირაკლი ბერაძე-ლუკა პაიჭაძე-0:1; ივერი ჭილლაძე-გიორგი გამზარდია-1:0; მერი არაბიძე-დავით ზარქუა-1:0; პარმენ გელაზონია-დიმირი კვარაცხელია-0.5:0.5; გიორგი ბარიშვილი-დავით ბენიძე-0:1; შოთა აზალაძე-გიორგი ხელაია-1:0.

მეორე ტურში: ვახტანგ თევდორაშვილი-გაიოზ ნიგალიძე; გიორგი ნიკოლაშვილი-დავით ლომსაძე; ლუკა პაიჭაძე-ალექსანდრე ყაშაშვილი; თარიმან ხუხუნაიშვილი-ივერი ჭილლაძე; დავით ზარქუა-ნოდარ დავარაშვილი; დავით ბენიძე-შავლეგ შამუგია; მიხეილ ჭიპაშვილი-შოთა აზალაძე; ალეკო მინაშვილი-თამაზ მგელაძე; გიორგი ციხელაშვილი-ალექსანდრა ვახანია; ლევან ბრეგაძე-რევაზ თოფურია.

**ზვიად შათირიშვილი**




# 14 თებერვალს მის და მისტერ სპორტს აირჩევენ

14 თებერვალს, სიყვარულის, იგივე „ვალენტინობის დღეს“ პირველად საქართველოში კონკურსი - „მის და მისტერ სპორტი 2008“ გაიმართება, საერთო სახელწოდებით „სპორტული საქართველო“. კონკურსის ფინალურ ფაზას ბაკურიანი უმასპინძლებს, შესარჩევი ტურები კი თბილისში „პრემიერ კლუბში“ ჩატარდება, სადაც ფინალში გასული კონკურსანტები გამოვლინდებიან.

კონკუსში მონაწილეობა მოქმედ და ყოფილ სპორტსმენებს, ასევე სპორტულ ჟურნალისტებს და უბრალოდ სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ.

მონაწილეობისათვის რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი იდეალური ფორმები, მთავარი ამ შემთხვევაში სპორტული ფიგურა და სპორტის დიდი სიყვარულია და ერთიც, მონაწილეთა ასაკი 15-დან 30 წლამდეა განსაზღვრული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა რაოდენობა უკვე ასს გადასცდა. მათ, ვისაც კონკურსის ტურებში ჩართვა სურთ, განაცხადის შემოტანა ორშაბათიდან, 21 იანვრიდან შეუძლიათ. განაცხადები მიიღება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (ჭავჭავაძის 49) პრეს-სამსახურში. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ 2 ფოტო და საგანგებო ანკეტა იქვე, სპორტის დეპარტამენტის პრეს-სამსახურში შეავსონ.

კონკურსის გენერალური სპონსორია „პრემიერ ბიზნეს ჯგუფი“, იდეის ავტორი ამ ჯგუფის პრეზიდენტი **კახა ბასილია** (რომელიც ამავე დროს საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტია) გახლავთ, ხოლო ორგანიზატორია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. კონკურსში გამარჯვებულებს 2 მთავარი პრიზი ელით, მონაწილეებს კი სხვადასხვა საჩუქრები გადაეცემათ.

კონკურსის ფინალში შესარჩევი ტურიდან 15-15 (გოგო და ბიჭი) მონაწილე გავა, განაცხადების მიღება ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება. გადაწყვეტილია ისიც, რომ კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე ია ფარულავა იქნება.

კონკურსის შესახებ ვრცლად გუშინ, 21 იანვარს სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. პრესკონფერენციაზე იდეის ავტორ კახა ბასილიასთან ერთად, სამოდელო სტუდია „გრაციას“ ხელმძღვანელი **ია დოლიძე** და ამავე სტუდიის მოდელები მოვიდნენ. კონკურსში მონაწილეობას „გრაციას“ რამდენიმე მოდელიც მიიღებს, მთლიანობაში კი სამოდელო სტუდია „გრაცია“ მონაწილეების მომზადებასა და ჩაცმულობაზე იზრუნებს.

ცნობილი სპორტსმენებიდან რამდენიმემ უკვე გამოთქვა კონკურსში მონაწილეობის სურვილი, მაგალითისათვის ოლომპიური ლიცენზიის მფლობელი მხატვრული ტანმოვარჯიშის – **ლუბა გოლოვინას** დასახელებაც კმარა, რომელიც სპორტის დეპარტამენტმა 2008 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად აღიარა.

**კახა ბასილია (პრემიერ ბიზნეს ჯგუფის პრეზიდენტი):** „ასეთი პროექტი პირველად ამერიკაში ვიხილე, სადაც ანალოგიური კონკურსი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. საქართველოში რომ დავბრუნდი, ამ კონკურსის შესახებ ჩემი შეხედულებები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, გოკა გაბაშვილს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურს გავაცანი და მსგავსი კონკურსის საქართველოში ჩატარების იდეა შევთავაზე. იდეა მოიწონეს და პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა, ახლა კი უკვე შეიძლება ითქვას, რომ დასკვნით ფაზას მივუახლოვდით. თავდაპირველად მხოლოდ „მის სპორტის“ ჩატარებას ვგეგმავდით, თუმცა მონაწილეობის სურვილი მამაკაცებმაც გამოთქვეს და ამიტომ კონკურსზე ორივე სქესის წარმომადგენლები გამოვლენ. დღეისათვის, მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ უკვე 100-ს გადააჭარბა. განაცხადების მიღება სპორტის დეპარტამენტში კიდევ ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება, შემდეგ კი შესარჩევი ტურები დაიწყება და 15-15 რჩეული გამოვლინდება, რომლებიც ბაკურიანში გასამართ ფინალურ სტადიაზე გავლენ.

ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი წამოწყებაა და პირდაპირი განაცხადია იმისათვის, რომ საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების სტილს კიდევ უფრო მეტი პროპაგანდა და რეკლამა ჰქონდეს. წელს თუ გამარჯვებულები ანთალიის საგზურებით დაჯილდოვდებიან, მომავალი წლისათვის ვეცდებით პრიზები უფრო სოლიდური იყოს და გამარჯვებული ავტომობილით დავაჯილდოვოთ.“

14 თებერვალს ბაკურიანში დაგეგმილი ფინალი სასტუმრო „პრემიერ პალასში“ გაიმართება, საღამოს წამყვანი ცნობილი ილუზიონისტი გია ფარადაშვილი იქნება.

**გიორგი ჭანიშვილი**
**სპორტის დეპარტამენტის პრესმდივანი**





# ზაზა ფაჩულია ამერიკულ პრესაში

## ქართველთა მხარდაჭერას ატლანტაშიც ვგრძნობ




ზაზა ფაჩულია ულქერსა და ატლანტაში

**ცნობილმა ამერიკულმა საკალათბურთო გამოცემამ „ჰუპს ვორლდმა“ საქართველოს ნაკრების ცენტრს ზაზა ფაჩულიას ვრცელი სტატია მიუძღვნა, რომლის სათაურია - „ქართველი გიგანტი“. ნიკოლა ოლიჩის ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო იმიტომაცაა, რომ მასში საუბარი არა მხოლოდ „ატლანტაზე“, არამედ ქართულ კალათბურთზეცაა. მაშ ასე, მოვუსმინოთ ბატონ ოლიჩს.**

„NBA-ს მიმდინარე სეზონის პირველი დღიდან ზაზა ფაჩულიას ტრავმები არ „ეშვება“. ახლაც ფეხის თითი აწუხებს და „ჰოქსის“ ბოლო მატჩებში განაცხადშიც ვერ ხვდება. ასეთ პირობებში იგი ქომაგებთან ურთიერთობას მისივე ვებ-საიტით ახერხებს (www.zazapachulia.com). ამ ზაფხულს, როცა ზაზა საქართველოს ნაკრებთან ერთად ევრო-2009-ზე მოხვედრისთვის იბრძოდა, მისი ხალხი ვებ-საიტის შექმნაზე მუშაობდნენ.

*„დიდი ხანი არ არის, რაც ჩემი საიტი გავხსენი. იგი პირველ რიგში ქართველებთან კავშირის შესანარჩუნებლად მჭირდება. ჩემს სამშობლოში 4 მილიონზე მეტი მცხოვრებია და მათ მხარდაჭერას აქაც ვგრძნობ, რაც ნებისმიერი კალათბურთელისთვის მნიშვნელოვანია. ქართველები ვებ-საიტზე შეტყობინებებს მიგზავნიან. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის გამოკითხვაში ხმების დიდი რაოდენობა საქართველოდან მივიღე.“* - მოგვითხრობს „ატლანტას“ ცენტრი.

ზაზას ოფიციალური ვებ-გვერდიდან ვგებულობთ, რომ მას ამერიკაში თან ახლავს თურქი პირადი მწვრთნელი ფატმირ ქუკა. ეს კაცი არც ევროპის ცნობილი მწვრთნელია და არც დიდი სკაუტი. ქუკა ზაზასთან მას შემდეგ მუშაობს, რაც ქართველი თურქეთში გადავიდა. ფაჩულია სტამბოლში 1999 წელს, 15 წლის ასაკში ჩავიდა და მას შემდეგ ფატმირი გვერდიდან არ მოუშორებია. ამერიკაში გადასვლის შემდეგ ქართველმა თურქი თან იახლა.

*„ქუკა დღესაც ჩემს გვერდითაა. ის მხოლოდ ჩემი მწვრთნელი არ არის, მენტორია, ყველაფერია... იგი პირველი დღიდან ძალიან მეხმარება და ჩემი წარმატების დიდი ნაწილია. რომც მოისურვოს, მას თურქეთში აღარ გავუშვებ. 15 წლის რომ ვიყავი ფატმირი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მაღალი კლასის კალათბურთელი გამოვსულიყავი. ამერიკაში გადმოსვლის შემდეგ მისი დახმარება განსაკუთრებით მაშინ დამჭირდა, რაც პირველ წლებში სათამაშო დროის ნაკლებობას განვიცდიდი.“* - ესეც ფაჩულიამ გვითხრა.

ქუკა ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც ზაზას სახლიდან მოშორებით გამოწვეული ნოსტალგიის განელებაში დაეხმარა. როგორც წესი, ევროპელ კალათბურთელებს ყოველთვის სერიოზული პრობლემები აქვთ ამერიკასთან შეგუების პროცესში. ზაზა ფაჩულიას ახალგაზრდულ ასაკში მოუწია სამშობლოსთან, მეგობრებთან, ნათესავებთან განშორება და ამერიკულ ქალაქებში მოგზაურობა. პირველი სეზონი ორლანდოში გაატარა, მეორე - მილუოკიში, მესამე წელია ატლანტაში ცხოვრობს.

ზაზა თურქეთში ცხოვრებას ასე იხსენებს: *„სტამბოლში ექვსი წელი გავატარე. თურქული ენა ავითვისე, სკოლა იქ დავამთავრე, მეგობრები გავიჩინე. სტამბოლში თავს კომფორტულად ვგრძნობდი. იქ ბევრს ვმუშაობდი და ამერიკისთვის ვემზადებოდი, რაშიც ჩემი გამოცდილი თანაგუნდელები მეხმარებოდნენ. ზოგიერთს NBA-ში ჰქონდა ნათამაშევი.“*

„ულქერში“ ჩატარებულ ბოლო სეზონში ფაჩულია საშუალოდ 16 წუთში 9.5 ქულას, 5.5 მოხსნას აგროვებდა. დრაფტის წინ სკაუტები წერდნენ, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ტანმაღალი მოთამაშე იყო. ზაზა 212 სმ. სიმაღლისაა, მაგრამ მოძრაობა ისეთივე დაბალანსებული აქვს, როგორც ნებისმიერ გამთამაშებელს.

*„როცა ამერიკაში ჩამოვედი, თამაშის საშუალება ყველა გუნდში მეტ-ნაკლებად მეძლეოდა. ხოლო „ატლანტაში“ გადმოსვლის შემდეგ ყველაფერი ერთი-ორად კარგად აეწყო. ვთამაშობდი ჩემს, ანუ „ზაზას თამაშს“, ვაუმჯობესებდი მოხსნების მაჩვენებელსაც. თვითრწმენაც შევიძინე და გამოცდილებაც. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ კალათბურთს პროფესიონალურ დონეზე 16 წლიდან ვთამაშობ. საკუთარი თამაშის დახვეწას ახლაც ვცდილობ.“* - განაგრძობს ქართველი ცენტრი.

დიდი სხვაობაა ზაზას საუკეთესო, 2006-07 წლების სეზონსა და 2007-08-ს შორის. შარშან იგი საშუალოდ 12 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებდა, ხოლო წელს - 5 ქულას და 4 მოხსნას. ასეთი დაღმასვლის მიზეზი ფაჩულიას ტრავმებია. მას ძალიან სურს ტრავმის მიუხედავად მოედანზე გასვლა, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ ასეთი მოქმედება ექიმების რჩევების საწინააღმდეგო იქნება და შეიძლება სერიოზული გართულებები გამოიწვიოს.

ზაზა ამბობს, რომ ერთბაშად ამდენი ტრავმა (ოთხი) აქამდე არ ჰქონია: *„ამ სეზონის პირველივე დღიდან ტრავმებს ვებრძვი. ამდენი ტრავმა ერთად არასოდეს მქონია. მათთან გამკლავება დიდ მოთმინებას მოითხოვს. თუმცა მოხუცი ნამდვილად არა ვარ და ვიმედოვნებ რეაბილიტაციის პროცესი სწრაფად ჩაივლის. ვცდილობ რიტმიდან არ ამოვარდე და ვარჯიშებისას ბურთის სროლაზე ვმუშაობ.“*

გასულ სეზონში „ინდიანასთან“ მატჩის შემდეგ ზაზა საქართველოში გაფრინდა და ზაფხულში აქტიურად ემზადებოდა, რათა ეროვნულ ნაკრებს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატში მოხვედრაში დახმარებოდა. მაგრამ მისივე თქმით, ფიბას სისტემის გამო ძალიან რთულია ელიტაში მოხვედრა: *„საქართველოს ნაკრების მაისურის მორგება ჩემთვის დიდი პატივია. ევროპულ ჯორჯიაში ძალიან აფასებენ მათ, ვინც ნაკრებს სათანადოდ ეხმარება. იქ კალათბურთი უყვართ და თუ კარგად თამაშობ ყველა შენთან ერთად ხარობს, თუ ვერ ითამაშებ - გრძნობ, რომ შენთან ერთად ყველა წუხს. მოკლედ, წნეხი დიდია, მაგრამ ამავე დროს პასუხისმგებლობაც მატულობს და და ენერგიაც.“*

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# მადრიდის გრან-პრიზე

მადრიდში საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციის (FINA) 2008 წლის გრან-პრის პირველი ტურნირი მადრიდში გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა** მიიღეს. მადრიდის „კომუნიდად დე მადრიდი“ წლეულს 23-ედ გაიმართა. 3-მეტრიანი ტრამპლიდან ხტომაში 32 მონაწილე იყო. ჭოლა ჭანტურიამ 323,05 ქულა დააგროვა და საბოლოოდ 24-ე ადგილზე გავიდა. შოთა კორახაშვილმა კიდევ უფრო ცუდი შედეგი აჩვენა, 306,25 ქულა დააგროვა და საბოლოოდ 28-ე ადგილი დაიკავა. ფინალში მხოლოდ ექვსი საუკეთესო წყალში მხტომელი გავიდა. გრან-პრი კი ჩინელმა **სინ ჰუან ჭანკმა** მოიგო 511,30 ქულითთ. მეორე ადგილზე გერმანელი **პაველ როზენბერგი** გავიდა (468,55). მესამეზე კი კლვავ ჩინელი სპორტსმენია - **ბო პენი** (465,50).

სინქრონულ ხტომებში ქართულმა წყვილმა (ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი), სამწუხაროდ, 13 დუეტში ბოლო ადგილი დაიკავა. ჩვენებმა 310,71 ქულა დააგროვეს. პირველ ადგილზე ჩინური წყვილი (**იუტონ ლოუ, ჩენ ჭანკი**) გავიდა 415,56 ქულით. გრან-პრის მეორე ეტაპი ჩინეთის ქალაქ შენჭენში 29 თებერვალს გაიმართება.



# გაკლია 6 კაცი? დასჯერდი 6 ქულას!

21 იანვარი, სპორტის სასახლე

**A ჯგუფი**

**ავიამშენი-დინამო 96:69**

28:15, 21:17, 23:19, 24:18

ავიამშენი: ნიკოლაძე (23ქ), კვიმსაძე (8), მათიაშვილი (12ქ, 7მ), ბერაია (2), ნინიაშვილი (9ქ), ტულუში (10ქ, 11მ, 5პ), იმნაძე (9ქ, 15 მ, 2დ), მინაშვილი (6ქ), მოსეშვილი (5ქ), სუხიშვილი (12ქ, 7მ)

დინამო: ქლენტი (23ქ), სიგუა, კუჭავა (2ქ), მაისურაძე (3ქ), ათანელიშვილი (6ქ, 9მ), ლაფანაშვილი (18ქ, 9მ), გულისაბედაშვილი (3ქ), ახალკაცი (9ქ, 3დ), ნანიტაშვილი (2ქ), ფაიქრიძე (2ქ), წერეთელი (1ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

**B ჯგუფი:**

**ვითა-ენერჯი 42:92**

6:29, 7:21, 11:17, 18:25

ვითა: მარხვაშვილი (4ქ), მარკოიშვილი (11ქ, 9მ, 2დ), ბეჟანიშვილი (4ქ), ნ. ნოზაძე (14ქ, 3პ), ძიძიგური (5ქ), გასიტაშვილი (3ჩ), ცერცვაძე (4ქ)

ენერჯი: ბაბიაშვილი (17ქ, 10მ, 3ჩ), სტეფანოვი (8ქ, 3პ), ბოისა (11ქ, 6მ), დიდია (8ქ), ლეჟავა (8ქ), ცეკვავა (8ქ), ლიპარტელიანი (9ქ), დანელიანი (2ქ), ტუჯანი (8ქ, 7მ), ჭოჭუა (5ქ), ჩიტაშვილი (8ქ, 6პ, 3ჩ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**დღეს**

13:15 მაკაბი-დინამო (A ჯგუფი)
15:15 თსუ-ვითა (B ჯგუფი)

**გუშინ სპორტის სასახლეში საქართველოს თასის გათამაშება საინტერესო ციფრებით დაიწყო. დიახ ციფრებით და არა საინტერესო თამაშებით, რადგან „ავიამშენმაც" იოლად დაამარცხა „დინამო" და „ენერჯიმაც" - „ვითა".**

ახლა ციფრებზე: გუშინ რუსთაველებთან მატჩში „ვითას" ერთბაშად 6 ნამყვანი კალათბურთელი აკლდა - **მიშა ბერიშვილი, ბუბა ბერიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ლუკა ნოზაძე, დავით გვიმრაძე და ბექა ნივნივაძე.** უმალ გაგიჩნდებათ კითხვა მაშ ვინ ითამაშა „ენერჯის" წინააღმდეგ? კითხვაზე ოქმი გიპასუხებთ, აქ კი გეტყვით - 6 კალათბურთელი რომ აკლდა, სწორედ ამიტომ ჩააგდო „ვითამ" 6 ქულა საწყის 15 წუთში. რუსთაველებს კი გამყრელიძის არყოფნა ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალისგან განსხვავებით აღარ დატყობიათ და მეთხუთმეტე წუთისთვის უკვე 44:6-ს იგებდნენ. ქვემოქართლელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა ექსთსუ-ელ მიშა ჩიტაშვილს, რომელიც ერთ-ერთი იყო „ენერჯის" იმ ექვსეულიდან, ვინც 8 ქულა ჩააგდო. ეს ნათლად მიუთითებს რუსთაველთა შორის ფუნქციების თანაბრად გადანაწილებაზე.

საინტერესოა ისიც, რომ ვითელებმა მთელი 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ 2 საჯარიმო სტყორცნეს, ხოლო 27 ორქულიანიდან მხოლოდ 8 გამოიყენეს...



ავიამშენი-დინამო. კოტე ტულუშის შეტევა

გამოგიტყდებით, მეგონა, რომ „ავიამშენი" ქორქია-საკანდელიძის თასის მოგების შემდეგ ყურადღებას ცოტა მოადუნებდა და „დინამოსთან" თანაბარ მატჩს ვიხილავდით. ვარაუდი გამართლდა - მეორე ტაიმი მართლაც თანაბარი გამოდგა, მაგრამ პირველში „ავიატორებს" თითქმის ოცქულიანი უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული და შეხვედრაც ახუტულ-ჩახუტული ანგარიშით მოიგეს - 96:69.

**ვაჟა სიმონიშვილი**




## ძიუდო

26-27 იანვარი. თბილისის მსოფლიო თასი

# იაპონელები უკვე აქ არიან!

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები აგრძელებს მზადებას თბილისის მსოფლიო თასისთვის, რომელიც სპორტის სასახლეში 26-27 იანვარს გაიმართება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ესაა სალიცენზიო ტურნირი, სადაც სტუმართა უჩვეულო მოზღვავება მოსალოდნელი. სადღეისო მონაცემებით, სტუმრობას 41 ნაკრები გვპირდება, რომლებსაც მასპინძელთა 28-კაციანი შემადგენლობაც დაემატება. ამდენი სტუმარი იქნებ იმ შორეულ წლებში კი ჩამოდიოდა, როცა ჩვენი შეჯიბრება პარიზის ტურნირსა და კანოს მემორიალთან ერთად უძლიერეს სამეულში შედიოდა და ხანდახან მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობასაც ეძახოდნენ, მაგრამ ბოლო წლებში ამდენი გუნდი ნამდვილად არ გვწვევია. ასე უხვად 2004 წელსაც კი არ ჩამოსულან, როცა ტურნირი ასევე სალიცენზიო გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ევროპის ძიუდოს კავშირის ეგიდით იმართება და სალიცენზიო ქულებსაც მხოლოდ ევროპელები ილებენ, სხვა კონტინენტის წარმომადგენლები კი უკონკურსოდ, სატურნირო პრაქტიკისთვის მონაწილეობენ. თუმცა პრაქტიკა ეძახე და ევროპელებს გეგმებს თუ ნერვებს გვარიანად უშლიან - მათ ხომ ქულები დაკავებული ადგილის მიხედვით ენერებათ და არანაირად არ ითვალისწინებენ, უკონკურსოდ მონაწილესთან წაგება დატოვებს ცხრილის ბოლოში თუ - კონკურსიანთან. აქვე ისიც განვმარტოთ, რომ ამ რანგის ტურნირებში ევროპელებს წონაში 2-2 ფალავნის გამოყვანა შეუძლიათ, არაევროპელებს - მხოლოდ თითო კაცისა. პრივილეგირებულ მდგომარეობაშია მასპინძელი, რომელსაც წონაში ერთბაშად 4 მონაწილის დაყენება შეუძლია. სწორედ ამიტომაა ჩვენი გუნდი ასე მრავალრიცხოვანი - ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** მასპინძლისთვის გამოყოფილ კვოტას ბოლომდე იყენებს. თუმცა, არა მარტო ის, ყველა მისი კოლეგა ასე იქცევა, რადგან ეს სათადარიგოების და ახალგაზრდებისთვის თავის გამოჩენის საუკეთესო შანსია.

საბედნიეროდ, ხაბარელისთვის მთავარი მიზანი ამჯერად სწორედ ახალგაზრდების გამოცდა და ლიცენზიამოპოვებულთა სპორტული ფორმის შემოწმებაა, რადგან ნაკრებმა შვიდიდან ხუთი ლიცენზია მსოფლიო ჩემპიონატზე გაინაღდა. თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია შიდაკონკურენციის გადაჭრა მთელ რიგ წონებში და რაც ყველაზე სასიხარულოა, სწორედ იქ, სადაც ლიცენზიები უკვე გავინაღდეთ. მაგალითად, 90-ში და 100-ში.

შეგახსენებთ, რომ საგზურები **ნესტორ ხერგიანმა** (60), **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (+100) მოიპოვეს. ამათგან ტურნირზე მხოლოდ ხერგიანი და ქევხიშვილი არ იჭიდავებენ. აი, დანარჩენები კი გამოვლენ და ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლადაც მოუწევთ ბრძოლა. ეს - უფრო ცირეკიძეს და ჟორჟოლიანს, თუმცა მშვიდად ყოფნის საშუალება არც გუჯეჯიანს უნდა მისცენ კონკურენტებმა. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლაა მოსალოდნელი 90-ში, სადაც ცირეკიძის უმთავრესი კონკურენტი ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**ა. მაგრამ ნურც ახალგაზრდა ტალანტი **ვალერი ლიპარტელიანი** დაგვავიწყდება - 18 წლის ბიჭი იქნებ ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად მომზადებული ასეთ გიგანტებთან საჭიდაოდ, მაგრამ იოლად არავის არაფერს დაუთმობს... 100-ში ჟორჟოლიანის მთავარი კონკურენტი, ალბათ, მაინც **გიორგი ყიზილაშვილია**, რომელმაც ქვეყნის პირველობაზე საოცარი მეტამორფოზა გვიჩვენა, თუმცა თავისსას **ლევან რაზმაძე** და **მინდია ბოდაველიც** ეცდებიან. სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო აქ კიდევ ერთი ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა - **ნოდარ მეტრეველი** ვერ იჭიდავებს. თუმცა ნურც ისე გავიგებთ, რომ თითქოს სხვა წონებში საინტერესოს არ უნდა ველოდოთ! პირიქით, ყველა წონაში უმძაფრესი კონკურენციაა მოსალოდნელი. აქ არაფერს ვამბობთ უცხოელთა ინტერესებზე, რაც ბრძოლებს ბევრად მეტ სიმძაფრეს შესძენს.

გუნდების უმეტესობა 24-25 იანვარს გვესტუმრება, თუმცა პირველი სტუმრები უკვე გვეწვივნენ - ყველგან და ყველაფერში ზეპრაქტიკული და თადარიგიანი იაპონელები. „ამომავალი მზის" ქვეყნიდან ჯერ ტელეჟურნალისტები ჩამოვიდნენ, რომლებიც უკვე შეხვდნენ ჩვენს ნაკრებს, ხვალ კი გორში მიდიან ძიუდოს იქაური სკოლის გადასაღებად.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გამოგზავნილ მონაწილეთა სახელობით სიებში ძალზე ბევრი სახელოვანი ფალავანია. მათზე ადრე ვწერდით და ახლა სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგან ამ სიების შეცვლა გამორიცხული არაა და აჯობებს, როცა ყველაფერი დაზუსტდება, მერე ვილაპარაკოთ. სამაგიეროდ, ცნობილია თავად გუნდები: იაპონია, საფრანგეთი, რუსეთი, ბრიტანეთი, გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი, კუბა, უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, იტალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ბელგია... ევროპელებიდან, პრაქტიკულად, ყველა ჩამოდის. რაც მთავარია, დასახელებულთა უმრავლესობა ძლიერი შემადგენლობებით გვესტუმრება. ძლიერი გუნდებიდან მხოლოდ სამხრეთი კორეა და ბრაზილია არ ჩამოდიან.

შეგახსენებთ, რომ ასპარეზობები ორივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 18-ზე.

**საქართველოს ნაკრები**

ვახტანგ ხოსიტაშვილი, ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი, უშანგი კუზანაშვილი - 60

ზაზა კედელაშვილი, დავით ასუმბანი, უჩა ხუციშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი - 66

თენგიზ პაპოშვილი, კახა მამულაშვილი, დავით კუპრაშვილი, ზურაბ დილებაშვილი - 73

გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, საბა გავაშელიშვილი - 81

ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური, ვალერი ლიპარტელიანი, ბესიკ ტყემალაძე - 90

ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე, მინდია ბოდაველი - 100

ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე - +100

## ჩოგბურთი

# ჩეხს თუ მოუგო

17 წლის ოქსანა კალაშნიკოვა (636) შესაძლოა კაარსტის ტურნირის (გერმანია, 10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გავიდეს. საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად განთესილი ოქსანა ავსტრიელ **ვერონიკა ზეპს** შეხვდა და ორ სეტში იოლად მოუგო - 6:2, 6:3. ბადეში გასაღწევად ოქსანამ ახლა მე-14 ნომრად განთესილი 17 წლის ჩეხი **პავლა სმიდოვა** (838) უნდა დაამარცხოს. შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირის ვაჟთა ბადიდან უკვე გავარდა საკვალიფიკაციოში მე-11 ნომრად განთესილი ნოდარ ითონიშვილი.



ოქსანა კალაშნიკოვა



ეს-ესაა, ჯონსმა ტიტოს მეორე ნოკდაუნი აგემა

ძველი ჩემპიონის ჯახი

# როი ჯონსი თავის ამპლუაშია

მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი ხუთ წონით კატეგორიაში, ამერიკელი **როი ჯონს უმცროსი** 39 წლისაა, მაგრამ ისევ ისეთი მკვირცხლი და მოუხელთებელია, როგორც საუკეთესო წლებში. ის ისევ ძველებურად ახელებს მეტოქეს და წონასწორობას აკარგვინებს, რის შემდეგაც საქმეში თავის მუშტებს რთავს.

ასე იყო შაბათსაც, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" ახალ რინგზე, მთავარ ბრძოლაში ერთმანეთს როი ჯონს უმცროსი და არანაკლებ სახელოვანი მოკრივე, სამ წონაში ხუთი ტიტულის მფლობელი, პუერტორიკოელი **ფელიქს ტიტო ტრინიდადი** დაუპირისპირდა. ბრძოლა არასატიტულო იყო და არცერთ წონით კატეგორიაში არ ჯდებოდა. მოკრივეებმა შეთანხმებით ზესაშუალო და ქვემძიმე წონას შორის შუალედი აირჩიეს.

პრომოუტერ **დონ კინგის** დიდი მცდელობის მიუხედავად, ტრიბუნაზე საკმაოდ იყო ცარიელი ადგილები. არადა, შოუს ანდერქარდზეც საკმაოდ საინტერესო ბრძოლები გაიმართა.

12 რაუნდის განმავლობაში, ჯონსმა ორჯერ დააგდო მეტოქე და საბოლოოდ, სამივე მსაჯის გადაწყვეტილებით, საკმაოდ ადვილ გამარჯვებას მიაღწია. ტრინიდადთან ბრძოლას რომ მორჩა, ჯონსმა შემდეგ მეტოქედ ზესაშუალო წონის დაუმარცხებელი ჩემპიონი, უელსელი **ჯო კალძაგე** გამოიწვია.

*"ტიტოსთან ბრძოლისთვის შესანიშნავად მოვემზადე, შესანიშნავი სპარინგ პარტნიორები მყავდა და ისევ ისეთი "შეუჩერებელი" ვარ, როგორადაც კრივის მოყვარული ადრეც მიცნობდა. მზად ვარ, ნებისმიერს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს შევხვდე. თუ კალძაგესა და ჰოპკინსის ბრძოლა ისე დასრულდა, როგორც ვფიქრობ, მაშინ უელსშიც წავალ და ჯოს იქ შევხვდები"*, - განაცხადა ჯონსმა (52-4, 38 ნოკაუტი).

მართალია, კალძაგესა და **ბერნარდ ჰოპკინსს** ჯერ ბრძოლაზე არ მოულაპარაკიათ, მაგრამ მათი წარმომადგენლები ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ და ორივე მხარე ირწმუნება, რომ შეთანხმება მალე მოხდება.

ბრძოლის დასაწყისში, ტრინიდადი (42-3, 35 ნოკაუტი) უფრო აქტიური და აგრესიული იყო, თუმცა ჯონსის დაცვის გარღვევას იშვიათად ახერხებდა. ერთხელ კი ამერიკელმაც გაილაღა და მისი მუშტი მიზანს მისწვდა. მეორე რაუნდის მიწურულს, ორივე მოკრივე ისე გაცხარდა, მაყურებელი ტრიბუნიდან წამოიშალა. მაგრამ გონგმა დროებითი ზავი ჩამოაგდო.

ტრინიდადმა მესამე რაუნდიც შეტევაში გაატარა, მაგრამ ბოლო წუთზე ჯონსმა ის ხელებით შებოჭა და შეტევაც ამით გაანელა. ამაზე ტიტომ გონგის შემდეგ მძლავრი დარტყმებით უპასუხა, რაზეც ჯონსმა რეფერის უსაყვედურა.

მეოთხე რაუნდში ამერიკელიც გააქტიურდა. სხვათა შორის, ბრძოლამდე ის იქადნიდა, რომ სწორედ ამ რაუნდში აწნევდა მეტოქეს ნოკაუტს. მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, ტიტომ რამდენიმე მტკივნეული დარტყმა აგემა მეტოქეს და ეს რაუნდიც მოიგო. მომდევნო რაუნდის დასაწყისში, ტრიბუნიდან გაისმა შეძახილები "ტიტო! ტიტო!". ამ რაუნდშიც ჯონსმა რამდენჯერმე რეფერის ყრადღება იმ ფაქტს მიაქცია, რომ მეტოქე წელს ქვემოთ ურტყამდა.

მეშვიდე რაუნდამდე ბრძოლა ამავე სცენარით მიდიოდა. ტიტო უფრო აქტიურობდა და მეტწილად ტანში ურტყამდა მეტოქეს. ჯონსი კი, თითქოს ძალას უფრთხილდებაო, იშვიათად იქნევდა მუშტებს, მაგრამ უფრო ეფექტური იყო. მეშვიდე რაუნდში კი მისმა ასეთმა ტაქტიკამ პირველი შედეგი გამოიღო – ტიტომ პირველი ნოკდაუნი იწვნია. პუერტო რიკოელმა რვის დათვლამდე წამოდგომა შეძლო და ბრძოლაც გაგრძელდა.

*"როის ვერაფერი დავაკელი. თუმცა, იმ ორი ნოკადუნისთვის რომ ამერიდებინა თავი, ვფიქრობ, მოგება შემეძლო. როი ძალიან სწრაფი და ძლიერი მოკრივეა. ის ჩემს დარტყმებსაც უძლებდა და ისე სწრაფად ირჯებოდა, თვალის მიდევნებასაც ვერ ვასწრებდი"*, - ნაბრძოლევს ყვებოდა ტრინიდადი, ვინც ნოკდაუნის შემდეგაც აქტიურობდა, მაგრამ ამერიკელი უფრო ეფექტური იყო. ის თავისი სწრაფი ჯებით აკონტროლებდა მეტოქის ნებისმიერ შეტევას და შესაძლებლობისთანავე თავადაც უტევდა.

მეათე რაუნდის მიწურულს ჯონსის ცაცია ჯებმა ტიტოს ძლიერი ტკივილი მიაყენა და სანამ ის გონს მოსვლას მოასწრებდა, მაშინვე ნიკაპში როის მარჯვენა ჰუკიც მოხვდა. ტრინიდადი მეორედ დაეცა და მართალია, ისევ წამოდგა, მაგრამ აქედან მოყოლებული, ბოლომდე თავის დაცვაზე უწევდა ზრუნვა. ახლა უკვე ამერიკელის ქომაგი ახმაურდა. მართალია, ტიტოს ბოლო რაუნდში რამდენიმე დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ მის დარტყმებს ძალა აღარ ჰქონდა.

*"ეს მართლაც დიდი ბრძოლა იყო. არ მჯერა, რომ ტიტომ ბოლომდე გაუძლო ჩემს მუშტებს. მან ბევრი ისეთი დარტყმა აიტანა, სხვები რომ ვერ გაუძლებდნენ. რამდენჯერმე კი მე დამაკლდა სიზუსტე"*, - განაცხადა ჯონსმა.

ანდერქარდზე, პოლონელმა ყოფილმა პრეტენდენტმა **ენდრიუ გოლოტამ** რის ვაი-ვაგლახით მოუგო **მაიკ მოლოს** და მას WBA-ის "ფედელატინის" ქამარი ჩამოართვა. ბრძოლაზე თავად პოლონელმა IBF-ის ჩრდილოეთ ამერიკის ჩემპიონის ქამარი გამოიტანა. გოლოტასთვის (41-6-1, 33 ნოკაუტი) ეს ზედიზედ მესამე გამარჯვებაა მას შემდეგ, რაც 2005 წლის მაისში სატიტულო (WBO-ის ვერსიით) ბრძოლა წააგო **ლემიონ ბრიუსტერთან**.

გოლოტამ ბოლო ხუთი რაუნდი საშინლად გასიებული თვალით იბრძოლა და როგორც თავად ამბობს, მეორე თვალით ბევრს ვერაფერს ხედავდა. მან მეტოქისგან ბევრი დარტყმა აიტანა და თავადაც ბევრი ურტყა. საბოლოოდ კი მსაჯებმა მისი უპირატესობა დააფიქსირეს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დომინაცია გრძელდება

**ფინიქსი–ნიუ ჯერსი 116:92**

35:20, 21:25, 33:28, 27:19

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (28 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ), რ. ბელი (20 ქ. 3 მ), მერიონი (16 ქ. 11 მ. 5 ჩ), დიაო (14 ქ. 10 მ. 6 პ. 2 ჩ), ნეში (13 ქ. 9 პ. 3 მ), ბარბოსა (12 ქ. 6 მ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (24 ქ. 4 მ. 2 ჩ), შ. უილიამსი (12 ქ. 4 მ. 2 დ), ნახბარი (12 ქ), ვ. კარტერი (10 ქ. 9 მ. 6 პ), კიდი (9 ქ. 8 პ. 4 მ).

1981-82 წლების რეგულარულიდან მოყოლებული, აღმოსავლეთის კონფერენციას ერთდერთხელ ჰყოლია 50 და მეტი მატჩის მომგები უფრო ბევრი გუნდი, ვიდრე - დასავლეთს. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ პერიოდში აღმოსავლეთში იყვნენ **ლარი ბერდის, რობერტ პერიშისა** და **კევინ მაქჰეილის** "სელტიქსი", **აიზია ტომასისს, ჯო დუმარსის, ბილ ლემბირისა** და **დენის როდმანის** "პისტონზი" და რა თქმა უნდა, "ბულზი", რომლის ბირთვსაც **მაიკლ ჯორდანი, სკოტი პიპენი, ჰორას გრანტი**, მოგვიანებით კი იგივე როდმანი წარმოადგენდნენ.

ჩემპიონობის მხრივ ისეთი დიდი ჰანდიკაპი არ არის, როგორიც უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ისევ და ისევ "ბულზის" დამსახურებაა, რომელმაც 8 სეზონში ექვსჯერ იჩემპიონა და ის ორი წარუმატებელი, ანუ უტიტულო წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ მაიკლ ჯორდანის არყოფნამ გამოიწვია.

დღეს^ აღმოსავლეთს ორი ძალიან კარგი გუნდი ("ბოსტონი" და "დეტროიტი") ჰყავს, დასავლეთში კი, პირველი რვა გუნდიდან რომელიმეს კონფერენცია რომ შეუცვალო, აღმოსავლეთში კიდევ ერთი გრანდი უსიტყვოდ გაჩნდება. ასე რომ, ძალთა პარიტეტი დაცულია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა "ფინიქსისა" და "ნიუ ჯერსის" მორიგ შეხვედრაში.

**სტივ ნეშისა** და **ჯეისონ კიდის** რეკლამირებული დაპირისპირება არ შედგა. კიდმა ვერ ითამაშა, ნეშმა კი მოედანზე იმდენად ცოტა დრო (31 წუთი) გაატარა, რომ ლიგის ორი უძლიერესი გამთამაშებლის ჯახი მხოლოდ მოჩვენება იყო და მეტი არაფერი.

ბოლო დროს, "ფინიქსი" "ნეთსისთვის" ნამდვილ კოშმარად იქცა და ეს არიზონელთა შემადგენლობაში ნეშის გადასვლამდეც ურყევი ფაქტი გახლდათ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია "სანზის" დომინაცია "ნიუ ჯერსისთან" ფინიქსურ შეხვედრებში - "ნეთსისთვის" აღნიშნული მარცხი ფინიქსში ზედიზედ მე-14 გამოდგა, ხოლო მიმდინარე რეგულარულში კი, კიდი და კომპანია ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

"ნიუ ჯერსი", რომელსაც ფინიქსში 1993 წლის 13 მარტის შემდეგ არ მოუგია, კიდის გარდა, კიდევ ერთი ლიდერის, **ვინს კარტერის** პასიურობამაც დააუძლურა, ხოლო "დიდი სამეულის" კიდევ ერთი წევრის, **რიჩარდ ჯეფერსონის** რუტინული 20 და მეტი ქულა კი მოტივირებული ოპონენტის დასაჩოქებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

"სანზმა" ჩვეული, ზესწრაფი, გუნდური კალათბურთით გადაუარა მეტოქეს, ხოლო მასპინძლეთა რამდენიმე წევრმა კი განსაკუთრებით გაილაღა. კერძოდ, **ამარე სტაუდმაიერმა** თამაშიდან 16-ში 11 სროლა გამოიყენა, **რაჯა ბელის** ანგარიშზე 10–დან 5 ზუსტი სამქულიანი იყო, **შონ მერიონმა** კი 5 ჩაჭრით, ამ სეზონის პირადი რეკორდი გაიმეორა.

"კლიპერსთან" სამარცხვინო თამაშისა და შესაბამისად, ლოგიკური ნაგების შემდეგ, "ფინიქსმა" სამი მატჩი ერთმანეთის მიყოლებით მოიგო, ბოლო ორი მოწინააღმდეგე კი 20 და მეტი ქულის სხვაობით დაამარცხა.

*"პლეიოფამდე ჯერ შორია და სატურნირო ცხრილში ხშირად ჩახედვის ნაცვლად, დაცვაში თამაში გვაქვს გასაუმჯობესებელი. წელს ჩემპიონობა ჩვენს გარდა ლამის ყველა გუნდს სურს, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ვხედავ კლუბს, რომელიც "სანზზე" დალაგებულ და შედეგიან კალათბურთს თამაშობდეს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ბელი.

41 მატჩიდან 29-ის მომგები და დასავლეთში გაპირველებული "ფინიქსი" ჯერაც ერთ-ერთი ვარსკვლავის, ნაოპერაციები **გრანტ ჰილის** გარეშეა, თუმცა გუნდის ოთხმატჩიანი ტურნესას, რომელიც მილუოკიში დაიწყება, გრანტი შესაძლოა უკვე მოედანზეც ვიხილოთ, იქამდე კი, "სანზის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ დენტონი** მის ადგილზე სასტარტო ხუთეულში ფრანგ **ბორის დიაოს** აყენებს და ამ უკანასკნელმაც ვინს კარტერს თამაშიდან 14-ში 11 ტყორცნა გააფუჭებინა. მოკლედ, "ფინიქსი" ჯანზეა და მალე ჰილიც ეყოლება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ალმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 38 | 32 | 6 | 84.2 |
| 2. დეტროიტი* | 41 | 29 | 12 | 70.7 |
| 3. ორლანდო* | 42 | 25 | 17 | 59.5 |
| 4. ვაშინგტონი | 38 | 21 | 17 | 55.3 |
| 5. კლივლენდი | 39 | 21 | 18 | 53.8 |
| 6. ტორონტო | 41 | 22 | 19 | 53.7 |
| 7. ატლანტა | 36 | 17 | 19 | 47.2 |
| 8. ნიუ ჯერსი | 40 | 18 | 22 | 45.0 |
| 9. ინდიანა | 41 | 18 | 23 | 43.9 |
| 10. ჩიკაგო | 39 | 16 | 23 | 41.0 |
| 11. მილუოკი | 40 | 16 | 24 | 40.0 |
| 12. შარლოტი | 40 | 16 | 24 | 40.0 |
| 13. ფილადელფია | 41 | 16 | 25 | 39.0 |
| 14. ნიუ იორკი | 40 | 13 | 27 | 32.5 |
| 15. მაიამი | 39 | 8 | 31 | 20.5 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ფინიქსი* | 41 | 29 | 12 | 70.7 |
| 2. დალასი* | 39 | 27 | 12 | 69.2 |
| 3. ნიუ ორლეანი | 39 | 27 | 12 | 69.2 |
| 4. დენვერი* | 39 | 24 | 15 | 61.5 |
| 5. ლეიკერსი | 38 | 26 | 12 | 68.4 |
| 6. სან ანტონიო | 38 | 25 | 13 | 65.8 |
| 7. პორტლენდი | 40 | 24 | 16 | 60.0 |
| 8. გ. სტეიტი | 42 | 25 | 17 | 59.5 |
| 9. იუტა | 41 | 23 | 18 | 56.1 |
| 10. ჰიუსტონი | 40 | 21 | 19 | 52.5 |
| 11. საკრამენტო | 39 | 17 | 22 | 43.6 |
| 12. კლიპერსი | 36 | 12 | 24 | 33.3 |
| 13. მემფისი | 40 | 11 | 29 | 27.5 |
| 14. სიეტლი | 40 | 9 | 31 | 22.5 |
| 15. მინესოტა | 39 | 5 | 34 | 12.8 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 29.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.7 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 27.1 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 25.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 24.4 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (ნ-ჯერ) | 23.9 |
| მაიკლ რედი (მილ) | 22.9 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 22.8 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 22.5 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | 22.4 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 15.2 |
| მარკუს კემბი (დენ) | 14.3 |
| კრის კამანი (კლი) | 13.8 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-ორლ) | 12.2 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 12.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 11.0 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 10.8 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 10.7 |
| იაო მინი (ჰიუ) | 10.6 |
| შონ მერიონი (ფინ) | 10.4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 12.1 |
| ჯეისონ კიდი (ნ-ჯერ) | 10.7 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.5 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.1 |
| ჯამაალ ტინსლი (ინდ) | 8.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | 8.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 7.5 |
| ჩონსი ბილაპსი (დეტ) | 7.2 |
| რაიმონდ ფელტონი (შარ) | 7.1 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.7 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | [illegible] |
| კერონ ბატლერი (ვაშ) | 2.3 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 2.3 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 2.1 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 2.1 |
| შონ მერიონი (ფინ) | [illegible] |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.0 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 1.9 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენ) | 4.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 3.3 |
| კრის კამანი (კლი) | 3.1 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.6 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 2.5 |
| იაო მინი (ჰიუ) | 2.3 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.2 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ინდ) | 2.2 |
| შონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 2.1 |
| ენდრიუ ბაინუმი (ლეიკ) | 2.1 |



# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-ანაჰაიმი 5:2**

1:0, 0:0, 4:2

გოლები: 1:0 რობიდასი-2, 2:0 მოროუ-18 (რიბეირო-30, ნისკანენი-13), 3:0 ჰაგმანი-17 (ბარნსი-9, ნორსტრიომი-2), 3:1 შნაიდერი-6 (ბოშემენი-15, კუნიტცი-16), 4:1 მოროუ-19 (რიბეირო-31, მიეტინენი-14), 4:2 გეტცლაფი-19 (პერი-19), 5:2 ჰაგმანი-18 (ლუნდკვისტი-7, ჰალპერნი-11).

**რეინჯერსი-ბოსტონი 1:3**

0:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 კობესიუ-17 (ხარა-25, სავარი-40), 0:2 მეტროპოლიტი-8 (ლუჩიჩი-6, კობესიუ-8), 0:3 კესელი-12 (სავარი-41), 1:3 დუბინსკი-6 (დეივსი-4, პრუხა-9).

**ატლანტა-ედმონტონი 2:4**

0:0, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 პენერი-15 (ჰემსკი-29, ჰორკოფი-27), 1:1 ვიაჩ. კოზლოვი-14 (პერენი-21, კვიატკოვსკი-1), 1:2 სემ განიე-4 (სტაიოსი-4, რ. ნილსონი-16), 1:3 გილბერტი-8 (ჰემსკი-30, ჰორკოფი-28), 1:4 რ. ნილსონი-6 (კოლიანო-14, სტაიოსი-5), 2:4 მარიან ჰოსა-21 (ენსტრიომი-26, პერენი-22).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:2**

0:0, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ზაიაცი-11 (რახუნეკი-7, ოდუია-8), 2:0 მადენი-13 (პარიზე-26, კ. უაიტი-2), 3:0 მადენი-14 (პ. მარტინი-14, ლანგენბრუნერი-17), 3:1 ტაკერი-6 (ტლუსტი-3, ი. უაიტი-13), 3:2 კუბინა-4.

**ფილადელფია-ოტავა 6:1**

2:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 კობურნი-3 (აპშოლი-7, დ. პეტჩერი-4), 2:0 ჰარტნელი-16 (ჯ. კარტერი-13, უმბერგერი-24), 3:0 აპშოლი-7 (მ. რიჩარდსი-32, დაუნი-5), 4:0 უმბერგერი-8 (საიმონ განიე-8, ბრიერი-27), 4:1 კელი-8 (რ. რობიტაილი-9, რედენი-22), 5:1 ს. კაპანენი-4 (საიმონ განიე-9, კობურნი-16), 6:1 აპშოლი-8 (კოტი-2, კობურნი-17).

**კოლორადო-კოლამბუსი 3:1**

1:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 ფინგერი-4 (ჰლინკა-14, ლაპერიერი-9), 2:0 გიტი-4 (დ. ჯონსი-1, ლაპერიერი-10), 3:0 არნასონი-4 (ვოლსკი-16, სვატოსი-3), 3:1 მოდინი-1 (ნეში-17, ბრასარი-1).



## ტურის მოვლენები

- "ანაჰაიმ დაქსმა" შეწყვიტა 6-მატჩიანი მოგებათა სერია. "იხვებს" 2008 წელს, ძირითად დროში არცერთი შეხვედრა არ ჰქონდათ წაგებული.

- ამ სეზონში "დალასმა" 5-დან 4 მატჩი მოუგო "ანაჰაიმს".

- "დალასმა" ბოლო რვა მატჩში მეხუთედ მოიგო.

■ ■ ■

- "ბოსტონმა" ბოლო 4 მატჩში მესამე გამარჯვებას მიაღწია.

- "რეინჯერსმა" უკანასკნელ 10 შეხვედრაში მერვე მარცხი ინვნია.

■ ■ ■

- "ედმონტონმა" შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია.

- რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი **ილია კოვალჩუკი** ზედიზედ მეოთხე მატჩია ვერ იტანს გოლს. "ატლანტას" ბომბარდირს ამ სეზონში 37 შაიბა დაუგროვდა. გარდა ამისა, რუს ლეგიონერს სამ მატჩში ქულაც არ დაუგროვებია.

■ ■ ■

- "ტორონტოსთან" მოგებამდე, "ნიუ ჯერსის" ორი წაგება ჰქონდა და ორივე შეხვედრაში მხოლოდ თითო-თითო გოლს იტანდა.

- "მეიპლ ლივზის" მორიგი წაგების შემდეგ, შესაძლოა თანამდებობა დაატოვებინონ კლუბის გენერალურ მენეჯერს **ჯონ ფერგიუსონს**.

- "ნიუ ჯერსის" ბოლო 4 მატჩში 15-ჯერ ჰქონდა რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოიყენა.

■ ■ ■

- "ფილადელფიამ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. ეს არის ამ გუნდის მეშვიდე გამარჯვება ბოლო 8 მატჩში.

- ბოლო ტურებში "ფლაიერზის" ლიდერად ჩამოყალიბდა **სკოტ ჰარტნელი**, რომელმაც ბოლო 7 მატჩში 10 გოლი გაიტანა, ბოლო 28 თამაშში კი - 16 გოლი, არადა, რეგულარულის პირველ 15 მატჩში, ფორვარდმა ვერცერთი შაიბა ვერ გაიტანა.

- აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერმა "ოტავამ" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. გარდა ამისა, "სენატორზი" ბოლო 5 მატჩში მეოთხედ დამარცხდა. "ოტავა" ორი ლიდერის გარეშე თამაშობს - მას ტრავმების გამო **დანიელ ალფრედსონი** და **დენი ჰიტლი** აკლია.

- "ოტავას" ფორვარდმა **რენდი რობიტაილმა** კარიერაში მე-500 შეხვედრა ჩაატარა.

- "ფილადელფიამ" ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა. ეს გუნდი ლიგის ლიდერია ასეთი უპირატესობისას გატანილი შაიბების რაოდენობით - 57.

# TV სპორტი

**22 იანვარი. შაბათი**

**НТВ-ПЛЮС (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:55 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
19:40 საფეხბურთო კლუბი.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:01 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:52 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტკლუბი.
11:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:53 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ასტონ ვილა.
13:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი.
15:54 სპორტის სამყარო.
16:20 სპორტდოსიე.
16:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სამპდორია.
18:33 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:19 ფეხბურთი. Barca TV.
20:27 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-რეინჯერსი.
22:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
23:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:48 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. [illegible]
02:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რასინგი.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ბოსტონი (LIVE).
07:10 სპორტის სამყარო.
07:36 სპორტდოსიე.

**EUROSPORT**

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
20:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-კამერუნი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. სუდანი-ნამიბია. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნამიბია-მაროკო. განა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-კოტ დ'ივუარი. განა.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მალი-ბენინი. განა.
19:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნამიბია-მაროკო. განა.
20:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
20:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნიმბურკი (ჩეხეთი)-დინამო (რუსეთი).
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი (LIVE).
00:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)-ტუროვი (პოლონეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

ჭადრაკი

## ვეიკ ან ზეეს ტურნირი

VIII ტური: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0; ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)-იუდით პოლგარი (უნგრეთი) 0.5:0:5; თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 0.5:0:5; შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)-ლევონ არონიანი (სომხეთი) 0.5:0:5; მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)-ბორის გელფანდი (ისრაელი) 0.5:0:5; პაველ ელიანოვი (უკრაინა)-მაიკლ ადამსი (ბრიტანეთი) 0.5:0:5; ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0:5.

სატურნირო მდგომარეობა: 1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) - 5.5; 2-4. ლევონ არონიანი (სომხეთი), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) - 5; 5. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - 4.5; 6-9. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), მაიკლ ადამსი (ბრიტანეთი), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) - 4; 10-12. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი) - 3.5; 13-14. პაველ ელიანოვი (უკრაინა), ბორის გელფანდი (ისრაელი) - 2.5.

კალათბურთი

## დისკვალიფიკაცია ენტონი ჯონსონს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დისციპლინარულმა "ატლანტა ჰოქსის" მცველი **ენტონი ჯონსონი** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ამის მიზეზი გახდა "ტორონტო რეპტორზის" მცველის **ხოსე კალდერონის** წინააღმდეგ გამოჩენილი განსაკუთრებული უხეშობა.

იმ მატჩში "ტორონტომ" 89:78 დაამარცხა "ატლანტა".

## არტესტი მეფეებში არ დარჩება

"საკრამენტო კინგზის" ლიდერი **რონ არტესტი** არ აპირებს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას და მომავალი სეზონიდან შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება.

*"ხშირად მეკითხებიან ჩემი მომავალი კარიერის შესახებ. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება გითხრათ - ამ ზაფხულს "კინგზთან" კონტრაქტს არ გავაგრძელებ და თავისუფალი აგენტი გავხდები"*, - რონ არტესტმა.

ჰოკეი

## პიტსბურგმა სამი ჰოკეისტი გამოიძახა

როგორც ცნობილია, "პიტსბურგ პინგვინზმა" ბოლო ტურებში ორი თავდამსხმელი დაკარგა - **სიდნი კროსბი** და **კოლბი არმსტრონგი**. ამის გამო, "პინგვინების" შეფობამ AHL-ში მოთამაშე საკუთარი ფარმ-კლუბიდან სამი ჰოკეისტი გამოიძახა. ესენი არიან: მარცხენა გარემარბი **კრის მინარდი**, ცენტრალური თავდამსხმელი **ტიმ ბრენტი** და მარჯვენა ფრთა **ჯონათან ფილევიჩი**. გასულ სეზონში ბრენტმა "ანაჰაიმის" რიგებში 15 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. ფილევიჩსა და მინარდს NHL-ში ჯერ არ უთამაშიათ.

## ჩიკაგო ხაბიბულინს იშორებს?

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ხელმძღვანელობა თავისი ძირითადი მეკარის, **ნიკოლაი ხაბიბულინის** გაცვლის ვარიანტებს განიხილავს. ბოლო ტურებში, რუსმა გოლკიპერმა დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ის **პატრიკ ლალიმს** გადაულოცა. ხაბიბულინის ოთხწლიან კონტრაქტს გაისად ეწურება ვადა. რუსი ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მეკარეა - მისი ჯამური ხელფასი 27 მილიონ დოლარს შეადგენს. ამასობაში, "ჩიკაგომ" შეტევით ხაზში სერიოზული დანაკლისი განიცადა. გუნდს დაახლოებით ექვსი კვირით გამოაკლდა ფორვარდი **ჯეისონ უილიამსი**. ჰოკეისტს გრიჟის ოპერაცია ესაჭიროება. უილიამსმა ამ სეზონში 20 მატჩი ჩაატარა და 19 ქულა (7+12) დააგროვა.

## ოტავა შემტევ მცველს ეძებს

"ოტავა სენატორზის" ხელმძღვანელობა პლეიოფისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვას იწყებს. კერძოდ, კლუბის გენერალურ მენეჯერს **ბრაიან მიურეის** განზრახული აქვს შეტევითი მცველის დამატება. გენერალურ მენეჯერს უკვე ამორჩეული ჰყავს ერთი კანდიდატურა. ეს გახლავთ "ლოს ანჯელეს კინგზის" კაპიტანი **რობ ბლეიკი**. ამ უკანასკნელს წელს 47 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 4 გოლი და 21 შედეგიანი პასი მოდის. 38 წლის ბლეიკი 14 სეზონია "ლოს ანჯელესის" ღირსებას იცავს და ცოტა ხნის წინ, მცველებისთვის საკლუბო რეკორდი დაამყარა ჩატარებული მატჩების რაოდენობით - 781 შეხვედრა.

ფორმულა 1

## სინგაპურის განათება დაიწყო

წელს, ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად გაიმართება ღამის გრან-პრი, რომელსაც სინგაპური უმასპინძლებს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ტრასა სპეციალური უძლიერესი პროჟექტორებით განათდება, რომელიც მომავალ ტრასაზე მხოლოდ ერთ მხარეს იქნება განლაგებული.

*"ტრასის ერთ მხარეს განათების დამონტაჟება შეგნებული ნაბიჯია, რათა თავიდან ავიცილოთ პილოტის დეზორიენტაციის საშიშროება, თუ ასპარეზობისას მისი ბოლიდი მოცურდება. ავტომრბოლი მაშინვე მიხვდება, რა მიმართულებით უნდა გააგრძელოს სვლა"*, - განაცხადა სინგაპურის გრან-პრის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა **კოლინ კინმა**.

კინმა ისიც განაცხადა, რომ გასწრების ზონებში განათება უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე მთლიანად ტრასაზე.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

**A ჯგუფი**

**ნამიბია-მაროკო 1:5**

**ნამიბია:** შინინგეიამვე, აპრილი (46. შატიმუენე), გარისები, მ. პიენაარი, ბენჯამინი, ბრენდელი, იაკობსი (77. სვარტბოოლი), ნგატიიზეკო, რისერი, ბესტერი (64. პინეასი), კაიმბი.

**მაროკო:** ფუპამი, ბასერი, ალ-ქადური, ერბატე, უადუ, პაჯი (70. ზერკა), ქაბუსი, საფრი, ალუდი (63. მოხტარი), შამახი, სექტიუი (67. აბუშერუანი).

**გოლები:** 0:1 ალუდი (2), 0:2 ალუდი (5), 1:2 ბრენდელი (23), 1:3 ალუდი (28), 1:4 სექტიუი (40-პენ), 1:5 ზერკა (74)

**მაყურებელი:** 2 000

**B ჯგუფი**

**ნიგერია-კოტ დ'ივუარი 0:1**

**ნიგერია:** ეჯიდე, აპამი, შიტუ, ტაივო, იობო, ობი მიკელი, ოლოფინჯანა, უტაკა (73. ოდემვინგი), კანუ (56. ოკონკვო), მარტინსი (79. მაკინვა), აიეგბენი.

**კოტ დ'ივუარი:** ბარი, ბოკა, ებუე, გოპური (46. ა. კეიტა), მეიტე, კოლო ტურე, იაია ტურე, ზოკორა, დინდანე, დროგბა (85. ბ. კონე), კალუ.

**გოლი:** 0:1 კალუ (66)

**მაყურებელი:** 20 000

**მალი-ბენინი 1:0**

**მალი:** მაპამადუ სიდიბე, ა. კულიბალი, ს. დემბელე, დიამუტენი, კანტე, ამადუ სიდიბე, მ. დიარა, სეიდუ კეიტა, კანუტე, ბ. ტურე (72. დ. დიაკიტე), დ. ტრაორე (55. მამადუ სიდიბე/ს. ტრაორე).

**ბენინი:** ჩიტუ, ადენონი, აჯამოსი, ბოკო, ჩრისოსტომე, გასპოზი, ოკეტოლა (53. სესენონი), აპუეია (82. ოლადიპიკპო), ს. ჩომოგო, ომოტოიოსი, უ. ჩომოგო (70. მაიგა).

**გოლი:** 1:0 კანუტე (49-პენ)

**მაყურებელი:** 20 000

**ინგლისი**

**ლივერპული-ასტონ ვილა 2:2**

**ლივერპული:** რეინა, არბელოა (70. შკრტელი), ფაბიო აურელიო, კარაგერი, ჰიპია, ბენაიუნი (80. კრაუჩი), ჯერარდი, კოუელი (74. ბაბელი), მასკერანო, კუიტი, ფერნანდო ტორესი.

**ასტონ ვილა:** ს. ტეილორი, ბუმა, კ. დეივისი, ლაურსენი, მელბერგი, გარდნერი (66. ჰეირვუდი), ს. პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაჰორი, კარუ (90. ნაითი), იანგი.

**გოლები:** 1:0 ბენაიუნი (19), 1:1 ჰეირვუდი (69), 1:2 ფაბიო აურელიო (72-საკ. კარში), 2:2 კრაუჩი (88)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 19(7)-4(3); **კუთხური:** 8-2; **თამაშგარე:** 1-7; **ჯარიმა:** 11-15; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 42 590

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 23 | 17 | 3 | 3 | 46-11 | 54 |
| 2. არსენალი | 23 | 16 | 6 | 1 | 46-17 | 54 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 36-16 | 50 |
| 4. ევერტონი | 23 | 13 | 3 | 7 | 40-23 | 42 |
| 5. ლივერპული | 22 | 10 | 10 | 2 | 37-16 | 40 |
| 6. ასტონ ვილა | 23 | 11 | 7 | 5 | 42-30 | 40 |
| 7. მანჩ. სიტი | 23 | 11 | 7 | 5 | 30-24 | 40 |
| 8. პორტსმუტი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-23 | 37 |
| 9. ბლექბერნი | 23 | 10 | 7 | 6 | 31-30 | 37 |
| 10. ვესტ ჰემი | 22 | 9 | 6 | 7 | 28-21 | 33 |
| 11. ტოტენჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 44-40 | 27 |
| 12. ნიუკასლი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-39 | 27 |
| 13. მიდლსბრო | 23 | 5 | 7 | 11 | 20-37 | 22 |
| 14. რედინგი | 23 | 6 | 4 | 13 | 30-49 | 22 |
| 15. ბოლტონი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-34 | 21 |
| 16. ბირმინგემი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-34 | 20 |
| 17. ვიგანი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-39 | 20 |
| 18. სანდერლ. | 23 | 5 | 5 | 13 | 22-42 | 20 |
| 19. ფულჰემი | 23 | 2 | 9 | 12 | 23-42 | 15 |
| 20. დერბი | 23 | 1 | 4 | 18 | 11-50 | 7 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ჰერეფორდი | 4:0 |

**იტალია**

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| სალერნიტანა-კროტონე | 1:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლერმონი-ნანტი | 2:1 |

**კალათბურთი**

**NBA**

| | |
|---|---|
| შარლოტი-სან ანტონიო | 86:95 |
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 93:109 |
| ვაშინგტონი-დალასი | 102:84 |
| ატლანტა-პორტლენდი | ო.ტ. 109:111 |
| ფილადელფია-ინდიანა | 103:110 |
| ჰიუსტონი-სიეტლი | 96:89 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-კაროლინა | ო.ტ. 2:3 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ცსკა-მეჩ | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-კეჟმაროკი | 6:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-მოდო | 8:2 |

მსოფლიო თასი

# გრანჟი სლალომის მეფე ხდება

როგორც ჩანს, ამ სეზონში კაცების სლალომში ბროლის მცირე გლობუსს არავის დაუთმობს **ჟან-ბაპტისტ გრანჟი**, რომელმაც მსოფლიო თასზე კარიერის ოთხივე გამარჯვება ამ სეზონში მოიპოვა და სლალომის ჩათვლას დამაჯერებლად ლიდერობს. ოღონდ, ამ ოთხიდან სლალომზე მხოლოდ სამი გამარჯვება მოდის, ერთი კი - სუპერ კომბინაციაზე.

სლალომის მესამე გამარჯვება მან ავსტრიის სამთო კურორტ კიცბუელში მოიპოვა, სადაც ორი ცდის ჯამში, სულ რაღაც 0.15 წამით აჯობა სლალომში მსოფლიოს ჩემპიონს, შვედ **იენს ბიგმარკს**, რომელმაც შარშან, ამავე ტრასაზე სლალომის ორივე რბოლა მოიგო. მესამე ადგილს დასჯერდა ავსტრიელი **მარიო მატი**, რომელმაც კარიერაში მსოფლიო თასის პირველი ეტაპი 2000 წელს სწორედ აქ, სლალომში მოიპოვა.

მას შემდეგ, რაც ხუთი წლის წინ, სპორტული კარიერა **ჟან-პიერ ვიდალმა** დაასრულა, ფრანგებს მსოფლიო თასზე ძლიერი მოთხილამურე არ ჰყოლიათ. და აი, როგორც ჩანს, ესტაფეტას გრანჟი იღებს, რომელსაც სულ უფრო ხშირად ადრიან თავის სახელოვან თანამემამულეებს, **ჟან-კლოდ კილისა** და **ჟან-ნოელ ოგერს**, რომლებსაც თავის დროზე (შესაბამისად, 1967 და 1972 წლებში), ერთ სეზონში ვენგენსა და კიცბუელში სლალომის დუბლები აქვთ შესრულებული. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში, ვენგენში ასპარეზობისას გრანჟმა იშვიათი დუბლი შეასრულა - ზედიზედ მოიგო სლალომისა და სუპერ კომბინაციის რბოლები.

სლალომში მე-14 შედეგი ჰქონდა ამერიკელ **ბოდე მილერს**, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ წინა დღეს დაშვებაში ნაჩვენებ მეორე შედეგთან მიმატებით, კომბინაციის (კომბინაცია სლალომის ორი ცდისა და ერთი დაშვებისგან შედგება, როცა სუპერ კომბინაციაში თითო ცდა სლალომსა და სუპერგიგანტში სრულდება) გამარჯვებული გამხდარიყო. ორი ცდის ჯამში, ამერიკელმა თითქმის წამით ჩამოიტოვა ავსტრიელი **ბენიამინ რაიხი**.

*"აქ რომ ჩამოვედი, მიზნად სამივე დისციპლინაში გამარჯვება მქონდა დხული. მართალია, ეს მიზანი ვერ შევასრულე, მაგრამ არც ერთი პირველი და ერთიც მეორე ადგილია ცუდი"*, - განაცხადა მილერმა, ვინც აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მეორე პოზიცია განიმტკიცა. ის ახლა მხოლოდ 29 ქულითღა ჩამორჩება ლიდერ რაიხს, ვისაც 860 ქულა აქვს.

კომბინაციის მოგებით, მილერის მიერ კარიერაში მსოფლიო თასზე მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობამ 28-ს მიაღწია, რითაც ის ყველაზე წარმატებული ამერიკელი სამთო მოთხილამურე გახდა. აქამდე საპატიო წოდებას **ფილ მარე** ფლობდა.

*"რეკორდებზე ბავშვობაში ვოცნებობდი, ახლა კი პროფესიონალი ვარ და მთავარი მიზანი კონკრეტული რბოლების მოგებაა. და თუ ამ ამოცანას შევასრულებ, რეკორდებსაც შეიძლება შევხვდე. და მაინც, სეზონის წინ, ჩემს მთავარ ამოცანად სწორედ ამ რეკორდის გაუმჯობესებას ვთვლიდი,"* - განაცხადა მილერმა.

იტალიის კორტინა დ'ამპეცოში კი, ყველასათვის მოულოდნელად, ქალთა სუპერგიგანტი ავსტრიელი **მარია ჰოლაუსის** გამარჯვებით დასრულდა. მზით გამთბარ "ოლიმპია დელე ტოფანეს" ფერდობზე ჰოლაუსმა კარგად ისარგებლა იმით, რომ თავისი ცდა ადრე შეასრულა შემდეგ კი სითბომ ტრასა იმდენად დაარბილა, რომ ფავორიტებს კარგი დროის ჩვენების საშუალება არ მიეცათ. მეორე ადგილი ამერიკელმა **ჯულია მანკუზომ** დაიკავა, რომელიც გამარვჯებულს 0.23 წამით ჩამორჩა. მესამეზე კი აბსოლუტური კლასიფიკაციის ავსტრიელი ლიდერი, **ნიკოლ ჰოსპი** გავიდა.

ჰოლაუსისთვის ეს კარიერაში მოპოვებული პირველი გამარჯვებაა. აქამდე მსოფლიო თასზე მისი საუკეთესო შედეგი შარშან, სან სიკარიოში, დაშვების რბოლაში დაკავებული მესამე ადგილი, სუპერგიგანტში კი საუკეთესო შედეგი მეცხრე ადგილი იყო.

კორტინა დ'ამპეცოში ჩატარებული რბოლების შემდეგ, 759 ქულით აბსოლუტურ კლასიფიკაციაში კვლავ ჰოსპი ლიდერობს, ვინც დაშვების ეტაპი გამოტოვა. 683 ქულით მეორეზეა ამერიკელი **ლინდსი ვონი**. სუპერგიგანტში დაკავებული მეორე ადგილის წყალობით, მეექვსედან მესამეზე გადაინაცვლა მანკუზომ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კიცბუელი (ავსტრია).
კაცები. სლალომი

1. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:45.04 (55.21, 49.83); 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 1:45.19 (55.54, 49.65); 3. მარიო მატი (ავსტრია) 1:45.56 (55.43, 50.13); 4. ჟულშიან ლიზერუ (საფრანგეთი) 1:45.71 (55.51, 50.20); 5. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 1:45.98 (56.36, 49.62); 6. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) 1:46.14 (55.56, 50.58); 7. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:46.23 (56.46, 49.77); 8. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:46.24 (55.95, 50.29); 9. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:46.33 (56.16, 50.17); 10. მანფრედ მიოლგი (იტალია) 1:46.44 (55.69, 50.75)...

კიცბუელი (ავსტრია).
კაცები. კომბინაცია

1. ბოდე მილერი (აშშ) 3:39.86; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 3:40.79; 3. რაინერ შიონფელდერი (ავსტრია) 3:42.04; 3. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 3:42.04; 5. ტედ ლიგეტი (აშშ) 3:42.95; 6. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 3:46.85; 7. პაულ შტუტცი (კანადა) 3:47.26; 8. ჯონ კუჩერა (კანადა) 3:47.63; 9. დიდიე კუშე (შვეიცარია) 3:48.14; 10. კრისტოფ ინერჰოფერი (იტალია) 3:48.50...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 860; 2. ბოდე მილერი (აშშ) 831; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 794; 4. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 572; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 556; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 517; 7. მანფრედ მიოლგი (იტალია) 458; 8. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 402; 9. კალე პალანდერი (ფინეთი) 367; 10. ჯონ კუჩერა (კანადა) 365...

კორტინა დ'ამპეცო (იტალია).
ქალები. სუპერგიგანტი

1. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) 1:24.63; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:24.86; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:24.91; 4. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:24.92; 5. ლინდსი ვონი (აშშ) 1:24.93; 6. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:24.94; 7. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:25.05; 8. კარლინა რუის კასტილიო (ესპანეთი) 1:25.11; 9. ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი (შვედეთი) 1:25.28; 10. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:25.34...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 759; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 683; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 639; 4. მარია რიში (გერმანია) 613; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 586; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 581; 7. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 533; 8. დენიზე კარბონი (იტალია) 519; 9. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 511; 10. ბრიტ იანიკი (კანადა) 361...



მარია ჰოლაუსი




ჯოკოვიჩი მოწოდებას ასრულებს

ავსტრალიის ღია პირველობა

# ფედერერმა მეორე ძნელი გამოცდა ჩააბარა

გადამწყვეტ ფაზაში შედის ავსტრალიის ღია პირველობა, რომელზეც უკვე დასრულდა მეოთხე წრის შეხვედრები. მეოთხედფინალში გზა გაიკაფა ტურნირის სამგზის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, რომელმაც მეოთხე წრეში კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ჩააბარა. პარალელურად, ტურნირი დატოვა მსოფლიოს ორმა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა – ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** და ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომ**. კიდევ თითო ნაბიჯით წინ წაიწიეს უიმბლდონის ამერიკელმა ჩემპიონმა **ვენუს უილიამსმა** და სერბმა **ანა ივანოვიჩმა**.

ფედერერს მესამე წრეში ხუთი სეტი დასჭირდა სერბი **იანკო ტიპსარევიჩის** დასამარცხებლად. ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** სამ სეტში კი დაამარცხა, მაგრამ მაინც გვარიანად გარჯა დასჭირდა. თანაც, შეხვედრის შემდეგ, თავისი თამაშის ხარისხით აშკარად უკმაყოფილო იყო.

*"სიმართლე თუ გაინტერესებთ, მეორე სეტში ის ჩემზე გაცილებით უკეთ თამაშობდა. ის თავიდანვე დაწინაურდა, ტაიბრეიკზეც უკეთ თამაშობდა და თუ ვერ მოიგო, მხოლოდ იმიტომ, რომ არასწორი ტაქტიკა აირჩია. მოკლედ, არ გაუმართლა. მე კი პირიქით, გამიმართლა და მიხარია, რომ საქმეს სამ სეტში მოვრჩი"*, – ნამატჩევს განაცხადა ფედერერმა, ვისაც მომდევნო ეტაპზე ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** წინააღმდეგ თამაში მოუწევს. ამან სამ სეტში მოუგო ხორვატ **მარინ ჩილიჩს** და არაამერიკულ სასლემო ტურნირზე პირველად გავიდა მეოთხედფინალში.

თუ ფედერერმა მესამე წრის ხუთსეტიანი თრილერის შემდეგ ძალების აღდგენა შეძლო, ეს ვერ მოახერხა ჰიუიტმა. ოზმა მეჩოგნემ გვიან დაასრულა ძნელი შეხვედრა კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან**, რის გამოც, ჯოკოვიჩთან შეხვედრაში ისე ვერ ითამაშა, როგორც ისურვებდა.

სერბმა თამაში ნერვიულად კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ კალაპოტში ჩაჯდა და სამ სეტში მოუთავა ხელი მეტოქეს. ჯოკოვიჩის მომდევნო მეტოქეა ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელმაც ტურნირს ფერერო გამოთიშა.

*"პირველ სეტში გამიმართლა და ამიტომ მოვიგე. მერე კი ნერვები მოვთოკე და თამაშიც ავაწყე. შემტევი სტილი ავირჩიე და ვცდილობდი, ლეიტონისთვის სულის მოთქმის საშუალება არ მიმეცა. ყველაფერი კარგად გამოვიდა. რა თქმა უნდა, ლეიტონს დაღლა ეტყობოდა. ჰოდა, მეც ეს შანსი გამოვიყენე"*, - განაცხადა სერბმა.

ჯოკოვიჩის თანამემამულე ანა ივანოვიჩმა საკმაოდ დაძაბულ პაექრობაში აჯობა დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის** და ახლა მეოთხედფინალში ვენუს უილიამსს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ივანოვიჩს ჯერ სეტიც არ დაუთმია და ის მოუთმენლად ელის ტიტულოვან ამერიკელთან შეხვედრას.

*"ვენუსი ძალიან ძლიერი ჩოგბურთელია. სასლემო ტურნირებზე მასთან ბოლო ორი შეხვედრა წაგებული მაქვს. ვფიქრობ, ახლა რევანშის დროა. მთავარია, კარგად მოვაწოდო და მას სივრცე არ დავუთმო"*, - ამბობს ივანოვიჩი, ვინც ვოზნიაცკისთან შეხვედრის მეორე სეტში მეტისმეტად ბევრი შეცდომა დაუშვა და ამით, მეტოქეს სეტის მოგების შანსი მისცა, თუმცა ტაიბრეიკზე შეცდომებს უკლო და ეს შედეგზეც უმალ აისახა.

ვენუსმა იოლად დაამარცხა პოლონელი ამომავალი ვარსკვლავი **მარტა დომახოვსკა**, რომელმაც ტურნირის ძრითად ბადეში მოსახვედრად, საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა და ამიტომ, ამერიკელთან შეხვედრაში დაღლილი იყო.

თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, პოლონელმა თამაში ბრეიკის აღებით დაიწყო. ვენუსმა სეტის მიწურულს ეს ბრეიკიც გაქვითა და მერე კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის სერვის გეიმი. მეორე სეტის მიწურულს კი, დომახოვსკამ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და კიდევ ერთი ბრეიკით გაურთულა მეტოქეს საქმე. მაგრამ ვენუსმა მომდევნო გეიმშივე მეორე ბრეიკი აილო და ამით, შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

სამაგიეროდ, მეოთხედფინალში გავიდა კიდევ ერთი პოლონელი ამომავალი ვარსკვლავი **აგნიეშკა რადვანსკა**, რომელმაც ტურნირი კიდევ ერთ რუსს, **ნადია პეტროვას** დაატოვებინა და შეიქნა პირველი პოლონელი, ვინც დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში ითამაშებს.

არადა, პეტროვამ პირველი სეტი იოლად მოიგო და მეორეშიც თავიდან 3:0 დაწინაურდა. მაგრამ ბარძაყის კუნთის ტრავმა გაუმიზეზდა, რამაც მისი გადაადგილება შეზღუდა. ამით კი პოლონელმა შესანიშნავად ისარგებლა. მან ჯერ სეტებში ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტ სეტში მშრალად მოუგო რუსს და მომდევნო წრეშიც გავიდა.

აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალში გასულთა შორის, რადვანსკა ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია. მისი მომდევნო მეტოქე სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** იქნება, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა რუსი **მარია კირილენკოს** დასამარცხებლად.

**კაცები. მეოთხე წრე**

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 13) 6:4, 7:6(7), 6:3

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 19) 7:5, 6:3, 6:3

დავიდ ფერერი (ესპ, 5)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22) 7:5, 3:6, 6:4, 6:1

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 12)-მარინ ჩილიჩი (ხორვ) 6:3, 6:4, 6:4

**ქალები. მეოთხე წრე**

ანა ივანოვიჩი (სერბ, 4)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:1, 7:6(2)

ვენუს უილიამსი (აშშ, 8)-მარტა დომახოვსკა (პოლ) 6:4, 6:4

დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)-მარია კირილენკო (რუს, 27) 1:6, 6:4, 6:4

აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 29)-ნადია პეტროვა (რუს, 14) 1:6, 7:5, 6:0

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა